ორშაბათი, 25 აგვისტო 1924 წ. მეორე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სიმართლის ხმა

№ 40 ყოველკვირეული ჟურნალი № 40

რედაქციის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 25 კაპ.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

## 25—25—25

25 განსაკუთრებულ, თავისებურ რიცხვად გადაიქცა რუსეთის რევოლიუციაში.

თებერვლის გადატრიალების შემდეგ, რომელიც ასე იაფად და უმსხვერპლოდ დაუჯდა რუსეთის პროლეტარიატს, ბუნებრივათ უნდა მომხდარიყო რევოლიუციის შემდეგი გაღრმავება უფრო მეტი მსხვერპლით, მაგრამ უფრო მეტი მონაპოვარით და მიღწევებით.

ამის ნიშნები თავიდანვე დაეტყო რუსეთის რევოლიუციას. მეფის ჯპორფირის, იმპერატორის კალთის ქვეშ ჩასახულს და განვითარებულ რუსეთის ბურჟუაზიას ისტორია ერთობ შესწყრა. ტახტის დაცემის შემდეგ მხოლოდ რვა თვის განმავლობაში იბოგინა მან ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე, მხოლოდ რვა თვით ერგო მართვა-გამგეობის სადავის ხელში პერა.

მაგრამ რევოლიუციის მსვლელობამ, ცხოვრების სინამდვილემ დაამტკიცა, რამდენად სუსტი, რამდენად უძლური იყო რუსეთის ბურჟუაზია რევოლიუცია საკუთარ პოზიციებზე შეეჩერებინა და ხელი შეეშალა მის სოციალურად გაღრმავებისათვის, სხვა კლასის პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონებისათვის.

ვეებერთელა ტერიტორია, რომელსაც ჰყრობდა რუსეთის იმპერია, ბურჟუაზიის ხანმოკლე ბატონობის დროს ანარქიამ და არევდარევამ მოიცვა. გარეშე ფრონტი, ომის საკითხი, რომელიც მთელი თავის სიგრძე-სიგანით წამოიჭრა! მეფის დაცემის პირველ დღესავე, დაუყონებლივ და გადაჭრილ ზომებს მოითხოვდა. ფრონტი მოიქანცა სამი წლის უაზრო და უთავბოლო ხოცვა-ჟლეტაში, ომის წინაალმდეგობის სულმა მოიცვა მთელი ლაშქარი

ბურჟუაზიამ აქ კვლავ ძველი გზით სცადა სვლა. რევოლიუციის სახელით, ხალხის კეთილდღეობის საფარქვეშ ომის გაგრძელება, მოითხოვა. ბურჟუაზიამ ამნაირათ ვერც ეს საჭირ ბოროტო კითხვა გადაჭრა, მას არც შეეძლო მისი სწორად და მშრომელი ხალხის სასარგებლოთ მოგვარება.

თებერვლის რევოლიუცია პურის და ზავის ლოზუნგის ქვეშ მოხდა, მეფის მთავრობის დაუდევარმა პოლიტიკამ, სამი წლის გაუგონარმა ომის სტიქიამ შთანთქა, გაანადგურა ხალხის ავლადიდება და ქვეყანა უფსკრულის პირათ მიიყვანა.

ბურჟუაზიამ ვერც აქ გამოიჩინა ორგანიზაციულ ფხიანობის რაიმე ნიშან წყალი. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა. შიმშილის ცელი მეტი ელვარებით შძვინვარებდა, ეკონომიური არევ დარევა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ ბურჟუაზია ვერ შესძლებდა ქვეყნის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, რომ ის უძლური იქნებოდა რევოლიუციისთვის წინაალმდეგობა გაეწია და თავის აპარტამენტებში, დამფუძნებელ კრების კედლებში მოემწყვდია.

ჯერ კიდევ ივლისის პირველ დღეებში იგრძნო მან მისი არსებობის უღღეურობა. რევოლიუციის მეხუთე თვეზე უკვე ხედავდა ის ვინ მოდიოდა ქვეყნის დასაპატრონებლათ, ვის უნდა აეგო წესი ბურჟუაზიის ბატონობისათვის.

მას შემდეგ მისი ბედნიერებისა დღითიდღე შავი ღრუბლებით იფარებოდა, მას შემდეგ დღითი-დღე ჰქრებოდა მისი ბატონობის ისედაც ოდნავ მბჟუტავი მზე.

25 ოქტომბერს-კი ბურჟუაზიის ბატონობისა მთლიანად და სამუდამოთ დაიფარა, 25 ოქტომბერს, მოთმინებიდან გამოსულ, ტანჯვის ფიალა აღვსილ ლენინგრადის მშრომე-



საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის 1923 წ. 25 აგვისტოს ყრილობა.

ხალხის ?რისხვა მთელი საშინელებით თავს დაატყდი რუსეთის ბურჟუაზიას და ყუვს-კრულში გადალეკა ის.

ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში. 25 ოქტომბრი-დან რევოლიუციონური მოძრაობა სულ სხვა ტემპით, სულ სხვა მიმართულებით მიდის. რე-ვოლიუციის გულში, რუსეთის ცენტრალურ რაიონებში დამარცხებული ბურჟუაზია საერ-თო ფრონტიდან პერიფერიებში იხევს და აქ იმაგრებს პოზიციებს პროლეტარიატთან სა-ბრძოლველათ.

რვა თვის განმავლობაში ანარქიის ცეცხლით მოკული ვეებერთელა მეფის ყოფილი ტერიტო რია დეცენტრალიზაციის სენმა შეიპყრო და ქვეყანა ცალკე ერთეულებათ დაქუცმაცდა. ამ სენს ვერც საქართველო გადაურჩა. 25 ოქტო-მბრიდან იწყება ქართველ მშრომელ ხალხის ახალი ტრაღედია. მუდამ რევოლიუციის მთ-ლიან ფრონტის მოტრფიალე, რუსეთის პრო-ლეტარიატთან მუდამ ერთი გზით მავალი ქა-რთველი მშრომელი ხალხი. 25 ოქტომბრის შემდეგ ადგილობრივ ბურჟუაზიულ პარტიე-ბის გავლენით მოსწყდა ამ ფრონტს და სა-ქართველოს ვიწრო ნაჭუჭში მოექცა.

სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან. მას ალყა შემოარტყა მსო-ფლიო კაპიტალიზმმა. სისხლიდან იცლებოდა მუშათა კლასი. ამ ხნის განმავლობაში მისი ყოფნა-არყოფნის კითხვა არა ერთხელ ეკიდა ბედის სასწორზე.

და ამ დროს ქართველი მშრომელი ხალხი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით გვე-რდზე იდგა, შორიდან მისჩერებოდა მის თა-ნამოძმის თავდავიწყებულ ბრძოლას. ეს კიდევ ცოტაა — მენშევიკური პარტიის ხელმძღვანე-ლები, რომელნიც სიტყვით ყველგან და ყო-ველთვის თითქოს პილატეს პოლიტიკას აწა-რმოებდენ, საქმით დენიკინ-ვრანგელს, რუ-სეთის კონტრ-რევოლიუციას აწვდიდენ იარა-ღს და ნავთს. ქართველი მშრომელი ხალხის სახელით ჩვენებური სოციალ-დემოკრატია — ღალატობდა ამავე ხალხის სასიცოცხლო ინ-ტერესებს და აფურთხებდა მის რევოლიუცი-ონურ წარსულს, მის რევოლიუციონურ დამ-სახურებას.

ის, რაც ვერ შესძლო ბურჟუაზიამ თებერვ-ლის რევოლიუციის დღეებში რუსეთის ფარგ-ლებში, თამამად გააკეთა ქართულ სოციალ-დემოკრატიამ ჯერ ამიერ-კავკასიის და შემ-დეგ საქართველოს საზღვრებში.



ყოილობის თავმჯდომარეები: ს. ფარნიევი. ნ. ბერეჟიანი, ი. თელია, ვ. სიხარულიძე,

**25 ოქტომბერი ეს პირველი დღე იყო, რომელმაც განსაკუთრებული, წაუშლელი კვალი დასტოვა ქართველ მშრომელ ხალხის რევოლიუციონურ ისტორიაში.**

**25 ოქტომბერი — პირველი 25 იყო, რომე-ლიც საბედისწერო შეიქმნა კერძოდ ქართულ სოციალ-დემოკრატიისათვის.**

ამ პარტიის მეოხებით მოხდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის საერთო ფრონტიდან დახევა, უფრო მეტი — ამ პარტიის გავლენით მოსწყდა ამიერ-კავკასია მთელი თავისი ეკონომიურ შე-საძლებლობით და ცოცხალ ძალით რუსეთის პროლეტარულ რევოლუციას.

სამ წელიწადზე მეტმა განვლო ამის შემ-დეგ. რუსეთის მშრომელი ხალხი სამკვდრო

ამიერ-კავკასიის სეიმი. ეროვნული საბჭო და შემდეგ დამფუძნებული კრება. აი ის პარლამენტარული გზა, რომელიც განვლო სა-ქართველოს მუშათა კლასმა ოქტომბრის დღეე-ბიდან.

სახელად სოციალისტურ მენშევიკურმა მთავ-რობამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმ-წიფოთ გამოაცხადა და ბურჟუაზიულ პარლა-მენტარიზმის გზით წარმართა ჩვენი ქვეყანა.

თითქოს მან არ იცოდა, თითქოს დაივიწ-ყა კიდეც მარქსიზმის სახელით მფიცავმა პარტიამ, რომ თანამედროვე პირობებში, რო-ცა ალებმიცემობა განვითარების უაღრეს წერ-ტილამდისაა მისული, როცა თვით ეკონომიუ-რათ ძლიერი სახელმწიფოების ბედიც კი გა-

დაჯაჭვულია სხვა ქვეყნის მეურნეობასთან და მაზეა დამოკიდებული, — პატარა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ბავშვური გულ-უბრყვილობა და პოლიტიკური უსუსურობა იყო.

საქართველო, რომელიც სუსტია ინდუსტ-რიით, სადაც მრეწველობა განვითარების პირ-ველ საფეხურებზე სდგას, საქართველო, სადაც სოფლის მეურნეობასაც არ მოხვედრია ჯერ კაპიტალისტურ წარმოების ქარი და ეხლაც კიდევ სხვისი პურით ირჩენს თავს, რა თქმა უნდა, ასეთ საქართველოს რუსეთიდან გამ-ოყოფის, განშორების შემდეგ უსათუოდ სხვა თავშესაფარი უნდა მოეძებნა და ასედაც მოხდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებიდანვე და ჯერ კიდევ ადრე, როცა სა-ქართველოს ცალკე ერთეულად გამოყოფის კითხვა მხოლოდ დისკუსიების და აზრთა გა-ცვლა გამოცვლის პროცესში იყო, ჩვენში უკ ვე შემოჭკრა დასავლეთ იმპერიალიზმის სუნმა.

„ჩვენ ქვეყანაში უნდა შემოიჭრას ან ინგ-ლისის კაპიტალი, ან გერმანიის. ეს მოხდება ყოველივე პირობებში. დღეს, როგორც სჩანს, ჩვენი ქვეყანა გერმანიის კაპიტალის სარბიე-ლათ ხდება“[1]).

ასე სწერდა მენშევიკურ პარტიის და მთავ-რობის ოფიციოზი „ერთობა“ დამოუკიდებ-ლობის გამოცხადების თვენახევარის წინათ.

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ, რომე-ლიც გრძნობდა ამ აუცილებლობას, რომელმაც იცოდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება დასავლეთ იმპერიალიზმის თათის ქვეშ მოაქ-ცევდა ჩვენს ქვეყანას და მის შრომელ ხალხს, შეგნებულათ განაგრძო ამ გზით სვლა. მან მისი ლიდერის ჟორდანიას სიტყვით, ხელაღე-ბით უარჰყო პროლეტარულ რევოლიუციას-თან კავშირი, მან „აღმოსავლეთის ფანატი-კოსებს დასავლეთის იმპერიალიზმი“ არჩია.

ამით საქართველოს სოციალ დემოკრატიამ ისტორიის წინაშე მიუტოვებელი და გაუსწო-რებელი დანაშაული ჩაიდინა.

ადრე თუ გვიან მას უნდა ეგო პასუხი მშრომელი ხალხის წინაშე, ადრე თუ გვი-ან მას უნდა მიზღოდა შესაფერისი სას ჯელი.

დამოუკიდებლად გამოცხადებული საქართ-ველო იმპერიალიზმის სათამაშო ბურთად გა-დაიქცა. სამი წლის განმავლობაში განუკით-ხავად დათარეშობდა აქ ევროპის იმპერია-ლიზმი.

ქვეყანას არ ეტყობოდა ეკონომიური გაუმ-ჯობესების ნიშნები. მუშათა კლასის მდგომა-რეობა დღითი-დღე უარესდებოდა.

ეროვნულ შუღლის ავ სულმა მოიცვა მთელი ამიერ-კავკასია: ომი სომეხ-თათართა შორის, ომი სომეხ-ქართველებს შორის, ომი ქართ-ველ-ოსების შორის, განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა სომეხ-მუსულმანების შორის. ასეთი იყო შედეგი ეროვნულ ფრონტზე დამოუკი-დებლობის გამოცხადების პირველ დღეები-დანვე.

საბოლოოთ გაჰქრა, კაციჭამიობის, შოვი-ნიზმის ლაფში ამოისვარა ოდესღაც ამაყად

---

[1]) „ერთობა“ № 83, 11 აპრილი, 1918 წელი.

მოფრიალე სოც.-დემოკრატიის ეროვნულ სოლიდარობის დროშა.

სამი წლის განმავლობაში ვერ შესძლო ქართულ სოციალ-დემოკრატიამ ვერც სოფლის კითხვის გადაჭრა. კუდმოკვეცილი მიწის რეფორმა, რომელიც დიდის ვაი ვაგლახით მიიღო დამფუძნებელ კრებამ, სინამდვილეში არარად იქცა. მენშევიკურ პოლიტიკის ბუნებრივ სიზანტემ და ორჭოფობამ, კანცელიარიის რუტინამ და თავად-აზნაურობის წინააღმდეგობამ ეს რეფორმა ენუქას ანდერძათ გადააქცია.

მშრომელ გლეხობას სული ეხუთებოდა, სოფლის მეურნეობა დღითი-დღე პარტახტებოდა და უკან მიექანებოდა.

ამას შედეგად მოყვა: აჯანყება სამეგრელოში, აჯანყება ოსეთში, აჯანყება დუშეთში, აჯანყება აფხაზეთში, აჯანყება გურიაში და ასე დაუსრულებლივ.

ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდა დემოკრატიული მთავრობა სოფლის მშრომელ გლეხობას. მენშევიკურ მთავრობის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ერთი წუთით არ შეუსვენია ქართველ მშრომელ ხალხს, ერთი დღითაც არ ჩაგებულა ქარქაშში მის წინააღმდეგ მოქნეული ხმალი.

ყოველივე ამას დემოკრატიული მთავრობა ხალხის კეთილდღეობის, მის კეთილმოსურნეობის სახელით სჩადიოდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რუსეთის სამოქალაქო ომის ფრონტზე გამარჯვების სასწორი პროლეტარიატისაკენ გადაიხარა.

სისხლიდან დაწურული, ეკონომიურ სიდუხჭირის ქარტეხილში გავლებული რუსეთის მუშათა კლასი ბრძოლის ცეცხლიდან გამარჯვებით გამოდიოდა.

კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელი ციხესიმაგრე, დენიკინ-ვრანგელის რეაქციონური ხროვა განადგურებული, მიწაზე განართხული იყო. ოქტომბრის რევოლიუციის ცეცხლის ალში გატარებული წითელი დროშა ამიერკავკასიის ქედსაც მოადგა. შეშინებულმა ანტანტამ ამიერ-კავკასიის წვრილ რესპუბლიკათა ეფემერული დამოუკიდებლობა იურიდიულათ დააკანონა და ამით სურდა ზღუდე აემართა ბოლშევიზმისა და კაპიტალიზმის შორის მცირე აზიაში.

ქართულ სოც.-დემოკრატიამ ეს თავის გამარჯვებათ მონათლა. მის სოციალისტურ ყოყოჩობას და მედიდურობას ფრთები ერთი ათად გაეზარდა. მან არც ამ შემთხვევაში მოისურვა რუსეთის პროლეტარიატთან კავშირი, მან არც მაშინ გაუწოდა ძმობის ხელი ამ პროლეტარიატს, როცა ის შინაურ მტრებზე გამარჯვებული საქართველოს კარებთან იყო მომდგარი.

მაგრამ ამ ჯიუტობასაც დასასრული უნდა მისცემოდა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, რომელიც მთლიანად ევროპის ყურმოჭრილ მონათ გადაიქცა და არსებითად ანტანტის ფილიალურ განყოფილებას წარმოადგენდა ამიერ-კავკასიაში, ბოლოს და ბოლოს ისევე უნდა ჩაბარებოდა ისტორიის არქივს, როგორც მთელი რიგი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სხვა დემოკრატიული მთავრობებისა.

ამ დროსაც დიდხან არ დაუყოვნებია.



## ამხ. კ. შენგელია

ძველი მუშა, ს.-დ. პარტიის წევრი იყო 1901 წლიდან. რკინის-გზის მემანქანე, მეფის მთავრობის მიერ დაპატიმრებული იყო 1901 წელს. მას შემდეგ მრავალ დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას. 1923 წელში ამხ. კ. შენგელია ერთი ინიციატორთაგანი იყო ყოფილ მენშევიკების კონფერენციის ჯერ სამტრედიის რაიონში და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში.

ამხ. კიმოთე დიდი სიმპატიით და ნდობით სარგებლობს საქართველოს მუშების და გლეხების წრეებში.

ამჟამად ის ქუთაისის მაზრის აღმასკომის წევრი და ინსტრუქტორია.

**25 თებერვალი, აი, ის მეორე 25 რიცხვი, რომელმაც დასავლეთის იმპერიალიზმის უკანასკნელი ნავთსაყუდელი გააქარწყლა ამიერკავკასიაში და მასთან ერთად ბოლო მოუღო დემოკრატიულ მთავრობის ბატონობის დღეებს.**

ქართული სოციალ-დემოკრატია უბრძოლველად არ ყრიდა ფარ-ხმალს. თბილისის ბჭეებზე, ისტორიულ კრწანისის მინდვრათ შეებრძოლა ორი სოციალისტური მიმდინარეობა ერთი-მეორეს. თეორიულ კამათის, წიგნებისა და გაზეთების ფურცლიდან ოპორტუნისტულ და რევოლიუციონურ მარქსიზმის შორის ბრძოლა მინდვრათ გაიმართა და თოფ-ზარბაზანი ამეტყველდა კალმისა და ენის ნაცვლად.

ქართულ მენშევიზმის მამამთავრის—ჟორდანიას სიტყვით ბოლშევიზმის სამარე თბილისის კარებთან უნდა გათხრილიყო.

ბედმა აქ მწარეთ დასცინა ქართულ სოციალ-დემოკრატიას. თბილისის კარებთან გაითხარა სამარე, მაგრამ ეს სამარე მენშევიკური პარტიის გვამისათვის მუდმივ ბინად გადაიქცა.

25 თებერვალს მოხვდა უკანასკნელი და სასიკვდილო ლახვარი ქართულ მენშევიზმის სახით საერთაშორისო ოპორტიუნისტულ-სოციალიზმის მიმდინარეობას. ქართული სოც.-დემოკრატიის დამარცხებით—დამარცხდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია.

ამის შემდეგ საქართველოს მშრომელი ხალხის გზა სხვა მიმართულებით გადაიხარა. 25 თებერვლიდან საქართველოს მშრომელი ხალხი კვლავ დაუბრუნდა რუსეთის მთლიან რევოლიუციურ ფრონტს, რომელთანაც ის ისტორიულათ იყო დაკავშირებული. ამ დღიდან საქართველოს მუშათა კლასი ჩაება სოციალისტურ აღმშენებლობის ფერხულში და მხარში ამოუდგა რუსეთის პროლეტარიატს.

ბრძოლის ველზე დამარცხებული, რევოლიუციის ნიჩბით საზღვარ-გარეთ გადასროლილი ქართული მენშევიკური პარტია მაინც თავისას არ იშლიდა.

მან მთელი თავისი ძალები საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში ჩააბა. ის თავიდანვე აშკარა შეურიგებლობის, დაუნდობელ მტრობის გზაზე დაადგა. ამ ბრძოლის დროს მას თვალი კვლავ ძველ ნაცნობ დასავლეთის იმპერიალიზმისაკენ ეჭირა, ის კვლავ გარეშე დახმარების იმედით იბრუნებდა სულს.

ამავე დროს სამოქალაქო ომის დასრულებამ, შინაურმა ზავმა საშვალება მისცა რუსეთის პროლეტარიატს ომისაგან დანგრეულ, გაპარტახებულ ქვეყნის მეურნეობისათვის მიეხედნა და მშვიდობიან, აღმშენებლობით შრომას შესდგომოდა.

აქაც, ეკონომიურ ფრონტზედაც, პოლიტიკურათ გამარჯვებულმა მუშათა კლასმა დიდი ორგანიზაციული უნარი გამოიჩინა. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ქვეყნის მეურნეობა ფეხზე წამოდგა და ნელი, მაგრამ შეუპოვარი ნაბიჯით გაემართა წინ.

მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა, სწავლა-განათლების კითხვა, აგრარული რეფორმა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის სვე-ბედი—გამარჯვებულმა პროლეტარიატმა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ წარმართა.

ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი, მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალი ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო რევოლიუციის მამოძრავებელ ცენტრად გადაიქცა. მისი გაბედული, მსოფლიო ბურჟუაზიასთან შეურიგებელი პოზიცია დღითი-დღე ახალს და ახალ მუშათა ლაშქარს იკრეფს.

ამავე დროს რეაქციის გაძლიერება კაპიტალიზმის სამყაროში, ფაშისტური და ნაციონალისტური ვაკხანალია დასავლეთ ევროპაში, მეორე ინტერნაციონალის მოღალატური როლი ომისა და ზავის საკითხში, ევროპის ეკონომიურ ქაოსის მოუწესრიგებლობა, რევოლიუციონურ მოძრაობის ტერორისა და რეპრესიების ქვეშ დაყენება—ასეთი იყო და არის მდგომარეობა ბარიკადების იქითა მხარეს.

რა თქმა უნდა ამის შემდეგ, რომ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი, მისი რევოლიუციური ძლევამოსილობის პრესტიჟი ერთი ათად გაიზარდა საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში და განმტკიცდა, გასარკვევი საკუთარ ქვეყნის ფარგლებში.

ქართული სოც.-დემოკრატია, განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილი დიდხანს ვერ დარჩებოდა გარეშე იმედის მაცქერალი. მისთვის აშკარა შეიქნა რასაც მოუტანდა უცხო ძალის კვლავ ჩვენ ქვეყნის საზღვრეზში შემოჭრა, მისთვის ნათელი გახდა რას მოასწავებდა საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება.

დიდი ხნის ნაგუბებ წინაალმდეგობის და შინაგან ბრძოლის ბოლმამ, ძველი და ახალი გზის მრავალ-ჯერ აწონ-დაწონვამ—ქართული სოციალ-დემოკრატიის შეგნებული, რევოლიუციისათვის ჯერ სავსებით დაუკარგავი ელემენტი ბოლოს და ბოლოს აამეტყველა და ავანტიურის, ბრძოლის გზაზე ხელი აალებინა.

წარსულ წლის გაზაფხულიდან ეს პროცესი, პროცესი სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ რღვევის, ელვის სისწრაფით წავიდა წინ.

კონფერენცია ცალკე რაიონებში, კონფერენცია მაზრებში, კონფერენცია ქალაქებში და პარტიულ ორგანიზაციების დაშლილად გამოცხადება—ასეთი იყო ის გზა, რომელიც გადაჭრით, გაბედულათ აირჩია მენშევიკურ პარტიის გაბოროტებულ მშრომელმა მასამ.

ამ პროცესს ვერც თითო ოროლა სალათ მოაზროვნე ინტელიგენტი გადაურჩა. მასასთან ერთად ს.-დ. პარტია მის გამოჩენილ თეორეტიკოს-ინტელიგენტებმაც მიატოვა.

მთელ ამ მოძრაობას შედეგათ მოჰყვა მენშევიკურ პარტიის სრულიად საქართველოს 25 აგვისტოს ყრილობა, სადაც უკანასკნელი, გადამწყვეტი განაჩენი იქნა გამოტანილი სოციალ-დემოკრატიის მომავალ ბედ-იღბალზე.

ყრილობამ პარტია დაშლილად, გაუქმებულათ გამოაცხადა.

ეს იყო მესამე 25 ქართულ სოც.-დემოკრატიის ცხოვრებაში.

ამ დღეს მენშევიკური პარტიის მუშურ, გლეხური ელემენტი კვლავ დაუბრუნდა რევოლიუციის კერას. ეს ყრილობა ხიდათ გაედო იმ უფსკრულზე, რომელსაც უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში თხრიდა ქართული სოციალ-დემოკრატია ორ მოძმეთა შორის.

**25 ოქტომბერი** – განშორების, გათიშვის და განცალკევების დღე იყო ჩვენსა და რუსეთის პროლეტარიატის შორის;

**25 თებერვალი** — ისტორიულ უკულმართობის, ძმათა შორის სისხლის დაღვრის დღეა— როცა სოციალ-დემოკრატიის მიერ წითელ დროშის წინაალმდეგ უაზრო ბრძოლაში მშრომელი ხალხის უმანკო სისხლი დაიღვარა;

**25 აგვისტო** — რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობის, მშრომელი ხალხის ერთსულოვანობის და ძმათა შორის სოლიდარობის დღეა.

**გაუმარჯოს 25 ოქტომბერს!**

**გაუმარჯოს 25 თებერვალს!**

**გაუმარჯოს** მათგან შობილ **25 აგვისტოს!**

# სწორი გზა

25 აგვისტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ისტორიაში პარტიის მოქმედება-მოღვაწეობის, ტაქტიკის გადაფასების დღეთ ჩაიწერება.

შარშან ჩვენ, ჯერ ცალ ცალკე, შემდეგ რაიონების კონფერენციებზე და უკანასკნელად 25 აგვისტოს სრულიად საქართველოს სოცილ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობაზე, ჩვენი წარსულის მოქმედება-მოღვაწეობის ტაქტიკის გადაფასება მოვახდინეთ.



ამხ. ს. ფარნიევი.

პირველ ხანებში ჩვენ არ ვიცოდით პარტიის წევრების უმრავლესობა რას იტყოდა, ვის გაყვებოდა. ჩვენ დაუნდობლად გვებრძოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საზღვარგარეთ არსებული ბიურო. მათ მხარზე იყო მეორე ინტერნაციონალი თავისი ავტორიტეტით, მათ მხარეზე იყვნენ ბევრი ჩვენში ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. ბეჭდავდენ მოწოდებებს, ფურცლებს, წიგნებს და გაზეთსაც, სადაც გვაცხადებდენ პროვოკატორებათ, გამყიდველებათ, მოღალატეებათ, პარტიის ზედმეტ ბარგათ, მშიშარეებით, საყვედურს გვეუბნებოდენ აჩქარებისთვის და სხვა.

კრებებზე, კონფერენციებზე და ყრილობაზედაც გამოდიოდენ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები სიტყვებით, მიუხედავად ყველა ამისა, მათ არავინ გაყვა. პირიქით, დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც ჩვენ არ გვეთანხმებოდა, თანდათან გაიზიარა ჩვენი პლატფორმა, გადმოვიდა ჩვენსკენ. თვით ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, სეით დევდარიანიც კი იძულებული გახდა ძველი გზა უარეყო და ეს საქვეყნოთ განეცხადებია.

25 აგვისტოს ყრილობის დადგენილება-მიმართვა-დეკლარაციების შესახებ ჩვენ გაგვცეს პასუხი ნოე ჟორდანიამ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, სეით დევდორიანმა და ყოფილი პარტიის ყოფილ ცენტრალურ კომიტეტის მიერ მოწვეულმა არალეგალურ კონფერენციამ.

25 აგვისტოს ყრილობამ სთქვა, საბჭოთა სისტემის, მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხებას მოყვება რეაქციის, თავად-აზნაურობის, მემამულეების გაბატონება, და, ვინც აქეთკენ მოუწოდებს საბრძოლველად, ჩვენ მის წინაალმდეგ ვიბრძოლებთო.

ნოე ჟორდანია გვეუბნება, სცდებით, აჩქარებულხართ, გიღალატნიათ რევოლიუციისათვის და, სანამ გვიან არ იქნება, სანამ კიდევ დრო გაქვთ, იფიქრეთ, დაბრუნდით უკან, იბრძოლეთ საბჭოთა სისტემის დასამხობათ და დემოკრატიული,-პარლამენტარული წესწყობილების დასამყარებლადო.

გრიგოლ ლორთქიფანიძეს აზრით საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას მემამულეთა, თავად-აზნაურობის უსაშინელესი რეაქცია მოყვება, რომელიც მუშათა კლასის უფლებებს ნაცარმტვრათ აქცევს და ამიტომ ყველა სოციალისტის მოვალეობაა საბჭოთა რესპუბლიკებთან თანამშრომლობაო. სეით დევდარიანი ამბობს: არ გაუშვათ ხელიდან პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციონური დროშა, მეც თქვენთანა ვარო. ყოფილი პარტიის ყოფ. ცეკამ და მის კონფერანციამ კი დაადგინა: ევროპის მმართველ წრეებში ვიმუშავოთ საქართველოს საკითხის გადასაჭრელადო.

დღეს 25 აგვიტოს, ერთი წლის თავის აღსანიშნავად საჭიროა მოკლედ ყველა დასახელებულის აღნიშვნა, რათა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ გამარჯვებული გამოვედით ამ უთანასწორო ბრძოლაში, არ გავყევით ბოლომდის იმ პოლიტიკას, რომელსაც მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა მეორე ხარისხოვანი საქმე ჰგონია და ეროვნულ მომენტს აყენებს პირველ რიგში და ისიც მმართველ წრეებთან შეთანხმების ფარგლებში. ჩვენ ხელი ავიღეთ მუშათა და გლეხთა მართვა-გამგეობის სისტემის წინაალმდეგ ბრძოლაზე, პირიქით მისი საბოლოვოდ გამარჯვება-განმტკიცებისთვის ბრძოლა დავისახეთ მიზნათ და დეე, ამისთვის მთელმა მუშათა კლასმა დაგვდოს თავისი მსჯავრი. ჩვენ ვივლით ამ გზით ვინც არ უნდა გადაგველობოს წინ, ჩვენ წავალთ წინ მუშათა კლასთან ერთად—აქ არის ჩვენი ისტორიულ დანიშნულების გზა, აქ არის ჩვენი მისწრაფების საგანი. და, დაე, უკან დარჩენილებმა ამისთვის ლანძღვა-გინებით მოგვიხსენიოს.

ჩვენი წინამძღოლი, გზის გამშუქებელი ლამპარი ამ შემთხვევაში-ჩვენი სიმართლის და რევოლიუციონურ მოვალეობის მტკიცე დაურყევი შეგნება იქნება.

ამ საპასუხისმგელო ნაბიჯის გადადგმის დროს, ამ ისტორიულ მოვალეობის გზით წინამსვლელობის ჟამს, ჩვენ ერთხელ კიდევ მოვიგონებთ იტალიელ მგოსანის მარქსის საყვარელ სიტყვებს:

„გაჰყევ შენ გზასა და, დეე, ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს“.

# რა იყო და რა არის?

Слушай, Гора, я хочу тебе кое что сказать. Мне кажется, что в той любви, которую мы питаем к нашей родине, есть какой то изъян (Рабиндранат Тагор. „Гора“)

***

ყოფილი მენშევიკების საინიციატივო ბიურომ მომმართა, პრინციპიალური ხასიათის წერილი მოგვაწოდე ჟურნალისთვისო. როგორც მკითხველი ხედავს, მე უარი არ მითქვამს ამ წინადადებაზე. ყოველთვის ვიყავი და ვარ იმის მომხრე, რომ თითეული საკითხი, სადაოა ის თუ არა, პრინციპიალურათ იქნეს დაყენებული.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში 25 აგვისტო უთუოთ დიდი საკითხია. არ შეიძლება მისი მოგერება და თავიდან აშორება, როგორც უბრალო მომაბეზრებელი ბუზის.

მე ეს ვთქვი დიდი ხანია ჩეკაში ჩავარდნამდისაც... ვთქვი, რომ 25 აგვისტო უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ჩვენ ვხსნიდით არალეგალურ გამოცემებში. ჩემთვის ცხადი იყო მაშინვე, რომ სოც.-დემ. პარტიის ტაქტიკა საქართველოს საკითხში ვერ აკმაყოფილებს პარტიულ წრეებს. ესენი, ფხვიეროზე გრძნობდენ თავს, აშკარად ხედავდენ, ვერ რწმუნდებოდენ იმაში, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის გზა არ არის გზა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ, მის წინმსვლელობისკენ.

პარტიულ წრეებს არ ქონდათ, ან ნაკლებათ ქონდათ იდეური სიმტკიცე. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩეკამ იხმარა ძალდატანება, საქმე უფრო იმაშია, რატომ მიეცა გასავალი ჩეკის ამნაირ პოლიტიკას. არ მიეცემოდა გასავალი ან ნაკლებათ მიეცემოდა, რომ ს.-დ. პარტიის ტაქტიკა გამომდგარიყო ნათელი, სწორი გზის მაჩვენებელი და პარტიული წრეების მტკიცეთ შემაკავშირებელი.

აქამდის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი და ყოფილი მენშევიკების საინიციატივო ბიურო, თითქო ერთი ხელის გაქნევით იგერებდენ ერთმანეთს: ყოფილი მენშევიკები არ არსებობენ ორიოდ-სამიოდე მოღალატის გარდა, მენშევიკური პარტია აღარ არსებობს რამოდენიმე ავანტიურისტის გარდაო...

„სიმართლის ხმა“ არ უნდა იჯერებდეს გულს იმითი, რომ არალეგალური ცენტრალური კომიტეტი ვერც ერთ საკითხს ვერ აყენებს პრინციპიალურათ და არაფერს არ იძლევა რევოლიუციონური სიტყვიერების მეტს.

***

მე სიამოვნებით ვეცდები შევიტანო ჩემი პატარა წვლილი იდეურ მუშაობაში, როგორიც უნდა იყოს ჩემი უთანხმოება ყოფილ მენშევიკებთან. არ დავიწყებ აქეთ იქით ყურებას ჩეხოვის „человек в футляре“-სავით და არ ავბორძიკდები იმის შიშით, რომ ვინმეს არ მოეწონება ესა თუ ის ჩემი აზრი. ერთმა დიდი ხნის მეგობარმა-ამხანაგმა მითხრა. დიდი გამბედაობაა შენ მხრივ, რომ არ ერიდები სახელის წახდენას და შეგაქვს ცვლილება ერთხელვე მიღებულ აზრებშიო. უნდა ვსთქვა, რომ, ჯერ ერთი, მარქსისტისთვის არ არსებობს აზროვნებაში ობლომოვის ლოგინი. მარქსისტი ვერ დაემგვანება იმ ცხონებულ ობლომოვს, რომელიც ერთ ლოგინს ვერ შორდებოდა. მე, როგორც მარქსისტი, ვერ ვიტყვი, რომ ერთ კალაპოტში მოქცეულ აზრს კრიტიკულ თვალს ვერ უნდა უსწორებდე, კრიტიკულ სიოსაც არ უნდა აკარებდე. მეორე, ჩემ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში გამოსავალ წერტილათ მქონდა ყოველთვის ხალხის ინტერესი და არა სახელი, სახელისთვის მე არასოდეს არ მიმუშავნია. მე გავაკეთებ და ვიტყვი იმას, რაც ჩემის აზრით მშრომელი ხალხის, ერის ინტერესებს შეეფერება.



ამხ. სეით დევდარიანი
(უკანასკნელი სურათი)
ს.-დემ. პარტიის ცეკას ყოფ. თავმჯდომარე. პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, კარგად ცნობილი საქართველოს, უკრაინის და ბაქოს მუშებში.

***

ვიმეორებ, მე არ მეშინია აზრის გამოცვლის, როცა საჭიროთ მიმაჩნია ეს გამოცვლა. მაგრამ მე აზრი არ გამომიცვლია. ეროვნულ საკითხში -- საქართველოს საკითხში ვდგავარ რევოლიუციონური მარქსიზმის ნიადაგზე, როგორც ვიდექი აქამდის. აზრის გამოცვლას მე ვხედავ, პირიქით, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წრეებში. იმ წრეებში, რომლებსაც თავი გამოაქვთ საქართველოს ნამდვილ მესვეურებათ.

აზრი გამოიცვალა ეროვნულ საკითხში, საერთოთ, მეორე ინტერნაციონალმა და იმას მიყვება საქართველოს სოციალ-დემოკრატიაც. მსოფლიო ომამდის მეორე ინტერნაციონალი გამოდიოდა საერთაშორისო ინტერესებიდან და ისე უდგებოდა ეროვნულ საკითხს. თითონ ვანდერველდეც კი ამბობდა შტუტგარტის კონგრესზე, ომის დროს, ჩვენ უფრო ახლოს უნდა ვიყოთ ჩვენ წინაალმდეგ მეომარ სახელმწიფოების სოციალისტებთან და მუშათა კლასთან, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მმართველ წრეებთანო [1].

ეს იყო მარქსისტული შეხედულება. მარქსი და ენგელსი, 1870-71 წლებში, საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს სწერდენ, ჩვენ თავი უნდა დავიცვათ, როცა საფრანგეთის მეთაური ნაპოლეონ მესამე გვებრძვის, მაგრამ ყოველ წუთს ხაზს უნდა ვუსვამდეთ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთ-გერმანიის მუშებს არაფერი აქეთ ერთმანეთთან საჩხუბარი, რომ ერთი და იგივეა მათი ინტერესებიო [2].

ამ შეხედულებაზე იდგა მეორე ინტერნაციონალი 1889-დან 1914 წლამდე. ის აღიარებდა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასის თანამშრომლობას, იმას არ სწამდა მოწინააღმდეგე კლასების თანამშრომლობა ერთსა და იმავე ქვეყანაში.

კლასთა თანამშრომლობის მომხრეები — ოპორტიუნისტები იყვენ, რასაკვირველია, მე-II ინტერნაციონალშიაც, მაგრამ ისინი მარცხდებოდენ საერთაშორისო კონგრესზე. იმარჯვებდენ ხოლმე რევოლიუციონური მარქსისტები. ისინი, ვინც კლასთა ბრძოლის გზაზე იდგენ და ამ გზით მიდიოდენ საკაცობრიო იდეალებისკენ, სოციალიზმისკენ. ოპორტიუნიზმის მეთაურები იყვენ ჟორესი, ვანდერველდე. ამ მიმართულებას ემხრობოდა მეტი წილი ევროპის სოციალისტების, რევოლიუციონური მარქსიზმის წარმომადგენლებათ გამოდიოდენ: პლეხანოვი, ლენინი, კაუცკი. ამ მიმართულებაზე იდგენ გერმანიის, რუსეთის, ბალკანეთის, იაპონიის სოციალისტები.

ამსტერდამის კონგრესზე 1904 წელს მოხდა დიდი შეჯახება ორი მიმართულების. კითხვა იდგა, სხვათა შორის, უნდა ქონდეს საერთაშორისო სოციალიზმს შეთანხმებული მთლიანი ტაქტიკა, უნდა მიდიოდეს ის კლასთა ბრძოლის გზით, თუ ცალკ-ცალკე ქვეყნების სოციალისტებს შეუძლიათ თავიანთი განსაკუთრებული ხაზი შეიმუშაონ და პირველ რიგზე იქონიონ თავ-თავის ქვეყნის ინტერესები. ჟორესი და მისი მიმდევრები დამარცხდენ ამ კონგრესზე. გავიდა მემარცხენე სოციალისტების რეზოლიუცია, გავიდა პოლიტიკურათ ჩამორჩენილი ქვეყნებიდან მოსული სოციალისტების ხმებით. ევროპიელებს არ მოეწონათ ეს. კენჭის ყრის შემდეგ ადგა ბელგიის ერთი ერთი წარმომადგენელი ანზელე და სთქვა:

— მე რომ რუსეთის, ბოლგარიის, ისპანიის, პოლონეთის ან იაპონიის სოციალისტი ვიყო, უთუოთ თავს შევიკავებდი ამ საკითხში და ვერ დავიწუნებდი იმ სოციალისტურ ტაქტიკას, რომლის გატარებაც მე არ შემიძლია ჩემ საკუთარ ქვეყანაშიო.

ანზელეს პირით ევროპის ოპორტიუნიზმი ეუბნებოდა აღმოსავლეთის რევოლიუციონურ სოციალიზმს: ევროპაში პოლიტიკური თავისუფლებაა, დემოკრატიაა, აღმოსავლეთის ქვე-

---

[1] იხ. ანვარ. შტუტგარტის კონგრესის რუს. ენაზე.
[2] მარქსის და ენგელსის მიწერ-მოწერა, 1870 1871 წლების წერილებიდ ნ.

ყნები მოკლებული არიან ამ სიკეთეს, ამითი ხიხსნება შეურიგებლობა იქაური სოციალისტების, ევროპაში კი შესაძლებელია ბურჟუაზიასთან, მმართველ წრეებთან ერთათ მუშაობა. ამიტომ მე ჩემთვის, შენ შენთვისო.

რუსული მენშევიზმის მეთაური მარტოვი ამის გამო აყენებდა საკითხს.

**უნდა იყოს სოციალიზმი ეროვნული თუ საერთაშორისოო** *). მარტოვი ცხარეთ ილაშქრებდა ანზელეს სიტყვებში გატარებულ აზრის წინააღმდეგ და ამბობდა, ევროპის მმართველი წრეები მხარს უჭერენ რუსეთის თვით მპყრობელობას. როცა ევროპის სოციალისტები თანამშრომლობენ ევროპის მმართველ წრეებთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინიც ზურგს უმაგრებენ რუსეთის და საერთოთ აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურათ ჩამორჩენას. ეს კი საბოლოოთ დამღუპველია საერთაშორისო მუშათა კლასისთვის, რადგან რუსეთის თვითმპყრობელობა სულს უდგამს ევროპის რეაქციასო. ან ბურჟუაზიასთან ერთათ მსოფლიო პროლეტარიატის წინააღმდეგ, ან ამ უკანასკნელთან გაერთიანებული ანტირევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეროვნული, თუ საერთაშორისო სოციალიზმი, ასე დგას საკითხი, ამსტერდამის კონგრესმა მიიღო დრეზდენის **) რეზოლიუცია და ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ამითი კლასთა ბრძოლის საერთაშორისო ამოცანები უფრო მაღლაა დაყენებული, ვიდრე შემთხვევითი და დროებითი მიღწევა „ეროვნული“ მოძრაობის ამა თუ იმ ქვეყანაშიო.

*) „Искра“, 25 აგვისტო, 1904 წ. № 72 Л. Мартов: „Быть ли социализму национальным“.

**) რეზოლიუცია, რომელიც გავიდი ამსტერდამის კონგრესზე, მიღებული იყო გერმანიის სოც. დემ. პარტიის პარტეიტგზე დრეზდენში.



ამხ. ნ ცირეკიძე.

ჭიათურის მუშა. ს.-დ. პარტიაში შევიდა 1905 წ. მეფის მთავრობის მიერ დიდ დევნას განიცდიდა. იყო დაპატიმრებული 1905 წ. სამი თვით და 1909 წ. 18 თვით.

ასე ათავებდა თავის წერილს მარტოვი და მის სიტყვებში იხატებოდა აზრი მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის, საქართველოსიც, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მაშინ, როგორც ვიცით, მთლიანათ შედიოდა რუსეთის ს.-დ. პარტიაში.

* *

რევოლიუციონური მარქსისტები ვერ იჯერებდენ გულს ამსტერდამის კონგრესზე გამარჯვებით და მომავალს უყურებდენ რაღაც უიმედო თვალით. მე ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვეთო, სწერდა გ. პლეხანოვი, მაგრამ გასახსენებლათაც კი მეზარება, რომ ამისთანა სამარცხვინო ტაქტიკას მომხრე გამოუჩნდა სოციალისტების საერთაშორისო კონგრესზე; და მის წინააღმდეგ ერთსულოვანი აღშფოთებით არ გაილაშქრა მთელმა კონგრესმა... საუცხოვო იქნება, ჩემის აზრით, მხოლოდ ის ყრილობა, რომელსაც არ შეემჩნევა ამნაირი ნაკლი. სად და როდის შედგება ეს საუცხოვო საერთაშორისო ყრილობა, მე არ ვიცი. მეტს ვიტყვი, არ ვარ დარწმუნებული, რომ ის როდისმე შედგება. ვაი თუ სულაც არ შედგეს, ძალიან ადვილათ შეიძლება, მოსალოდნელიც არის, რომ ვერ მოვესწრებით ამისთანა ყრილობას რევოლიუციამდისაც, ე. ი. სანამდის მუშათა კლასის ხელში გადავიდოდეს ძალაუფლება. თანამედროვე სოციალიზმი ვერ განთავისუფლდება ოპორტიუნისტული სიმსივნისგან. სწორეთ ამიტომ ვერ ვართ იმედიანათ. ჩვენი მტერი დამარცხდა, ეს ძალიან კარგია... მაგრამ ჯერ ის არ მოსპობილა. მისმა მთავარმა ძალებმა — ჟორესმა და ჟორესის მიმდევრებმა უკან დაიხიეს წესრიგის დაცვით (отступили в порядке), არ შეუჩერებიათ ძლიერი სროლა ჩვენ წინააღმდეგ და, ეტყობა, გადაჯგუფებას აპირებენ ახალი ბრძოლისთვის. თუ ეს ასეა — და განა ეს ასე არ არის? მარქსისტებმა არ უნდა დაჰკარგონ არც ერთი წუთი, უნდა სდევნონ დამარცხებული მტერი და არ მოიტყუონ თავი იმ უსაფუძვლო იმედით, რომ ეს მტერი აღარ არსებობსო *)



ამხ. ლ. ქენია.

გურიის ძველი რევოლიუციონერი-გლეხი. ს.-დ. პარტიაში ირიცხებოდა 1900 წლიდან. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყაზახების თავდასხმაში ცნობილ ნასაკირალის ხიდზე. 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა სოფლის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში. და კულტურულ ეკონომიურ ფრონტზე.

ასეთივე უიმედობის კილო ისმოდა საფრანგეთის დიდი მარქსისტი, ჟიულ გედის სიტყვებში. პარიზის კონგრესზე ეს დიდი მარქსისტი ამბობდა:

—ნიადაგი უმზადდება ახალ ომებს, ეს ყოველ დღეა მოსალოდნელი... ეს იქნება კომერციული, კოლონიალური ომები ბაზრების დასაპყრობათ. ეს იქნება ომები იმ მიზნით, რომ ყვითელ კანიანებს შორეულ აღმოსავლეთში და შავ კანიანებს შუაგულ აფრიკაში თავზე მოახვიონ დამპყრობლებმა თავიანთი საქონელი. ამ მხრივ ჩვენ უნდა მოველოდეთ შეუწყვეტელ ომებს, მათ ექნებათ წმინდა კაპიტალისტური ხასიათი. ეს იქნება სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტების შეჯახება მეტი მოგების საშოვნელათ. ჩვენი ფულით და სისხლით დაიწყებენ მსოფლიო ბაზრის გლეჯას ერთმანეთის ხელიდანო. და აი, წარმოგიდგენიათ თუ არა თქვენ, რომ ევროპის თითეულ სახელმწიფოს მთავრობაში ზის თითო სოციალისტი და მონაწილეობას იღებს ამ კაცთაკვლაში? წარმოგიდგენიათ თუ არა თქვენ ინგლისის, იტალიის, გერმანიის მილიერანი,**) რომელიც საფრანგეთის მილიერანთან ერთათ საერთაშორისო მუშათა კლასს იჟლევს ურთიერთ ხოცვაჟლეტაში? იმ დღეს როცა მილიერანიზმი გადიქცევა საყოველთაო მოვლენათ, იმ დღეს უნდა ითქვას: მშვიდობით! მაშინ ადგილი აღარ ექნება ინტერნაციონალიზმს და ჩვენ გავხდებით ნაციონალისტებიო ***).



ამხ. არ. როსტომაშვილი.

ს-დ. პარტიაში ირიცხებოდა 1900 წლიდან. ძველი აქტიური არალეგალური მომუშავე ბორჯომის რაიონში. ბორჯომის გაფიცვების ერთ-ერთი ორგანიზატორი 1905 წ. ოქტომბერში.

*) „Искра“ 20 სექტემბერი 1904 № 74 Г. Плеханов: „В Амстердаме“.

**) მილიერანი საფრანგეთის სოციალისტი, რომელიც პირველათ შევიდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობაში და დაადგა კლასთა თანამშრომლობის გზას. აქედან ოპორტიუნიზმს ერთ ერთ სახელათ დაერქვა მილიერანიზმი.

***) გედის სიტყვები მოყვანილია მარტოვის წერილში „Искра“ 25 აგვისტო 1904 № 72

ქიულ-გედმა საბედისწერო წიგნში თავის თავზე გაამართლა თავისი უიმედო წინასწარმეტყველება. სწორეთ მსოფლიო ომის დასაწყისში ის შეიქნა საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობის წევრი, ხელში დაიკავა ნაციონალიზმის დროშა და საერთაშორისო ინტერესებს დაუპირდაპირდა. ასე მოუვიდა პლეხანოვსაც. მთავრობაში, მართალია, არ შესულა, ვერ შევიდოდა, მაგრამ მთავრობას მხარი უნდა დავუჭიროთო, სწერდა, სანამდის მთლათ არ დავამარცხებთ გერმანიასო. პლეხანოვმა ყველაზე უფრო მკაფიოთ გამოსთქვა მაშინ ინ-



ამხ. დ. ერქომაიშვილი.

დაუცხრომელი სოფლის მუშაკი. სოც.-დემ. პარტიაში ირიცხება პარტიის დაარსებიდანვე. თავის დროზე მესამე დასის ჯგუფს ეკუთვნოდა. მონაწილეობას იღებდა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობაში ჭიათურაში და სხვაგან.

ტერნაციონალიზმის საწინააღმდეგო აზრი:—გერმანიაში შედგა სამთა შეთანხმება (тройственное соглашение) გერმანული ბურჟუაზიის, იუნკრობის და მუშათა კლასის. ჩვენი მიზანია ბოლომდის, ვებრძოლოთ ამ სამთა შეთანხმებასო [1].

მსოფლიო ომის დღეებში ისე გაიმარჯვა ოპორტიუნიზმმა, რომ თითონ ოპორტიუნისტებიც არ მოელოდენ ამისთანა გამარჯვებას. წინანდელი უმცირესობა გადაიქცა უმრავლესობათ. საპნის ბუშტივით გაქრა სადღაც ინტერნაციონალიზმი და სოციალისტები განაციონალისტდენ. მსოფლიო ომის დროს არცერთხელ არ მოეწყო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, არც უბრალო თათბირი. გერმანელ-ავსტრიელ სოციალისტებთან შეხვედრის წინააღმდეგი იყო თითონ მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარე ვანდერველდე და იმასთან ერთათ საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის სოციალისტები. მეორე ინტერნაციონალმა ვერ გაატარა სინამდვილეში თავისივე პრინციპები, ამაში გამოიხატა მისი იდეური კრიზისი. ათი წელიწადი გავიდა მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ექვსი წელიწადი გათავდა მისი დაბოლოების შემდეგ, და მეორე ინტერნაციონალში არ მოუკლია ოპორტიუნისტულ სიმსივნეს, პირიქით მოიმატა. მარტოვის დაყენებულ კითხვაზე:—უნდა იყოს სოციალიზმი საერთაშორისო თუ ეროვნულიო—ახლანდელი დრო აძლევს პასუხს:—სოციალიზმია ეროვნული და აღარ არის საერთაშორისოო.

ერთ დროს მეორე ინტერნაციონალი ითვლებოდა მეექვსე დიდ ქვეყანათ (шестой державой). ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები იძულებული იყვენ ანგარიში გაეწიათ იმისთვის. ახლა ის აღარ წარმოადგენს ამისთანა ძალას, რადგან, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, ის აღარ არსებობს. თავ თავისი ქვეყნის სადღეისო ინტერესებს ემსახურებიან ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის და სხვა სოციალისტები. მაკდონალდი ძველი ტრადიციების ჯაჭვით არის მიბმული მმართველ წრეებთან და ახალ, ინტერნაციონალურ სიტყვას ვერ ამბობს ვერც ერთ საკითხში, საფრანგეთის სოციალისტები იქამდისაც კი მივიდენ, რომ რუსის საოკუპაციო ჯარის შესანახავათ სესხი დაუდასტურეს მთავრობას თავისი ხმებით. ეს უარესი ცოდვაა ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ,



ნიკო ვიგორბინი.

პარტიის უძველესი წევრი, რომელმაც სიცოცხლის მეტი წილი ციხე-კატორღაში გაატარა.

ვიდრე ის, რომელიც ჩაიდინეს გერმანიის სოციალისტებმა 1914 წელს, 4 აგვისტოს სამხედრო სესხის დადასტურებით.

დღევანდელი ევროპა ფეხგაბანდულია საკონტრიბუციო, საერთაშორისო ვალების, რუსეთთან დამოკიდებულების კითხვებში. ხდება კონფერენცია კონფერენციაზე და კრილოვის არაკის არ იყოს—"а воз и ныне там". ევროპა იბეკნება ერთ ალაგას იმიტომ, რომ თითეული სახელმწიფო ხელმძღვანელობს თავისი განსაკუთრებული ინტერესებით. ზოგი იქით იწევს, ზოგი აქეთ და ეს ინტერესთა წინააღმდეგობა შეუძლებლათ ხდის ყოველნაირ წინსვლას. მე-II ინტერნაციონალი ვერ ქმნის ამავე დროს საერთაშორისო მუშათა კლასის ძალას. საფრანგეთის სოციალისტები უფრო ახლოს დგანან საფრანგეთის მმართველ წრეებთან, ვიდრე გერმანიის სოციალისტებთან და ასეა ყველგან. სადღეისო ინტერესები ყველგან წინ წამოწეულია, გამაერთიანებელი საბოლოო მიზანი სულ დაიჩრდილა. მეორე ინტერნაციონალი დამდგარია ნაციონალიზმის ნიადაგზე, დაკარგული აქვს ინტერნაციონალიზმი.

ეს ის ცოდვაა, რომელზედაც მარტოვი სწერდა: „Новый метод—метод оппортюнизма, приспособляя политику рабочего класса к преходящим условиям политической конъюнктуры данной страны, тем самым освобождается от влияния постоянных интересов, общих для пролетариата всего мира. Общие мировые задачи пролетарского движения он подменяет „национальными" интересами данного момента, в данном государстве" [1].

ეს ის ცოდვაა, რომელზედაც გ. პლეხანოვი ამბობდა;—Сущность оппортюнизма заключается, как известно, в преувеличенном стремлении приспособиться к обстоятельствам, забывая о конечной цели социалистического движения или пренебрегая этой целью. Вообще говоря, такое стремление чрезвычайно вредно для социализма, потому что люди им одержанные делаются органически неспособными видеть то, что лежит дальше их собственного носа" [2].

სწორედ ამითია დაავათმყოფებული დღევანდელი სოციალიზმი.

როცა, მაგალითად, მაკდონალდი ამბობს,—იქნება გერმანია მოვიწვიოთ კონფერენციაზე, მაგრამ თავისთავად ცხადია, სანამდის მოვიწვევდეთ, ჩვენ, მოკავშირეებს, უნდა გვქონდეს შეთანხმებული გეგმა დოუესის [3]) გეგმის გა-



ამხ. ი. მიქაძე.

ჭიათურის ძველი მუშა.

ტარების შესახებო [4]), ეს იმას ნიშნავს, რომ მაკდონალდი მოკავშირე სახელმწიფოების თანხმობას მაღლა აყენებს საერთაშორისო თანხმობაზე. მეორე ინტერნაციონალის მეთაური მაკდონალდი ივიწყებს იმას, რაც უნდა აკავშირებდეს გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის

[1]) Г. В. Плеханов. „О войне".

[1]) „Искра" 1 აგვისტო 1904 წ. № 71 Л. Мартов—„К амстердамскому конгрессу".

[2]) „Искра" 5 ოქტომბერი, 1904 წ. № 75. Г. В. Плеханов „В Амстердаме".

[3]) დოუესი ამერიკული პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც შეიმუშავა თავისებური გეგმა გერმანიასთან საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელათ.

[4]) „Dayli Herald", 24 ივნისი 1924 წ.

და სხვა მუშათა კლასს და ხაზგასმით აყენებს მხოლოდ იმას, რაც უნდა აერთიანებდეს მოკავშირეების მმართველ წრეებს გერმანიის წინააღმდეგ. მაკდონალდის ნათქვამი თემთა პალატაში იგივეა არსებითათ, რასაც სწერს საფრანგეთის არხიბურჟუაზიული გაზეთი „le Temps“ თავის მოწინავეში,—მშვიდობიანობის დასაცავად უნდა არსებობდეს შეთანხმებული კავშირი გერმანიის წინააღმდეგო 1).

როცა, მაგალითად, საფრანგეთის სოციალისტები ხმას აძლევენ მთავრობის სასარგებლოთ, ადასტურებენ სესხს რურის ოკუპაციის გასაგრძელებლათ, ეს იმას ნიშნავს. რომ დღე-



**ამხ. ვანო ნინუა**

პარტიის ძველი წევრი. მრავალჯერ იჯდა ციხეში არალეგალურ მუშაობისათვის.

ვანდელი დღის გამოსარჩენი—გერმანიისაგან აღებული გადასახადი—უფრო საყურადღებოა მათთვის, ვიდრე ის, რაც საფრანგეთ-გერმანიის მუშებს ერთმანეთს არ დააშორებს საბოლოო მიზნის მისაღწევ გზაზე.

***

ერთი სიტყვით, თანამედროვე სოციალისტებზე გამართლდა პლეხანოვის სიტყვები:—„делаются органически неспособными видеть то, что лежит дальше их собственного носа“.

ამის ეშინოდა წინდაწინ გ. პლეხანოვს, ჟ. გედს, კ. კაუტსკის და ყველა რევოლიუციონურ მარქსისტებს. რა გზას უნდა დადგომოდა სოციალიზმი, რომ აეცილებინა თავიდან ეს საშიშროება?

დაუგდოთ ყური ისევ მარტოვს:2)—...мы должны быть готовы из глубины своих „восточных степей“ бросить вызов изменившей своему делу буржуазной Европе. должны зажженный у нас факел революции перебросить назад в Европу, где революционной искры ждут горы приготовленного самой буржуазией горючего материала.

Буржуазная Европа топчет в грязь свою политическую и национальную честь ради русского самодержавия. Делом классовой чести русского пролетариата, делом и политической чести русской революции является дать первый толчек к ликвидации всеевропейской реакции к освобождению всего мира от антикультурной и реакционной в наши дни классовой диктатуры всемирной буржуазии“.

ვიმეორებ, ეს იყო აზრი მთელი რუსეთის სოციალდემოკრატიისა და, კერძოთ საქართველოსაც. რა აქვს საერთო ახლა ამ აზრებთან საქართველოს სოც.-დემოკრატიას? არაფერი არა აქვს. ის ეკუთვნოდა მეორე ინტერნაციონალში მემარცხენე ფრთას, ის იყო ყველაზე უფრო ინტერნაციონალური. უკანასკნელ წლებში კი ვიტყვი ისევ მარტოვის სიტყვებით:—„приспособляя политику рабочего класса к преходящим условиям политической конюнктуры данной страны, тем самым освобождает ее от влияния общих для пролетариата всего мира.



**ამხ. მანჯგალაძე.**

მემანქანე, პარტიის ძველი წევრი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ გადააჭარბა ამ მხრივ ყველა ქვეყნების ოპორტიუნისტებს. ნაციონალიზმი ისე გაჯდა მის ძვალრბილში, რომ თავის პოლიტიკურ მუშაობაში ის ემიჯნებოდა სხვა ერების მშრომელ ხალხსაც. სხვა ერების მუშებმა, გლეხებმა არ იცოდენ რისთვის იბრძოდა საქართველოს სოციალდემოკრატია ამ ბოლო წლებში. გამოდიოდა ისე, თითქო ბრძოლა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, ეს არის საქმე თითონ ქართველების, თითქო რუსი ან სომეხი მუშისთვის შეუთვისებელია და გაუგებარი ეს საქმე. ამიტომ არ ქონდა ხეირი არც ერთ გამოსვლას ეროვნული დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. გაფიცვა იყო თუ დემონსტრაცია, საქართველოს სოციალ-დემოკრატია მიმართავდა ხოლმე მარტო ქართველობას. სხვა ერების მუშები ან წინააღმდეგი იყვენ ხოლმე ან თითქმის მტრულ ნეიტრალიტეტს იცავდენ ქართველი ერის გამოსვლების მიმართ.

აი ეს არის კლასობრივი ნიადაგის დაკარგვა. ეს მოუვიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას საზღვარგარეთის მუშაობაშიაც. მისი წარმომადგენელი ბიურო იქ მეტ ყურადღებას აქცევდა დიპლომატიურ მუშაობას. კავშირს იჭერდა სხვადასხვა კონფერენციებთან, ნოტებს უგზავნიდა მთავრობებს, ძალიან სუსტათ მუშაობდა საერთაშორისო მშრომელი ხალხის წრეებში. საერთაშორისო მუშათა კლასმა საქართველოს საკითხი ვერ გაიხადა თავის საკითხათ. ჩვენი სოციალ-დემოკრატიის მუშაობა ამიტომ გამოდგა უნაყოფო და მიზან მიუღწეველი.

ბევრი იტყვის, რასაკვირველია, რევოლიუციონური მარქსიზმი და ინტერნაციონალიზმი ნუ იქნება, იყოს ოპორტიუნიზმი—მმართველ წრეებთან თანამშრომლობა, ოღონდ კი გამოვიდეს რამეო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არაფერი არ გამოვა უარყოფითი შედეგების მეტი: მმართველი წრეების ხელიდან გამოსულ „კომბინაციებზე“ ეროვნული დამოუკიდებლობა ვერ დამყარდება.

დიდი შეხედულების მე ჩემ თავზე არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ არავისზე ნაკლები წერაკითხვის მცოდნე არა ვარ ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებში, ვერავინ ვერ შემეცილება სამშობლოს საყვარულში. უთავბოლო ბურტყული, გაბუტვა და დღიდან დღეზე საეჭვო ხმებით საზრდოობა მე სამშობლოს სიყვარულათ არ მიმაჩნია. ვერავინ დაამტკიცებს, არც შეიძლება იმის დამტკიცება, რომ საქართველო წინ ვერ წავა ეკონომიურათ და კულტურულათ, თუ ის საბჭოთა სისტემის ნიადაგზე დარჩა. მტკნარი სისულელეა, სრული



**ამხ. მიხა ქურციკიძე.**

მოწინავე გლეხი დუშეთის მაზრიდან. პარტიის ძველი წევრი.

გამოფიტვაა იმის ძახილი, რომ არაფერი არ გაკეთდება საქართველოს წინმსვლელობისთვის და ამიტომ სულ განზე უნდა ვიდგეთ, სანამდის რუსეთის ჯარია საქართველოშიო. ვინც ასე იძახის, ვინც ასე ფიქრობს, ვისაც ისე „უყვარს“ საქართველო რომ მისი დამოუკიდებლობისთვის, მისი კეთილდღეობისთვის უცდის ახალ ომებს, რაღაც „კომბინაციებს“, ის საქართველოს უწევს ისეთ სამსახურს, როგორიც კრილოვის არაკში დათვმა გაუწია მეუდაბნოეს.

**ს. დევდარიანი.**

1) „Le Temps“ 25 ივლისი 1924 წ.

2) „Искра“ 25 თებერვალი 1904 № 60. Л. Мартов:—„Европейский суд над русской революцией.“

ეს ამონაწერები მომყავს რუსულათ, რომ სიტყვა სიტყვაზე იქნეს დაცული ავტორების აზრი.

# ჩვენ არ შევმცდარვართ.

შარშან, 25 აგვისტოს, ჩვენმა ყრილობამ თავის დეკლარაციაში საქვეყნოთ—ყველას გასაგონრად განაცხადა:

1) იმ დროს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია თავს უყრის თავისიანების ძალებს და მკაცრ შეტევას აწარმოებს პროლეტარიატის წინაალმდეგ, ყოველი სოციალისტის და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველის მოვალეობაა იყოს მხოლოდ პროლეტარიატთან, რომელიც ჩაბმულია მის კლასიურ მტერთან სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლაში.



ამხ. მ. მუხურაძე.

ბორჯომის ძველი მუშა. ტერორისტულ აქტების მონაწილე.

2) სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია შემცდარია, მისი ხაზი და მოქმედება უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშათა კლასის მიზნების, სოციალიზმისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

დღეს ჩვენს საიუბილეო ჟურნალში, ერთი წლის თავის აღსანიშნავად, იბეჭდება სეით დევდარიანის წერილი, „რა იყო და რა არის" სათაურით, რომელიც იწყება ასე; „მე სიამოვნებით ვეცდები შევიტანო ჩემი პატარა წვლილი იდეურ მუშაობაში, როგორიც უნდა იყოს ჩემი უთანხმოება ყოფ. მენშევიკებთან". აქ გაკვრით, დაუსახელებლად ლაპარაკია რაღაცა უთანხმოებაზე სეით დევდარიანსა და ჩვენს შორის. ჩვენი მთავარი, (მხოლოდ მთავარი და არა წვრილმანი), დებულებანი თვით სეით დევოარიანმა თავის წერილებში გაიზიარა. და რომ ეს უდაოა, ამას განა დღევანდელ წერილში მოყვანილი ამონაწერებით არ გვიმტკიცებს თვითონ სეითი? ყველა, ვინც წაიკითხავს ამ წერილს და ამონაწერებს შეადარებს ჩვენს დებულებებს, უყოყმანოთ იტყვის, რომ ჩვენ არ შევცდით. თვით სეით დევდარიანიც იტყვის, რასაკვირველია, რომ ეს ასეა, თორემ რომ ასე არ ყოფილიყო, დღეს, ჩვენი ყრილობის ერთი წლის თავზე რათ გვიძლევა მარქსის, ენგელსის, ვანდერველდეს, გედის, მარტოვის, პლეხანოვის, კიდევ, კიდევ და კიდევ მარტოვის და პლეხანოვის ნაწერებიდან ციტატები? ეს ამონაწერები ხომ აშკარათაა მიმართული სწორეთ იმის წინააღმდეგ, რის წინააღმდეგაცაა მიმართული აგრეთვე ჩვენი დებულებები; თუ სეით დევდარიანმა ამდენი ამონაწერებით შეკრული კონა უძღვნა ვიღაცა „დიდიხნის მეგობარ-ამხანაგს" რომელიც გაკვირვებას გამოსთქვამდა მის მიერ ასე გაბედულათ შეხედულების გამოცვლის გამო, დიდათ ცდება, რადგანაც ეს ამონაწერები ერთობ ეკლიანი არიან და ცხონებული ობლომოვის ლოგინში გაზრდილის ნაზი ხელი ვერ დაიკავებს, დაუკაწრავს ხელებს, გაუვარდება ხელიდან. ამ ამონაწერების ობლომოვის მელოგინისათვის მიძღვნა ხომ დათვური სამსახური იქნებოდა რევოლიუციონური მარქსიზმისადმი!

ამონაწერები ხომ ბასრი მახვილია მუშათა კლასის ხელში ბურჟუაზიული მართვა-გამგეობის თავის მოსაკვეთად და „თანამედროვე სოციალიზმის გასანთავისუფლებლად ოპორტუნისტული სიმსივნისაგან"!



ამხ. ვანო მაისურაძე (ტურა)

ს.-დ. პარტიის ძველი წევრი. 1905 წ. გარე-კახეთის პარტიზანულ რაზმის ხელმძღვანელი. ციხე-კტორლაში ნამყოფი.

სეით დევდარიანი გვიჯავრდება; „სიმართლის ხმა" არ უნდა იჯერებდეს გულს იმითი, რომ არალეგალური ცეკა ვერც ერთ საკითხს ვერ აყენებს პრინციპიალურად და არაფერს არ იძლევა რევოლიუციონური სიტყვიერების მეტს"-ო. მაშ როგორ მოვექცეთ, რით „დავიჯეროთ გული", ხომ არ უნდა გადავიდეთ მის რიგებში, რას გვირჩევ, სეით? არამთუ არალეგალური ცეკა, საზღვარ-გარეთის ბიურო და მთელად მეორე ინტერნაციონალიც „დამდგარია ნაციონალიზმის ნიადაგზე, დაკარგული აქვს ინტერნაციონალიზმი". „ეს ის ცოდვაა, რომელზედაც მარტოვი სწერდა" და არა მარტო მარტოვი, ყველანი—ყველანი, ვინც მარქსის მოძღვრებას მისდევდა და მისდევს. ჩვენც დავწერეთ, და თქვენც, სეით, დასწერეთ; „უთავბოლო ბურტყული, გაბუტვა და დღიდან დღეზე საეჭვო ხმებით საზრდოობა მე სამშობლოს სიყვარულათ არ მიმაჩნია"-ო. ს. ბევრის თქმა შეიძლება, ბევრი ამონაწერების აღნიშვნაც შეიძლება, უფრო მეტი ამონაწერების კი ისევ თქვენს წერილებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ არალეგალური ცეკა მხოლოდ და მარტო „რევოლიუციონური სიტყვიერების მეტს არაფერს არ იძლევა". მაგრამ ვისთვისაა საჭირო ეს? სეით დევდარიანი კვლავ აყენებს კითხვას: „საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩეკამ იხმარა ძალდატანება, საქმე უფრო იმაშია, რატომ მიეცა გასავალი ჩეკის ამნაირ პოლიტიკას"-ო. და თვითონვე იძლევა პასუხს; „არ მიეცემოდა გასავალი ან ნაკლებათ მიეცემოდა, რომ ს.-დ. პარტიის ტაქტიკა გამომდგარიყო ნათელი, სწორი გზის მაჩვენებელი და პარტიული წრეების მტკიცეთ შემაკავშირებელი"-ო. ამას რა თქმა უნდა არაფერი ემჯობინებოდა, რომ ასე, როგორც თქვენ ამბობთ ან გსურთ, მომხდარიყო. მაგრამ ასე არ მოხდა, თორემ არც მარტოვი, არც პლეხანოვი დასწერდენ არაფერს, არც ბოლშევიკები გამოეყოფოდენ, არც ჩეკა დაიბადებოდა, არც ჩვენ დაგვჭირდებოდა სალიკვიდაციო ყრილობის მოწვევა, არც თქვენ დაგჭირდებოდათ ასეთი წერილების წერა და ჩვენთვის მოძღვნა წლის თავზე. მაგრამ „მსოფლიო ომის დღეებში ისე გაიმარჯვა ოპორტიუნიზმმა, რომ თითონ ოპორტიუნისტებიც არ მოელოდენ ამისთანა გამარჯვებას". და „საპნის ბუშტივით გაქრა სადღაც ინტერნაციონალიზმი და სოციალისტები განაციონალისტდენ", „მეორე ინტერნაციონალმა ვერ გაატარა სინამდვილეში თავისივე პრინციპები, ამაში გამოიხატა მისი იდეური კრიზისი, არ მოუკლია ოპარტიუნისტულ სიმსივნეს, პირიქით მოი-



ამხ. ბაზიარი.

ქ. ფოთის მუშა, პარტიის ძველი წევრი.

მატა". და ყველა ამის შემდეგ არ უნდა გიკვირდეს, თუ ხანდისხან „წამოგვცდება" რაიმე უხეში სიტყვა ან დაუნდობლად ვაკრიტიკებთ ამა თუ იმ მოვლენას, ამა თუ იმ კითხვას.

ს. ფარნიევი.

# ჩაუკვირდით.

არალეგალური ცეკა ჩვენი მოძრაობის დაწყების პირველ დღეებიდანვე ყველაფრით სცდილობდა პარტიიდან მიმავალ ამხანაგების სახელის გატეხას და ლაფში ამოსვრას. ამისთვის ის არ იშურებდა არავითარ საშვალებას.

დაიწყო იმით, რომ პარტიიდან გასული ამხანაგები უცნობ ხალხათ, ზედმეტ ბარგათ გამოაცხადა. ამან საშინელი აღელვება გამოიწვია და რღვევის პროცესი უფრო დააჩქარა. მაშინ ცეკამ სიტყვა უკან წაიღო, პარტიიდან გასულ მასას „ბოდიში მოხადა“ და ბალასტი უწოდა იმათ, ვინც შეგნებით და არა ძალდატანებით მიატოვა პარტია. არსებითად-კი ეს ისევე მთელი ყოფილ მენშევიკურ მასის წინააღმდეგ მიმართული ლანძღვა იყო.

ამის საუკეთესო საბუთია ჩვენი ჟურნალის ამ კვირის ნომერი. თუ კიდევ არის ქვეყნად ისეთი გულუბრყვილოები, ვისაც ცეკას სიტყვა ეყურება და ანგარიშს უწევს, ჩააკვირდეს კარგათ მთელ რიგ ამხანაგების სურათს და ბიოგრაფიებს. გადახედოს მათ წარსულს, რევოლიუციონურ მოღვაწეობას და დამსახურებას. მუშა, რომელიც ათეულ წლობით ციხე-კატორღაში ყოფილა, რომელსაც პოლიტიკურ ბრძოლაში გაუტარებია მთელი თავისი სიყრმის დღეები—ნუ თუ ასე ადვილათ დასტოვებდა ორგანიზაციას, როგორც ამას ცეკა ცდილობდა და დღესაც სცდილობს დაანახვოს ხალხს; ნუ თუ ჩეკის სუსხი ისეთი დამაფრთხობელი გახდა მათთვის, რომ რწმენა გულში ჩაეკლათ და პარტიისთვის ზურგი ექციათ. ალბათ იყო სულ სხვა მიზეზები, უფრო ღრმა და უფრო საფუძვლიანი.

ამხ. ამხ. ს. ბაბლიძე, ე. ბესელია, დ. ესებუა, ვ. ნინუა. პ. ვიგორბონი და მრავალი სხვები გუშინ შესულნი არ არიან პარტიაში. ბევრი მათგანი მესამე დასის ჯგუფიდან მუშაობს რევოლიუციონურ ასპარეზზე.

მართალია მათ ფართე მასა არ იცნობს, მართალია ისინი არ სჩანდენ პარტიის ზედაპირზე, მაღლა ფენებზე, მაგრამ ხომ ისინი და მრავალი მათი მზგავსი ჰქმნიდა პარტიის აწმყოს და მომავალს? ხომ ეს ხალხი შეადგენდა ორგანიზაციის წელს და ხერხემალს?

დღეს ეს ხალხი მთლიანად ჩვენს რიგებშია. შეიძლება ძალდატანებით აზრის გულში ჩაკვლა, შეიძლება ძალდატანებით შენი რწმენის წინააღმდეგ ლაპარაკი და წერაც, მაგრამ ჩამოთვლილ ამხანაგების მზგავსი ხალხი ასეთ ადამიანებათ ვერასოდეს ვერ ჩაითვლებიან. და ეს მრავალი, ოცეული ათასი მუშა და გლეხი, რომელმაც დასტოვა სოციალ-დემოკრატიის რიგები, სწერს კიდევაც, ლაპარაკობს და იბრძვის დღეს ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ. ეს-კი ბევრ რასმე გვეუბნება.

ვისაც კიდევ სჯერა მენშევიკურ პარტიის სიტყვა და საქმე, ვისაც სწამს მისი რევოლიუციონური უბიწობა და ორგანიზაციული რამეობა, ჩაუკვირდეს ჩვენ ჟურნალის გვერდებზე მოთავსებულ ამხანაგების ჭაღარას, მათ წერილებს და რევოლიუციონურ წარსულს. ის ნახავს რამდენად ახლოა სიმართლესთან ამ ამხანაგების წინააღმდეგ ცეკას მიერ წარმოებული დემაგოგია და ლანძღვა-გინება, ის მიხვდება სადაა ქართულ მენშევიზმის რღვევის ნამდვილი მიზეზები.

**ვ. ზუბაშვილი.**

# საქართველოს გასაბჭოება საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებში.

„Польза революции — наивысший закон“.

*Плеханов.*

მე არ ვიცი არც ერთი ფურცელი მსოფლიო ისტორიიდან, სადაც ერის ნერვების დაჭიმვა ყოფილიყოს მიღწეული ისეთ სიმძაფრემდე, როგორც ამას ქონდა ადგილი საქართველოში 1923 წლის 25 აგვისტომდე. 25 თებერვლის შემდეგ მოხდა ისტორიაში ჯერ არ ნახული საოცრება: ერის მეთაურ პარტიასა და ერს შორის თებერვლის შემდეგ წარიხოცა სამზღვარი. კლასობრივა სოციალ-დემოკრატიული პარტია



ამხ. რ. ქორქია.

ჩვენი ჟურნალის ახლობელი თანამშრომელი. ს.-დ. პარტიაში იყო 1915 წლიდან. რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა რუსეთის პროფკავშირებში.

---

გაითქვიფა ერში, დაკარგა პარტიული გზები და პრინციპებიც კი. კლასობრივი სოციალ დემოკრატიის იდეოლოგი და ეკლესიის პატრიარქი ერთ და იმავე ენაზე ალაპარაკდენ. „დემოკრატიულ“ ვეშაპმა შთანთქა პარტიული ამირანი. დაიკარგა პარტია, როგორც პროლეტარული, როგორც კლასობრივი ორგანიზაცია და მიიღო მან საშინელი კვაზიმოდის სახე, როგორც გარეგნულათ ისე ფსიქოლოგიურათ...

ვინ ან რა იყო ამაში დამნაშავე?

ვინ მოკლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში პროლეტარული სული, რამ გახადა და დააჩიავა ეს ოდესღაც ბუმბერაზი პარტია?..

ათეულ წლების განმავლობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატია რუსეთის რევოლიუციის წინა რიგებში იდგა. საუკეთესო ძალები შესწირა საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ რევოლიუციას. მაგრამ, როცა გაიმარჯვა რევოლიუციამ ის განზე გადგა. ეს დაწყება იყო ქართულმა მენშევიზმმა რუსული ბოლშევიზმი განმანადგურებელ ძალათ მონათლა და განკერძოევდა. „დამოუკიდებლათ“ მოინდომა რევოლიუციის გაძლოლა. არ უნდოდა დაენახა, რომ საამისო ძალები მას არ შესწევდა, ჩვენ ვლაპარაკობთ დამოუკიდებლობის ეკონომიურ შესაძლებლობაზე. სანამ რუსეთის რევოლიუცია ებრძოდა რუსეთისა და ევროპის კონტრ-რევოლიუციას, ქართული მენშევიზმი შოვინიზმის ბანაკში გადაიჭრა. არ ევგრძნობდი მაშინ ამას. უცნაური გაუგებრობაა, მაგრამ დენიკინ-ალექსეევთან ენის გამონახვა უფრო ხერხდებოდა, ვინემ ბოლშევიკებთან.

მაგრამ, როდესაც რუსეთის ვანდეა — საბოლოოთ ალაგმულ იქნა, ერთმანეთის პირისპირ დადგა რევოლიუციონური რუსეთი და საქართველო, ამ ხანებში ქართული მენშევიზმი საბოლოოთ ჩამოშორდა რუსეთის რევოლიუციას. საქართველო ხდებოდა წმიდა წყლის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთ და ეს მაშინ, როცა ქვეყანას განაგებდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა. ამ მხრით რუსეთის რევოლიუციის წინ აღიმართა ევროპის ბურჟუაზიის ფორპოსტი საქართველოს სახით. ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ ვხდებოდით ევროპის კაპიტალის ბუფერად ამიერ-კავკასიაში. ფრთხილათ, მაგრამ ჟინიანი თანდათანობით მოიწევდა საქართველოს მეოხებით იგივე კაპიტალი რუსეთის რევოლიუციისაკენ. გად მჭრელი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ბაქოს ნავთმა ითამაშა. როგორიც არ უნდა იყოს რუსეთი. მონარქიული თუ ბურჟუაზიული, დემოკრატიულ-რესპუბლიკანური თუ საბჭოთა სისტემის, ის ვერ დასთმობს ბაქოს ნავთს. კარგია ეს თუ ცუდი, ესე იგი, ზნეობრივია თუ უზნეო—იკითხონ ეს პოლიტიკურ ბავშვებმა. პოლიტიკაში და ეკონომიკაში ასეთს საკითხებს გასავალი არა აქვს. რუსეთის რევოლიუციისათვის საჭირო იყო ბაქოს ნავთი. ნავთის დაკარგვა რევოლიუციის დამარცხებას ნიშნავდა, უზრუნველყოფა კი გამაგრებას და ძალთა დაგროვებას. მართალი იყო, რადეკი როცა ბერლინში 1922 წ. სამთა ინტერნაციონალის კონფერენციაზე სთქვა: ბაქოს ნავთი გვჭირდებოდა და აზერბეიჯანში შემოვედითო. ამაზე რაბინოვიჩმა ნიშნის მოგებით რეპლიკა მასცა:

— მაშ, ნავთის კომუნიზმიო?!

ეს არ იყო კლასობრივად საკითხის დაყენება. კლასობრივი ინტერესები რუსის ან აზერბეიჯანელი და ქართული მუშისა არ შეიძლება ერთმანეთს დაეჯახონ. არ შეიძლება და ეს უნდა გაიგოს იმ ხალხმა, რომელიც დღემდე პატრიოტულ ფსიქოზითაა შეპყრობილი. რევოლიუციის ინტერესები მოითხოვდენ 25 თებერვალსა და კოჯორს, სამფეროვანი დროშის ჩამოგდებას სასახლიდან, წმიდა გიორგის თეთრი რაშით კვლავ მითოლოგიაში დაბრუნებას: ეს იყო საქართველოს შორეული რევოლიუციონური პერსპექტივებში ჩაყენება და ყოველივე „ეროვნული“—ნაციონალისტური უნდა დამორჩილდეს ამას, ვინაიდან ეს არის რევოლიუციის სურვილი და მისი კანონი. **ის, რაც რევოლიუციისათვის სასარგებლოა, უმაღლესი კანონია.** ასე გვასწავლა პლეხანოვმა. ამ კანონს კი ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის აბსოლუტური დირექტივის ძალა უნდა ქონდეს.

მაშასადამე, საქართველოს გასაბჭოება უნდა ჩავაყენოთ საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებში.

სხვაფრივ ამ გასაბჭოებას მე ვერ გავამართლებდი.

II

მარქსიზმი არის მოვლენის კონკრეტიზაციას უარყოფს მოვლენის აბსოლუტობას. ყოველი მოვლენა მისთვის ისტორიულად კონკრეტიულია, დიალექტიკას ემორჩილება. ნაციონალური საკითხი ისტორიული კატეგორიის საკითხია. ის სხვა და სხვა ნაირათ უნდა დაისვას სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში. ამის უარყოფა მარქსიზმის უარყოფა იქნებოდა. მარქსიზმი არ ამბობს ერი მუდამ იარსებებსო, არც იმას ამბობს თითქოს ამა თუ იმ ერს ქონდეს თავისი ისტორიული გზები სოციალიზმისკენ, როგორც ამას გვიმტკიცებდა ნოე რამიშვილი საზღვარ-გარეთელი ბიუროს ორგანოში შარშანწინ. მარლაც, რამ მიიყვანა ქართული მენშევიზმი იმ პოლიტიკურ სიღარიბემდე და იდეურ დაკნინებამდე, რომელსაც ის განიცდის დღეს? რატომ დაკარგა მან გასულთა დროთა უძლეველი ძალა და ბასრი ხმალივით მკვეთრი აზრი? მიზეზი კლასის გზიდან ეროვნული, ნაციონალური პოლიტიკის გზაზე გადასვლა იყო. ამ გზაზე კი თავმოყრილია ერი, ბერი, ეშმაკი და წმიდა გიორგი. დომხალივით არეულია აქ ყველა და ყველაფერი. შეუმჩნევლათ, შეიძლება თვით პარტიისათვისაც უნებლიეთ, მაგრამ ჩვენ 26 მაისით თანდათან ვშორდებოდით რევოლიუციას. ნელი, მაგრამ ურყევი ნაბიჯით მივდიოდით ბურჟუაზიული წყობილებისაკენ. თვით პარტიაში იჩინა თავი ბურჟუაზიულ—შოვინისტურმა სულისკვეთებამ. სულ ხშირად და ხშირათ მოისმოდა ხმები „ერი“, „სამშობლო“. „ერთობის“ გვერდებზე კი კლასი და სოციალური რევოლიუცია უშინაარსო სიტყვებათ გადაიქცენ.

თებერვალმა უფრო დააჩქარა წვრილ-ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის შესისხლხორცება. 1921 წ. თებერვალი არ იყო სოციალური მხრით საზიანო ქართველი მუშის და გლეხისათვის. თებერვალმა მჭრელ დანასავით გაიარა მხოლოთ ბურჟუაზიისა და ფეოდალობის ეკონომიურსა და პოლიტიკურ სხეულზე. ეს ჯგუფები ვერ შეურიგდებოდენ თებერვლის სოციალურ რევოლიუციას, ამიტომ მათ ბრძოლა გამოუცხადეს მას. ქართული მენშევიზმიც დადგა დილემის წინაშე: ან შერიგება და ცნობა თებერვლის რვვოლიუციის ან შეურიგებლობა და ბრძოლა მასთან. მაგრამ პოლიტიკურ პარტიას საბრძოლველათ ლოზუნგი სჭირდება. ეს მისი მძიმე არტილერიაა. ამ ლოზუნგს მენშევიზმი ვერ იპოვნიდა სოციალ-ეკონომიურ ხაზზე. სამაგიეროთ მრავლად იპოვნიდა მას ბურჟუაზიის არსენალში. პარტია წარბშეუხრელად ჩაეკიდა მას. დაადგა ბურჟუაზიულ აღმშენებლობის გზას და შეხვდა ამ გზაზე წმიდა წყლის შოვინიზმს, ეროვნულ განკერძოებას, **და იმ დღეს, როდესაც ქართული მენშევიზმი დაადგა ნაციონალისტურ განკერძოებისა და „დამოუკიდებლობის“ გზას, იმ დღეს დაკარგა მან მარქსისტული პარტიის ხასიათი და დაშორდა რევოლიუციას.** ამ დღეს გაეყარენ ერთმანეთს ქართულ მენშევიზმში მარქსიზმი და სოციალიზმი. დაშორდენ იმისთვის, რომ არასოდეს არ შეყრილიყვნენ.

რა მოხდა მერე?

ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი „ყველას“ თავისუფლებაზე, „ყველას“ ბედნიერებაზე, „ყველას“ შევიწროებაზე. ვიცავდით ფეოდალებს. ვიცავდით ბურჟუაზიას, ვიცავდით (საშინელებაა, მაგრამ ასე იყო)—სამღვდელოებას. დიახ, ეკლესიას ვიცავდით. ამაზე შორს სოციალისტური პარტიის სიბეცე და უკუღმართობა არ წავა.

**მენშევიზმის დიდი ისტორიული შეცდომა იმაშია, რომ მან მოისურვა ქართველი პროლეტარიატის, ქართველი წვრილ ბურჟუაზიის და ფეოდალობის შერიგება.** სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მუშათა კლასს და ლოზუნგებს დაშორებული პოლიტიკურ გერმაფროდიტათ გადაიქცა

III.

რუსეთის რევოლიუციის ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზთაგანი მსოფლიო ომი იყო. რევოლიუციამ იფეთქა „ძირს ომის“ ლოზუნგით. „ძირს ომი“ კი ნიშნავდა — „ძირს ბურჟუაზიას“. ქართულ მენშევიზმს-კი თავი „ევროპიულ“ პარტიათ მოქონდა. ესე იგი პარლამენტარიზმი, თანდათანობა, ევოლიუცია, დემოკრატია და სხვა ასეთები. პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღება და რევოლიუციის საქმის რევოლიუციონურათ გაკეთება კი უტოპიათ, ფანატიკოსობათ გამოცხადებულ იქნა. ბურჟუაზიული ევროპა დასახული იქნა გარდაუვალ აბსოლიუტათ. ამიტომ სთქვა ნოე ჟორდანიამ: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო?“.

ასეთია გზა გავლილი რევოლიუციის და ქართული მენშევიზმის მიერ. უკანასკნელი ჩამოშორდა პირველს და დამარცხდა.

და დღესაც უკანასკნელი, რაც დარჩენია ქართულ მენშევიზმს საქართველოში, ეს არის „მერმეთ და მერმეთ“ ერის თავმოყვარეობაზე ლაპარაკი, ერის „განთავისუფლებაზე“ მასლაათი. მას გვერდთ უდგას ქართული გზა — აბნეული ინტელიგენციის ნაწილი. არალეგალური ცეკა თავის ფურცელში აცხადებს: აი, დაკრავს საათი, საოკუპაციო ჯარები წავლენ და გავთავისუფლდებითო.

მაგრამ ის, ვისაც არ დაუკარგავს კლასობრივი ბრძოლის გზები და კლასობრივი ინსტიქტი, კარგათ და დინჯათ უნდა ჩაუკვირდეს საქართველოს გასაბჭოებას და დაინახოს მასში არა „სპარსელების შემოსევა“, არამედ რუსეთის სოციალური რვვოლიუციის გაფართოება, გაშლა, საერთაშორისო რევოლიუციისაკენ გაქანება.

საქართველოს გასაბჭოება საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებში ჩაყენებული გამართლებაა პროლეტარული რევოლიუციის მიზნებისა და იდეალების. ამიტომ ეს არ იყო ოკუპაცია.

ამიტომ არ იქნება ოკუპაცია, ხვალ რომ წითელმა ჯარმა ვარშავაში, ბერლინსა და პარიზში ამოყოს თავი. ამიტომ არ იქნება ფანატიკოსობა, ვთქვათ, პოლონეთის გასაბჭოება.

და დღეს, მენშევიკური პარტიის დაშლის წლის თავზე, ჩვენ ვამართლებთ ერთხელ კიდევ საქართველოს თებერვალს, ვამართლებთ ჩვენს გზას, რომლითაც მივედით ამ თებერვლამდე.

**როდიონ ქორქია.**

# პატაკი.

რომელმაც შექმნა პარტია ოდესმე ასე ძლიერი,
რომელსაც ჰქონდა წარსულში სოციალისტის იერი,
რომელსაც გლეხი და მუშა არ ჰყავდა აქ მადლიერი
და „ოაზისში“ რომლის დროს მშრომელი იყო მშიერი—
უგზავნით ამა პატასკა... თვალზე გვდის ცრემლის ნამია.
რა უყოთ—კარგათ სოფელი ჯერ არვის მოუჭამია;
ხან თუ თაფლია ცხოვრება, უფრო მეტად კი შხამია,
ცუდია, როცა კაცს უდგას საჯდომად ორი სკამია.

—

მიდიხარ შენთვის პირდაპირ, რა სხვა გზა უფრო შორია.
სიმართლის თქმასა გაურბი, მას აჯობინე ჭორია.
გჯერა: „არც იქით, არც აქეთ“—ყველაზე უფრო სწორია,
„ვერას დააკლებს ლეკვს ლომი, თუ ლეკვი ლომის სწორია“.
მავნეა, როცა აჰყვები სხვა ვინმეს ფეხის ხმაზედა.
უნავოთ ან თუ უგემოდ არვის უვლია წყალზედა.
ჩიტსა ნიბლიას ეძინა ბეწვის ოდენა სარზედა,
გამოუქროლა ალალმა, წაიღო მაღლა მთაზედა.
ბათომში მიხვდენ, რომ საქმე სავსებით წაგებულია,
წაუხდა დიდსა ვეზირსაც, როგორც პატარებს გულია.
ბრძანა: „ჩასხედით კიდობანს, შიგ ჩაიტანეთ ფულია
„რასაც გავიტანთ ჩვენია, რაც არა—დაკარგულია“.
მიცურავს გემი შავ ზღვაში, სტოვებს კოლხეთის ნაპირებს.
ყველას ცრემლი სდის თვალებზე, ყველა ერთმანეთს ატირებს.
გვაზავა წვერებს იკაწრავს, კედიაც ამას აპირებს
და შეუერთდენ სტამბ.ილში ბარონ ვრანგელის ნახირებს.

**ხინველი.**

# ჩემი თავგადასავალი[1].

(ძველ მუშის ავტობიოგრაფიულ მოგონებებიდან).

დედა ჩემი ცნობილ კაპიტალისტ ანანოვის ოჯახში მსახურობდა. მეც იქ გავატარე ჩემი საუკეთესო დღენი, დღენი წყევლითა და კრულვით მოსავონარი. ნაცვლად სწავლისა, უსწავლელი და ყოველივე იარაღს მოკლებული გამოვედი ცხოვრებაში. მდიდრებს არ სჩვევიათ მუქთად ვისმეს რჩენა. ასეც მოხდა. მე, როგორც არა მუშახელი, მომაშორეს დედას. შის გაპოგდებას ჩემი განშორება არჩია დედამ, რომ მასაც ერჩინა თავი და ჩემთვინაც მოეწვდინა ნასუფრალი. დღისით ქალაქში დავწანწალობდი ქუჩის ბავშვებთან ერთად, ღამით კი დედასთან მივიდოდი ჩუმად, მოკრძალებით, რომ ბატონებს არ შეემჩნიათ. მომწყინდა მუდამ საყანთაროდან მწვანე ბაზარზე ხეტიალი. უფრო ხშირი სტუმარი ვიყავი წიგნის მაღაზიების ვიტრინებისა. ყველა წიგნის მაღაზიების პატრონის სახელი და გვარი ზეპირად ვიცოდი. ხანდიხან მოკრძალებით შევდიოდი ისიდორე კვიცარიძესთან. ვთხოვე ისიდორეს გაზეთის დამტარებლის ადგილი მოეცა მიმილო და ნატვრაც ამისრულდა, რაც დღემდისაც შემრჩა ჯერჯერობით. 1903 წ. დასასრულს წამიყვანა ბიძამ ფოთში და დამაყენა მასთან თევზეულობის სავაჭროში. დავყვებოდი ნოქრებს ჩუმ კრებებზე. „ქადაგი", როგორც მაშინ ვეძახდით, ფოთის ნოქრებში იყო ვინმე „კახელის" ფსევდონომით. შემდეგ, ის 1905 წ., როდესაც რეაქცია მძვინვარებდა, ბიქტორ თევზაიასთან ერთად შვეიცარიაში გაიქცა. საქმე ისე კარგად მოეწყო, რომ პორტის და სადგურის მუშებთანაც გავაბით კავშირი, სადაც არალეგალურ წიგნებსა და ბროშიურებს გვაწვდიდენ. ხელმძღვანელიც კარგი გვყავდა: დათიკო ქავთარაძე და პავლე აკობია. ეს უკანასკნელი ძლიერ გატაცებული რევოლიუციონერი იყო. ისეთი პათოსით იცოდა ქადაგობა, რომ ღვთის მსახურსაც შემოაბრუნებდა ეშმაკისაკენ (მაგრამ ეხლა, ლექციაც კი წაიკითხა ამას წინად ფოთში სარწმუნოების მარადიულ უბილწოებაზე). ასეთ გატაცებაში მყოფმა განვიზრახე მოვშორებოდი ბიძას დუქნიდან. კარგია ყმაწვილური უზადო თავისუფალი ბუნება! არაფრის დარდი არა გაქვს: სიმშილი, ბინა, ტანისამოსი. გიყვარდეს ძველი ხელობა, მივმართე ისევ მაშინდელ ფოთის კონტრაგენტს. ომიანობა იყო რუს იაპონიის და გაზეთებიც ბლომად გადიოდა. მეც არხეინად გავიძახოდი დღისით ქუჩებში: „ივერია", „ცნობის ფურცელი", „Черноморский Вестник". ღამ-ღამობით კი დავძრწოდი პორტისა და სადგურის მუშებში. 1905 წ. მიწურულში გვარიანი კარგი წარმოდგენა მქონდა რევოლიუციის პერსპექტივებზე. ვცდილობდი მოძრაობამ არ მომასწროს უცოდინარს მეთქი. დაიწყო მოძრაობა ხალისიანი. იარაღები თუმცაღა ყალბი, მაგრამ ბლომად იყო. 2—3 ვერსის მოშორებით ჰორიზანტიდან იდგა გემი, ზოგი ხომალდით და ზოგი ფელუგებით გამოგვქონდა იარაღები სხვა და სხვა ნაპირებისაკენ: ნაბადა, ყულევი, ანაკლია, პატარა ფოთი. ჩამოდიოდენ გურია-სამეგრელოდან ამხანაგები. გროვდებოდა ძალები. პირველი ბარიკადები მოწყობილ იქნა კუნძულზე ყოფილ ხილკოვის პროსპექტზე. გადაწვეს ღამით დუქნები ალიხანოვის პლასტუნებმა, რომ სინათლით ესარგებლათ. ბრძოლა გაგრძელდა ერთ კვირას. ხან სად აფრიალდებოდა წითელი დროშა და ხან საღ. დაიჭირეს იარაღებიანი გემი. ზღვიდან მოდის გახარებული ჟანდარმთა შეფი. ხმელეთზე ამოსვლისას ასალმებს წუთისოფელს ჟანდარმს ტერიტორისტი ჩუჩა გიგიენიშვილი, რომელიც შემდეგ დახვრიტეს ნახუტურში ჩუმად, ქურდულად. მთელი ამ ბრძოლის ხელმძღვანელი იყო ბიქტორ თევზაია. დავმარცხდით. ამოყო თავი ასპიტ გველებმა, გახშირდა ჯაშუშობა. მაშინდელ ჯაშუ-



ამხ. დიმიტრი ესებუა („ჩემი თავგადასავალის" ავტორი) და ერ. ჩესელია.

შებს ეხლაც ბევრს ვხედავთ. შაქრო მეკუპრე რომელიც მამალ მგელივით ნადირობდა ამხანაგებზე, დღევანდელ დღესავით მახსოვს ვანო კობახიძე როგორ დაიჭირა კაპარჭინის პირზე და მისცა ჯალათებს, მე თუმცაღა მცირეწლოვანი ვიყავი, მაგრამ მაინც არ იყო საიმედოდ საქმე; გავსწიე აფხაზეთისკენ, ის იყო ჩემი შვეიცარია, ექვსი თვის იქ ყოფნის შემდეგ ნოვოროსიას მივაშურე ცემენტის ქარხანაში. იქ მაშინ კვლავ ცოცხლობდა ორგანიზაციები, ხშირი კრებებიც იმართებოდა ადამოვიჩის ბალკაზე—მთაზე, სადაც იყვნენ კახელი მუშები, რომლებიც თრიმლს სჭრიდენ. კავშირი გვქონდა პურის ელევატორის მუშებთან და აგრეთვე მთელ ხაზზე ცარიცინამდე, სადგურ სარეპტას მოშორებით ვოლგის შტოზე, სადაც ჩვენი ქართველი ამხანაგები მუშაობდენ. ყოველივე კარგად მიდიოდა, მაგრამ ორგანიზაციაში უფულობა პირდაპირ სულს გვხდიდა. გადაწყვეტილ იქნა რაიმე გზით ფულის შოვნა, ექსპროპრიაციის გზით, მაგრამ ვისზე? თვით ცემენტის ქარხნის ფოსტაზე, ვინაიდან ვიცოდით იქაურებმა ავან-ჩავანი. ითქვა და იქნა. ფული გაიტაცეს, მაგრამ ამინდმა ხელი შეგვიშალა. „ნორდოსტი", რომელსაც გემებიც კი ამოყავს ნავთ საყუდელიდან და ხმელეთზე აგდებს, სწორედ ასეთი ამინდი მოხდა, როდესაც ამხანაგები ნოვოროსიისკის გვირაბს გასცილდენ. (რა თქმა უნდა გვირაბი ზევიდან გადაიარეს) იქ სასტიკ და მძაფრმა ქარ-ბუქმა უკანასკნელ ძალამდე მისწურა ისინი და გადასწყვიტეს, რომ რკინის გზის დარაჯის „ბუტკაში" შესულიყვნენ ფულიანად. ხელფეხ წაყინულები იქვე მიეგდენ. ხოლო დარაჯი კი ცნობის მისაცემად წავიდა. ისინი დაიჭირეს და ფულიც დაიკარგა. შეიქნა სასტიკი ჭერა ამხანაგებისა ცემენტის ქარხანაში. მე გავიქეცი ვოლგის შტოზე სამუშაოდ სადგურ სარეპტას მოშორებით. აქაც იგივე სილარიბე ორგანიზაციის, საშველი არსაიდან. მუშაობაც შეჩერდა. ბარჟები აღარ მოდიოდენ. აქაც გადაწყდა საფოსტო მატარებლის გაძარცვა ნიკოლაიშვილისა და ჯაშის ხელმძღვანელობით (მათი სახელები არ მახსოვს). მიზანი მიღწეულ იქნა, ხოლო ფული აქაც ვერ შევინარჩუნეთ. ფულიანი ყუთი გავიტაცეთ, მაგრამ ისეთ არეულობაში გასაღების წართმევა მოლარეზე დავვიწყებოდა. გათენებისას, მდინარე ვოლგის რომ მივადექით, გაცურვა აუცილებელი იყო, ყუთის გახსნაზე მიდგა საქმე. გასაღები არცერთს ჩვენთაგანს არ აღმოაჩნდა. საქმე კი დაგვიანებას არ ითმენდა. ყუთი თოკებით დავხლართეთ; ორი კარგი მცურავი ჩაუშვით წყალში, გაუყარეს მკლავები და გასწიეს ცურვით. წინ ნიკოლაიშვილი მიუძღვის ზურგზე ტანისამოს იარაღებ დაკრული, დანარჩენები მივყვებით უკან. როდესაც შუამდინარეს მიაღწიენ, ჩქერმა ისინი ერთი შეატრიალა, შემდეგ ჩასძირა და შორს სადღაც ამოყვეს თავები, ხოლო წინ მიმავალ ნიკოლაიშვილმა როცა იხილა ეს, მოტრიალდა სწრაფად მისაშველებლად, მაგრამ ისიც თან ჩაიტანა ვოლგამ, ისე რომ ის ჩვენ აღარ გვიხილავს, ხოლო ჩვენ, როგორც ნაკლებ მცურავებმა თავი ძლივს გავიტანეთ გაღმა. მე იქიდან პირდაპირ ნოვოროსიას მოვაშურე, რადგან ცემენტის ქარხანაში მუშაობა შეიძლებოდა იქ. ნოვოროსიიდან ცხრა ვერსის მოშორებით არის „უდელნოე იმენიე" აბრაუ დიურსოსი, სადაც რამოდენიმე ასეული დესეტინა ვენახია გაშენებული შესაფერისი საქარხნო მოწყობილობით. აქვე დავრჩი 1912 წლამდის. ადგილი მყუდრო იყო და მეცადინეობის დროც იყო მიუხედავად იმისა 6 საათიდან 6 საათამდე სულ ვმუშაობდით. კავშირი მქონდა ნოვოროსიაში ქარხნის ძველ მუშებთან. მათი დირექტივებით 3 პატარა იაჩეიკა მოვაწყვე, მაგრამ აქაც აღმოჩნდა იუდა ისკარიოტელი შილოვი, რომელმაც გაგვყიდა.

თავი დავაღწიე იქიდან, მავრამ რაც კი მქონდა ყველაფერი იქ დამრჩა. ზღვის პირით ანაპაში გავედი სპინცოვის აგარაკის მახლობლად. 10 დღის შემდეგ გემით გელენჯიკში ამოვყავი თავი კრამიტის და აგურხანის ქარხანაში. აქ ძველი ნოვოროსიის ცემენტის ქარხნის მუშებიც გადმოხვეწილიყვნენ იქაური უმუშევრობის გამო. ვერც აქ ვიშოვეთ სამუშევარი, გადავცვინდით ტუაპსეში, მაშინ იქ დიდი პორტი შენდებოდა და აქ დამხვდენ ახალი ამხანაგები: გენო ფანცულაია და კირილე ფახულია (ეს უკანასკნელი დღეს ზუგდიდის ინფორპუნქტის თანამშრომელია) მე ადრე დავშორდი მათ და ფოთისკენ წამოველ, რომ პასპორტი მეშოვნა. მაგრამ აქვე დავრჩი ფოსტა-ტელეგრაფის

1) ამხ. დ. ესებუას ავტობიოგრაფია საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ავტორი აქ თავისთავზე მოგვეთხრობს, არამედ ამასთან ერთად მას მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტებიც მოყავს. სასურველია ამხანაგები ასეთი სახით მოგვაწოდებდეს მოგონებებს თავიანთ წარსულზე.

რ-ე დ.

დამტარებლად. მასთან, რა თქმა უნდა, სხვა საქმეებსაც ვაკეთებდი. ომის დაწყების წინათვეებში მშვენიერი კარგი მუშაობა გვქონდა გაჩაღებული ფოსტელ ახალგაზრდობის შორის. მაშინდელი იაჩეიკიდან გამოსულები დღეს ბევრია პასუხისმგებელ ამხანაგებთა შორის. მაგალითად ალექსანდრე გოგია ფოთში იმყოფება. მაგრამ ნათქვამია: с хама не дай бог пана"-ო: ერთი ვიღაც კონტრ-რევოლიუციონერი კვირიკაშვილი გადმოიყვანეს ფოსტის უფროსად ყვირილიდან, რომელიც ქართულ ენას „собачий язык-ს უწოდებდა. ამან აგვითვალისწუნა. შემოვიდოდა ჩვენს ნესტიან სადგომში (მაშინ ყოფ. გაბაროვის არაყის ნაქარხნევში იდგა ფ.—ტ. კანტორა) ერთს მიმოავლებდა თვალს ირგვლივ და დაინახავდა თუ არა ჟურნალ-გაზეთებს მაგიდაზე და უამრავ წიგნებს თახჩაში, წამოიძახებდა: „Ксебуа, мерз." რა „подполье" გაგიმართავს აქაო. როდესაც ომი დაიწყო, მაშინ მიშონვა დრო. თუ სადმე საჩქარო სამხედრო ტელეგრამები იყო, ჩემი რიგიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მე მერეკებოდა ფოსტის ცხენივით. ერთხელ შუაღამისას მაიარმეში გამიძახა მაშინ, როცა ასჯერ უფრო ადრე ტელეფონ-ით შეიძლებოდა მისი გადაცემა, და მე კი კინაღამ მგლებმა დამგლიჯეს, ჯარისკაცები რომ არ მომშველობდნენ. რა მექნა, სამხედრო წესები იყო გამოცხადებული და საველე სასამართლო არ ამცდებოდა მისი მეოხებით. ორჯერ დამაბეზღა რიონის ატრიადს გენერალ იაზიგინთან—ეს მოღალატეაო, კინაღამ დამღუპა, თვით მოხუც გენერალს რომ არ გადავერჩინე. ასეთი კაცი დღემდის მუშურგლეხურ სახელმწიფოს პურით იკვებებოდა, მაგრამ, როგორც გავიგე ამ ბოლო ხანებში გაუძევებიათ სამსახურიდან. ახლა ალბათ მის მეგობარ ვოიჩეკს თუ დაეძებს (ფოთის ყოფ. პოლიც მეისტერია),—რომელთაც კუდი კუდზე ქონდათ გადაბმული და ყოველივე ცნობებს აწვდიდა ჩუმჩუმად. მაგალითად „Русское общество"-ს მუშები რომ გაიფიცენ ფოთში, ადესის მუშები უწევდენ იქიდან დახმარებას და თანაგრძნობისათვის გაფიცვაც კი გამოაცხადეს ადესაში. მაგრამ ფოთში ოთხი „ძაღლთაპირი" ჯაშუშების გაცემით დავმარცხდით. ესენი იყვნენ: კონონია ცინცაძე (ყოფილი საორშაბათო გაზეთ „ფიქრი"-ს რედაქტორი) 1. კვირიკაშვილი, 2. ვოიჩეკი, 3. ცინცაძე და 4. იუზბაში, (მაშინდელი „Русское общество"-ს აგენტი, რომელმაც სპარსელები გამოიწერა გაფიცულ მუშების სამაგიეროდ, მაგრამ ისინი ვერ გამოდგენ, ქუჩები კი არ იყო საკირწლავი ფოთში) ბოლოს მეც იძულებული ვიყავი გავცლოდი ფოსტას. ჩემი გამოსვლა და ამხანაგების ადგილის მიტოვება ერთი იქნა. დარჩა „ურასილნოდ" ფოსტა. პირველად ალ. გოგიამ მისცა „ატსტავკა," შემდეგ დანარჩენებმაც. მე მაშინდელ „земский союз"-ში ჩავეწერე ვითომ და დურგალი. გამგზავნეს ტრაპიზონისაკენ სანგრებში სამუშაოდ. სამი თვის შემდეგ წამოეფეთა ტრაპიზონს „გებენი", „ბრესლაუ" და გაიწმინდა ტრაპიზონი მეფის ოკუპანტებისაგან. ჩვენ მუშები წამოვედით ფეხით ბათომამდე. რიზეში ჰაიდარბეგ აბაშიძე შეგვხვდა, რომელმაც ცოტაოდენი დახმარება აღმოგვიჩინა უფულო ხალხს. ბათომიდან პირდაპირ თბილისში წამოვედი, რათქმა უნდა, უგროშკაპეიკოდ. იქ ერთხანს ჩემი ამხანაგი ასოთ-ამწყობი, ვასო კობახიძე, მინახავდა. ბოლოს გამომგზავნეს პარტიული გაზეთების გასავრცელებლად. რევოლუციამ მომისწრო აქვე. როგორც მაშინ ამბობდენ, ფოსტით მიღებულმა. მთელი ჩემის ენერგიით ვიდექი ძველს პლატფორმაზე. დემოკრატიზმით სოციალიამისაკენ, თუმცაღა ეჭვი კი მეპარებოდა გზის სისწორეში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სშქართველო რუსეთს გამოეყო. მაგრამ ისეთ არეულ დროს პროვინციელ მომუშავეთათვის ძველი კარგა ხნის ჩაჭედილი აზრების ამოფხრა არც ისე ადვილი იყო 1914 წ., როდესაც დაიწყო მსოფ. გამანადგურებელი ომი და ომის ღმერთმა დედამიწას თავისი ბურლი დაჰკრა და სისხლის შადრევანმა ღრუბლებში მისცა თავი, ვფიქრობდი: ნუთუ პლეხანოვი, კაუცკი, და სხვები ჩვენ გვიღალატებენ მეთქი. ნუთუ ესენი ნამდვილ გზას აგვაცდენს და უფსკრულისაკენ გადაგვჩეხს? ალბათ ჩვენ იმდენი არ გვესმის, რომ მივსწვდეთ მათ გენიოსობას, მათ თეორიას. მაკვირვებდა კიდევ ნოე ჟორდანიას წერილი რუსულ ჟურნალ „Дело"-ში. არ მჯეროდა მათი ღალატი. მხოლოდ ერთი ფაქტი კი ნათელ სვეტის ისარივით ჩამოერჭო ჩემს გრძნობაში. ეს იყო ჟან-ჟორესის ვერაგულად მოკვლა. მისი მსოფლიო ბინძურ კოცონზე მიტანა. იმაზე კი ხმას არავინ სძრავდა, გარდა რამოდენიმე ფელეტონისა „თანამედროვე აზრ"-ში პარიზელ კორესპოდენტის მიერ. დანარჩენი კი გერმანია, რუსეთი და საქართველოს ხელმძღვანელნი სოც.-დემოკრატიული პარტიისა ხმას არ იღებდნენ. არამც თუ ომის წინააღმდეგ, არამედ ქრისტიანულ სოციალიზმის გოდებით მოსთქვამდენ ვით „ბაბილონის მუშა ურია". როდესაც ბრესტის ზავი გამოქვეყნდა, ვაჭრებმა პროკლამაციების ბეჭდვა დაიწყეს ჩვენთან ერთად: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, სამშობლო განსაცდელშია-"ო. ვეკითხები ჩემს თავს, ესენი ვინღა ოხრები არიან, საიდან გამოტყდენ, ახლამდე ახლოსაც არ გვეკარებოდენ და ახლა კი გვერდში ამოგვიდგენ.

მაგრამ ჩხუბში მაინც ჩაგვითრიეს. ეს კიდევ ცოტაა. ბათომი, გაგრა, ოჩემჩირე, პილენკო, ახალციხე, ოსეთი, სომხის ფრონტი, წითელი ხიდი და მრავალი სხვა; ერთი სიტყვით საქმე ისე „გამოკეთდა," რომ ძველი პოდრაჩიკი ზაქარია გურული დიდი სტრატეგი გახდა. სამხედრო მეცნიერებაზე სტატიებსაც კი სწერდა გაზეთებში. მე მგონია, რაც მაშინ გაყვლეფილ საქართველომ ომებზე ხარჯები გაიღო, ის რომ განათლების საქმეს მოხმარებოდა, იმის ნახევარი წიგნები მაინც დაიბეჭდებოდა, რაც გასაბჭოებას შემდეგ დაიბეჭდა. ცოდვა აღიარებული სჯობია. გასაბჭოებას შემდეგაც აღარ მოგვეცა საშველი. ეს „მეორე ნომერი წერილი"-ო, ეს „მეოთხეო" და სხვა. ამას გვპირდებოდა აბა გამოიღეთ ხელი, იმუშავეთო, ემუშაობდით, მაგრამ რისთვის, ვისთვის?! ვჭრი იმ ტოტს, რომელზედაც ვზივარ. ვღებულობდით კონსტანტინეპოლიდან ყოფილ ლტოლვილ კომისრებს ბათუმში, ბათომიდან ფოთში. ფოთიდან კიდევ ვასო კობახიძე მოათრევს სენაკში: აბა, მიტრო, გადაგზავნე ესენი იქეთო. ვაგზავნი მეც, მაგრამ ერთხელაც, როდესაცთავს ანგარიში მოვსთხოვე, გლახა ჯამი გამოვიდა. ცოტა გაწყდა, თორემ კინაღამ ფაშისტები ამეტუზა თვალწინ. მაგრამ მოაწია, აგვისტომ. დაიწყო ღლვევის პროცესი. საქმე სასურველად დაგვირგვნდა. ჯამიც კარგი გამოვიდა. წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, თუმცაღა თითო-ოროლა მოღალატენი აღმოჩნდენ ჩვენშიც, მაგრამ სირცხვილი მათ, ორ სკამზე მჯდომთ! ახლა სიკვდილი, ცოცხლად სიკვდილი, გულმკერდზე საკუთარი სისხლით წითელი ემბლემა, რომ გრცხვენოდეს წარსული ცხოვრების, მოგონება: გული ისევ მთელია, მკლავი ისევ მჭრელია, ალბად. მახვილს კვლავად მოიქნევს დუშმანის, სისხლით მოწყურებული. დიდება ოქტომბერს! სამარადისო ხსოვნა მათ მსხვერპლს ჩვენს მუშურ გულში. სასახელო და ჩქარი გამარჯვება მესამე კომუნიტურ ინტერნაციონალს.

**დიმიტრი ეხებუა.**



ვიქტორ თევზაია

ჟურნალისტი, ყოფ. პოლიტ. ემიგრანტი, დამფ. კრ. წევრი და დემ. რესპ. წარმომად. უკრაინაში. ს.-დემ. პარტ. ც. კ. წევრთა შორის პირველმა დასტოვა მენშევიკური პარტია.

# ჩვენი მოძრაობის შედეგები.

ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სოც.-დემ. პარტიის სრულიად საქართველოს უკანასკნელმა ყრილობამ გაუქმებულათ გამოაცხადა ეს პარტია.

ამ ისტორიულმა აქტმა მაშინ ბევრი აალაპარაკა. საინტერესოა ვინ როგორ აფასებდა ამ აქტს.

მუშათა კლასი სიხარულით შეხვდა მას. მრავალ ფაბრიკა-ქარხნებიდან თხოულობდენ მოხსენებებს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შესახებ. ჩვენს ამხანაგებს მთელი თვეების განმავლობაში სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ მოსვენება არ ქონდათ: კრებიდან კრებაზე, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდენ. არ დარჩენილა არც ერთი პროფ. კავშირი, არც ერთი ქარხანა, ფაბრიკა, სახელოსნო, სადაც არ მოეთხოვოთ მოხსენების გაკეთება.

მოითხოვეს მოხსენებები სოფლებშიაც.

პროლეტარიატის ერთ ოჯახში გაერთიანება, გაუქმება იმ პარტიის, რომლის მოღვაწეობა რევოლიუციის პროცესში იყო წმინდა კონტრ-რევოლიუციონური, ბუნებრივათ იწვევდა სიხარულს მშრომელ მასაში.

სულ სხვა სურათს ვხედავთ მეშჩანურ და კონტრ-რევოლიუციონურ წრეებში, რაც ბუნებრივია.

ყოფილი თავად-აზნაურობა, ყოფილი მემამულეები, რომლებმაც რევოლიუციის წყალობით დაკარგეს ძველი პრივილეგიები, ბრაზმორეულები იყვნენ.

მეშჩანური წრეები აღშფოთებული იყო.

სამწუხაროთ, ასეთი ხალხი ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში და აი ისინი შეუდგენ „აზრის შემუშავებას“ ყოფილ მენშევიკების წინააღმდეგ.

ისინი ამხედრდენ ყოფილ მენშევიკების მუშა-მოსამსახურეების წინააღმდეგ. ბევრი იმათგანი გამოდიოდა უპარტიოს სახელით საერთო კრებაზე. მოქონდათ თავი საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა მომხრეთ და უნდობლობას უცხადებდა ყოფილ მენშევიკებს.

მაგრამ, მათდა სამწუხაროთ, მათ გავლენას არ ქონდა ადგილი.

გარიყული, ყველასგან ზურგ შექცეული მენშევიკური არალეგალური ცეკა ჩვენს საერთო კრებაზე, კონფერენციებზე და ყრილობაზე გზავნიდა თავის ორატორებს, რომლებიც დიდი ენერგიით მუშაობდენ, გამოდიოდენ, ლაპარაკობდენ სრულიად თავისუფლათ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ გასავალი აღარ ქონდა მათ სიტყვებს და ხელცარიელი მიდიოდენ უკან.

სასტიკად დამარცხებული მენშევიკური ცეკა არ ცხრება, ის უშვებს ფურცლებს ფურცლებზე ჩვენს წინააღმდეგ, ავრცელებს ყალბ ხმებს მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა წინააღმდეგ, იმუქრება, მაგრამ ყველაფერი ეს წარმოადგენს მხოლოდ „ქარიშხალს ჭიქაში“.

სალიკვიდაციო ყრილობაზე მონაწილეობას ღებდა 12 ათასი მუშა და გლეხი, მენშევიკური პარტიის აქტიური წევრები.

ყრილობის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ ჩვენს პლატფორმას შეუერთდა 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტები.

ყრილობის ლოზუნგებმა იპოვეს გამოძახილი საქართველოს ყველა კუთხეში.

ძუარებელი წევრები მენშევიკური პარტიისა უერთდებიან ჩვენს პლატფორმას.

გაიღო ციხის კარები და ათასობით გადმოდიან ჩვენს მხარეზე.

გვიერთდებიან ცივ ქვეყნებში გადასახლებულებიდან, ჩამოდიან ემიგრაციიდან, არსდება ემიგრაციაში საბჭოთა პლატფორმაზე მდგომთა წრე, სადაც უმთავრესად შედიან სტუდენტები, და ჩვენი რიგები ელვისებურ სისწრაფით იზრდება.

პარიტეტულ კომიტეტს ეცლებიან ნაციონალ-დემოკრატები. მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ მათი არსებობა ზედმეტი შეიქმნა. ნაციონალ-დემოკრატები იძულებული გახდენ გამოეცხადებიათ დაშლილათ თავიანთი რიგები...



ამხ. არ. რუხაძე.

ჟურნალისტი, სტატისტიკოსი. პარტიაში შევიდა 1903 წ. არალეგალურ მუშაობისათვის რამდენჯერმე იყო დატუსაღებული და უკანასკნელად ციმბირში გადასახლებული.

---

იშლება მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაც, რომელიც 1921 წლიდან საბჭოთა პლატფორმაზე იდგა. ზედმეტი შეიქმნა ამ პარტიის ცალკე არსებობა.

შეირყა არალეგალურ ცეკას რიგებიც. ცეკას თავმჯდომარე ს. დევდარიანი უკვე აღარ ემხრობა ცეკას ტაქტიკას. ბანდიტიზმი, იმპერიალისტური ჯარების ინტერვენციის მიმხრობა, აშკარა კონტრ რევოლიუციონური მუშაობა ყრილობის გარეთ დარჩენილებს თვალს უხელს.

ამის დამამტკიცებელია ყრილობის შემდეგ მომხდარ არალეგალურ კონფერენციის თავმჯდომარის ამხ. ილ. გიორგაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი ჩვენთან დასაახლოებლათ.

ცეკას ეს ერთობ არ დაუჯდა ჭკუაში და ამხ. გიორგაძე დაეცა მის ტყვიის მსხვერპლათ.

მოგვიკლეს აგრეთვე მუშა ამხ. ვ. ქაიხოსროშვილი.

ცეკა ფიქრობდა ამ ზომებით დაეფრთხო და დაექუცმაცებია ჩვენი რიგები.

მაგრამ მიაღწიეს სულ სხვა შედეგს.

ამხ. გიორგაძის და ვ. ქაიხოსროშვილის სიკვდილის შემდეგ ს. დევდარიანი სტოვებს მენშევიკურ ცეკას.

ყოფილი მენშევიკების რიგები მჭიდროვდება. ტყვიის ზუზუნს უპაწუხებენ მასიური განცხადებებით კომპარტიაში მიღების შესახებ.

ყოფილი მენშევიკების დიდი ნაწილი დღეს უკვე წევრია იმ პარტიის, რომელმაც იხსნა რევოლიუცია დაღუპვისაგან, რომლის გზა, ხაზი გამართლებულ იქმნა ისტორიისგან.

მეორე ნაწილი ყოფილ მენშევიკებისა ჯერ კიდევ არაა წევრი კომუნისტური პარტიის, მაგრამ მე მრწამს, რომ ის სულით, გულით ამ პარტიასთან არის და მასთან ერთად იქნება მუდამ მთლიან მუშათა ოჯახში.

ვინ შერჩა მენშევიკურ ცეკას?

თითო-ოროლა გზა-აბნეული ავანტიურისტი.

საზღვარგარეთელი ბიურო ყოველდღე გზავნის საქართველოში თავის ემისარებს. ხომერიკი, ჩხიკვიშვილი, ჯუღელი და სხვები მოდიან აქ „პარტიის“ დასახსნელათ. მაგრამ აქ ხვდებათ მათ ცალიერი ადგილები. აღარაა მენშევიკური პარტია. არაა ნდობა. მასაში. ცეკა დარჩა სრულიათ უჯაროთ.

ნ. ჟორდანიას გეგმები აჯანყების მოწყობის შესახებ იწვევს მხოლოდ სიცილს.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა დიდი ბრძოლა პარტიის ნაშთებთან...

გვეკამათებოდა ს. დევდარიანი, გვეკამათებოდა ნ. ჟორდანია, გრ. ლორთქიფანიძე... მაგრამ ეს ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა.

ამ კამათის გარდა ჩვენი ამხანაგები ერთი წლის განმავლობაში ყველა ჯურის უპასუხისმგებლო ელემენტების იერიშის მისატან საგნათ გადაიქცა. ჩვენზე ლაპარაკობდა ყველა, ვისაც თითქოს საქართველოს „დამოუკიდებლობაზე“ შესტკიოდა გული. ჩვენსკენ იქნევდა მუშტებს ყველა, ვისაც ეს არ ეზარებოდა და თავი „ხალხის“ ჭირისუფლად მოჰქონდა.

1923 წლის 25 აგვისტოს მიღებული პლატფორმა ამ ერთი წლის განმავლობაში ერთიათად განმტკიცდა.

და რამდენიმე ათასი მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი, რომელნიც დღეს კომინტერნის დროშის ქვეშ დგანან, 25—აგვისტოს მიღებულ პლატფორმას დაიცავენ თავისი სისხლით.

ამ დღეს ჩაეყარა მტკიცე საფუძველი პროლეტარიატის გაერთიანებას საქართველოში. ამ დღეს აფრიალდა მთლიან პროლეტარულ ოჯახში გაერთიანების დროშა. ამ დღეს შეუღლდა რევოლიუციის პროცესში ერთმანეთს დაშორებული ორი ძმა.

და ამ მთლიან ოჯახს, ამ შეკავშირებას, ამ ყრილობაზე მიღებულ სწორ რევოლიუციონურ გზას ვერ შეარყევს ვერც ნ. ჟორდანიას ფანტასტიური გეგმები, ვერც ავანტიურისტების ანტიპროლეტარული მუშაობა და ვერც არალეგალურ ცეკას ტყვია.

ა. რუხაძე.

# მგონი ასრულდეს. *)

მე ეხლა მაგონდება ჩემი თავგადასავალი, მკითხველებო თქვენ იცით, რომ მე მკითხა მღვდელმა, როგორ არის აფხანაკო ჩვენი საქმეო და ჩამომკრა მხარზე ხელიც, მე ამ გარემოებამ, თუ რა მაქნევია, ესეც იცით თქვენ, თავს არ მოგაწყენთ ჩემი რეჩებით; მხოლოთ ეხლა მე მინდა რა მომაგონდა გითხრათ: რა მომაგონდა, ის რომ, მგონი ჩვენი ემიგრანტებს ჰკითხა ევროპის მღვდლებმა, როგორაა აფხანაკო ჩვენი საქმეო, და მგონი ჩვენმა ემიგრაციამ ვერ მისცა პასუხი, ანდა ისე შემოეყარა გულზე, როგროც მე, მღვდლის შეკითხვის დროს და თქვა, ვაი ჩემო თავო, სად ვარ და ვინ მიძახის, როგორაა ჩვენი საქმეო, და ამაზე გაბრაზებული იწყო დენა თანდათანობით ჩვენი ძმა ბიჭებმა თავის ნამდვილ მუშურ გლეხურ ქვეყანაში, თუმცა მორცხვათ, მაგრამ მაინც; ესე იგი უფრო რომ კარგათ გავიგოთ მკითხველო ჩემსავით, მღვდელთან, თქვენ გგონიათ მე არ მიჭირდა მაშინ პირველათ ფეხის ადგმა, კი, იმიტომ რომ სუსტი ვიყავი ძმავ, მაგრამ ეხლა გამომცადე, და დაინახამთ ჩემში უკვე გამაგრებულ და გაჯანსაღებულ მებრძოლს თავის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამცველს. ეხლა კიდევ იქით, ევროპის წევრებისკენ; მე ასე ვფიქრობდი, როცა ნოე ჟორდანიას წერილს ვწერდით და საბედნიეროთ მეც როგორც ერთი პატარა მუშა ხელს ვაწერდი, გავაგებიოთ ადრე, რომ ხიფათში არ ჩავარდეს ნოე მეთქი, და მალე დაუბრუნდეს თავის მუშურ ოჯახს მეთქი. და ამით გაძღენნთილი თითქმის მეცოდებოდა, მაგრამ ნუიტყვით თურმე არ ვცდებოდი მე მაშინ, არ ვცდებოდი მიტომ რომ, ორი რამ უნდა მომხთარიყო, ან უნდა გაემარჯვებია ჩვენი მტერს ბურჟუაზიას, ან და ჩვენი მოყვარეს მუშათა კლასს, და მართლაც გაიმარჯვებს სინამდვილე, და სინამდვილე კი ეკუთვნის მუშას. მაშ ეს რომ ასეა, რას უზამდენ ჩვენი ემიგრაციას ევროპაში? აუცილებლათ ჰკითხაშდენ, როგორაა აფხანაკო ჩვენი საქმეო, კარგი გვარიანი ხანია თქვენ ჩვენი სტუმრები ხართ, მგონი აწი მამასახლისობაც დაიჩემოთო, და თქვენი ქვეყანა კი ვერ გახთა ჯერაც ჩვენი საწველი ფურათო და თქვენ კი ჩვენში თარეშობთ თითქოს დიდი რუსეთის წარმომადგენელნიო, და თქვენ კი არავინ არასფელს გეკითხებიანო და ამას გაბრაზებული ევროპა ეკითხება ემიგრაციას, თქვენ ჩვენთვის მეტი ბარგი ხართ და აქიდან შეაყოლეთო და მართლაც აყოლებენ, ჩვენ ადრე ვუსიზმრეთ, მაგრამ, ხომ იცით ჩვენი ხალხის სიჯიუტე, როცა გეხვეწებიან, მაშინ ფეხს იდგამ, ასე მოუვიდათ ჩვენ ძმა-ბიჭებს, როცა პატიოსნათ მივმართეთ 25 აგვისტოს ისტორიულ დღეს, იმათმა ირონიით და ლანძღვა-გინებით გვიპასუხეს და ეხლაკი, როცა მოუჭირა ევროპის ბურჟუაზიის ბრჭყალებმა თითო ოროლა მოდიან და ჯერ ნახულობენ მეტეხის კედლებს და შემდეგში ალბათ ნახავენ ნამდვილ იმ გზას, რომელიც ჩვენ ვნახეთ 25 აგვისტოს 1923 წ. ნუ გრცხვენიათ ნუ, თქვენზე ნაკლები ჩვენ არ ვყოფილვართ, თუ ვალიკო ჯუღელი იბრძოდა, ჩვენ კენჭობიას არ ვთამაშობდით, ჩვენც ვიბრძოდით, მაგრამ გლახათ, ბრძოლის უნარი გვქონდა, მაგრამ რას ვშობობდით არ ვიცოდით. და ნუთუ ის არის სირცხვილი, რომ გაიგოს კაცმა რას აკეთებს და მერმე ისე აკეთოს როგორც ეს საჭიროა ჩვენ მუშებისათვის! არა, და ათასჯერ არა, მა რა გნებავთ? თქვენი მეს გაყვანა? არა და ათასჯერ არა, ვერ გაიყვანთ ვერა; მაშ მოდით ჰკუაზე და როგორც გეტყობათ მოდიხართ კიდეც თანდათანობით. მალე სულ მალე მთელი შემადგენლობა აქ იქნებით ჯერ მეტეხის კედლებში და მერმე საზოგადოებაში. ხალხმა მთლათ მიგატოვათ ეხლა მაინც, როცა ციხებში ამოყავით თავი. შემოსვლის თანავე ციხე, რას ნიშნავს ეს? იმას რომ თანაგრძნობი არა გყავთ, გაიგეთ ხალხნო, თორემ ერთიორი კვირით მაინც რათ ვერ ინახავთ თავს! მოდით გონს, ჩვენ მუშები ვართ და ჯინიანობას არ დავზდევთ.

კიმოთე შენგელია.

---

*) წერილი მიდის გაუსწორებლათ, ავტორის ენის და სტილის დაცვით. რედ.



ამხ. ერმილე ბაღათურია

მოწინავე მეგრელი გლეხი. ძველი რევოლიუციონერი და პარტიის წევრი.

# რუსეთში მოგზაურობიდან.

მკთხველს ეხსომება, რომ საქართველოს მენშევიკურ პარტიის სალიკვიდაციო ყრილობამ აირჩია ბიურო, რომელსაც დაავალა საქართველოში მომხდარი ამბები გადასახლებულებისათვის ეცნობებია. სხვა ამხანაგებთან ერთად მეც შემხვდა წასვლა რუსეთში. აქ უადგილო არ იქნება შევჩერდეთ ერთ ყურადსაღებ გარემოებაზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და უმეტესად იმის შემდეგ, რაც საქართველო ჩამოშორდა რუსეთს, როგორც პრესაში, აგრეთვე ყველა კრებებზე ჩვენში წაიკითხავდით და მოისმენდით შემდეგ ამბავს: რუსეთი ბოლშევიკებმა დაანგრიეს; რუსეთში კაციჭამიობა არის გამეფებული; ხალხი პირველყოფილ ადამიანებსა ჰგავენ, როგორც ჩაცმით, აგრეთვე შეხედულებით; რომ რუსეთის ქალაქები დანგრეულია და გადამწვარი და სხვა. ამას თუ დავამატებთ იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკებს აღმშენებლობაში ნაკლები უნარი და ფხიანობა აქვთო, როგორც მაშინ გაიძახოდენ, — მე დაინტერესებული ვიყავი ჩემი თვალით მენახა რუსეთის ვეება ტერიტორია, რომელიც სამი წლის განმავლობაში სამოქალაქო ეცხლის ალით იყო მოცული. მე მსურდა საკუთარი თვალით დავრწმუნებულიყავი იმაში, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ყ. მენშევიკების მოძრაობაში. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ეკონომიურ აღმშენებლობის დარგში, მისი შედარებით ადრე ფეხზე წამოდგომა მისი ეკონომიურად მოღონიერება. მე მომიხდა მოგზაურობა თბილისიდან მოსკოვამდის, ვიატკამდის, ველიკი უსტიუგამდის და სხვა ადგილებში. სწორეთ მოგახსენოთ, გაკვირვებიდან გამოვდიოდი, როცა ვუყურებდი წესრიგს. სისუფთავეს, მატარებლების ნორმალურ მიმოსვლას. იმ ქალაქებში, სადაც-კი ვიყავი, დანგრეული მე ვერაფერი ვერ ვნახე. ვეკითხებოდი ჩემს თავს. მინდოდა გამომერკვია რაში იყო საქმე და მხოლოდ ერთი დასკვნა გამომქონდა: ან ყველა ის, რასაც ვამბობდით და ვწერდით 1918—1921 წლამდი სიმართლეს მოკლებული იყო, ან და ყველაფერთ ის, რასაც ვამბობდით, მართალი იყო, საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას ისეთი ნიჭი და უნარი ქონია, რომ ასეთ მოკლე ხნის განმავლობაში დაამყარეს წესრიგი მთელს რუსეთში და აღადგინეს ყველა დანგრეული და განადგურებული ქალაქები. რომელი მხრითაც არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს, მიხვალთ იმ დასკვნამდის, რომ მუშათა კლასს და მის ავანგარდს, კომუნისტურ პარტიას, შესძლებია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

ახლა დაუბრუნდეთ საკითხს. ვიატკაში და ველიკი უსტიუგში მისვლისთანავე ვინახულე რამდენიმე ყოფილი პარტიული ამხანაგი, რომელთაც გავაცანი მომხდარი ამბები. მერე რა მიპასუხეს? მათ სთქვეს ის, რასაც ჩვენ ადრევე მოველოდით, მაგრამ თუ მაინც მივდიოდით მათთან, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორი, უტყუარი ინფორმაცია მიგვეწოდებია მათთვის ყოველივე მომხდარის შესახებ და ამით ჩვენი მოვალეობა შეგვესრულებინა და მომავლისათვის პასუხისმგებლობა მოგვეხსნა თავიდან. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადასახლებულთა შორის ნამდვილი მუშა, ფიზიკურ შრომის წარმომადგენელი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელია. მთელი დანარჩენი გადასახლებული მასა ინტელიგენციისგან და მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შესდგება. თითქმის იგივე სურათი, რაც აქაურ არალეგალურ ორგანიზაციებშია: ეს ორიოდე მუშა სავსებით ინტელიგენციის იდეოლოგიის მონობის ქვეშ იმყოფება, როგორც დანარჩენები, ისინიც შოვინიზმის გესლით არიან მოშხამული. აქედან ცხადია, რომ ჩვენი გულწრფელი ძახილი, ცხოვრების სინამდვილე —მათ გულს ახლოო არ ეკარებოდა. საქართველოდან მიღებულ ყალბ ინფორმაციით, ერთხელვე გაბრაზებულ გულით გამოგზავრებულ მენშევიკურ პარტიის გადასახლებულებთ, თითქოს დაუკავგავს ყოველივე უნარი კითხვისადმი ობიექტიური მიდგომის. დღეს ის გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული. მას კვლავ საღათას ძილით სძინავს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების სინამდვილეს ვერც ისინი გაექცევიან. გარემოებათა ვითარება, თუ

მცა გვიან, მაგრამ მათაც ჩვენ გზასთან მოიყვანს. ჩვენ ღრმათ ვართ ამაში დარწმუნებული განსაკუთრებით დღეს, 25 აგვისტოს, როცა ყრილობის წლის თავს ვზეიმობთ, როცა ამ ერთი წლის განმავლობაში უკან გვაქ მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვების, ასეულ და ათასეულ ამხანაგების გამოფხიზლება და ჩვენ გზაზე დადგომა.

ჩვენ კიდევ ვუხმობთ ყველა რევოლუციისათვის ჯერ ცოცხალ ამხანაგებს ხელი აიღონ უაზრო ბრძოლიდან, რომლისთვისაც მომავალი მათ მადლობით არ მოიხსნებს. ჩვენ ვეძახით მათ, ხელი აიღონ უმიზნო და უსარგებლო მუშაობაზე. ჩვენ მოუწოდებთ მათ მთლიან რევოლუციონურ ფრონტისაკენ.

ამ ძახილით, ამ შერიგების და პროლეტარულ ფრონტის გამაგრება, გაერთიანების სურვილით ფეხსა ვდგამთ ჩვენ-ჩვენი ყრილობის მეორე წლის დასაწყისში.

**ვ. სიხარულიძე.**



ამხ. **ვასო სიხარულიძე**
ხელობით მემანქანე. ს.-დ. პარტიაში იყო 1905 წლ. აქტიური არალეგალური მო მუშავე მეფის მთავრობის დროს.

# წარსულიდან.

**1905** წლის მიწურულში, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი რუსეთის მარცხით სრულდებოდა, მთელი რუსეთის მუშათა კლასი რევოლუციისთვის მზადებას შეუდგენ. მაშინდელ მთავრობასაც როდი სძინავდა. მან მოაწყო თათარ სომეხთა ელეტა, რითაც ჩვენი ძალები გათიშა და ამნაირად მოსწყვიტა საერთო რევოლიუციის ფრონტს. ადგილობრივი ჩინოვნიკობა აწყობდა პატრიოტულ საზოგადოებებს, რითაც კიდევ უფრო სუსტდებოდა ჩვენი ძალები. ეს გარემოება ფრიად დამაფიქრებელი იყო ჩვენთვის, მიუხედავათ ამისა ჩვენ, სადგურ განჯის მაშინდელი ამხანაგები, შეუდექით თადარიგს. ავირჩიეთ სახელმძღვანელო ბიურო, სარევოლუციო ბიურო, ტრიბუნალი და მოველოდით ცენტრიდან მხოლოდ სიგნალს. იმ დროს, როგორც ვთქვი, მთელ განჯის გუბერნიას მოდებული ჰქონდა ძმათა შუღლი და დაუნდობელი ხოცვა-ელეტა. რადგან თათრობა იქ უმეტესობას შეადგენდა, ყოველ მხრიდან იწყო დენა ჩვენი სადგურისკენ დევნილმა სომხობამ. სადგურიდან ქ. განჯაში შესვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც გავმართეთ მიტინგი, რომელზედაც დავადგინეთ მთელი მიტინგით ქალაქში წასვლა და მათი მორიგება, მაგრამ ამით ვერაფერს მივაღწიეთ, ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია მიიღო მეჩეთის ეზოში თათრის ბეგებმა და მოლებმა.--ისინი მოითხოვდენ სომხებისგან ზარალის ანაზღაურებას. სომხების ნაწილში დელეგაცია სომხის არხიმანდრიტმა მიიღო და ხალხის სახელით მოითხოვდა იმასვე, რაც თათრები სომხებისგან. ეკლესიის გალავანში ეყარა დახოცილთა აუარებელი გვამები.—ეს მშვენიერი მასალა იყო სააგიტაციოთ—ხალხის ასაღელვებად.

ჩვენ, როგორც კი მივიღეთ სიგნალი ცენტრიდან მაშინვე გავრეკეთ სადგურიდან ჟანდარმერია და არასასურველი ელემენტები. ჩავიგდეთ ხელში სადგური და დეპო, და ჩვენი ამხანაგები ჩავაყენეთ შიგ. შესწყდა ყოველივე მოძრაობა ხაზზე, მხოლოდ ერთად-ერთი მუშა-მატარებელი დადიოდა, რომლითაც ვაწვდიდით პატარა სადგურებს წყალს და სურსათს. სადგურს გარშემო დარაჯები გვყავდა დაყენებული—რათა უზრუნველგვეყო სომხის დევნილნი თათართა თავდასხმისაგან. იმხანად განჯაში, გერმანელების კალონიაში, საპიორის ბათალიონი იდგა, რომელიც მეფის მთავრობას არასაიმედოთ ჰყავდა ცნობილი და თბილისიდან განჯის რაიონში გადმოგზავნილი იყვნენ. მათთან ჩვენ გქონდა კავშირი, მაგრამ, როდესაც—სადგური ჩავიგდეთ ხელში, ეს კავშირი გაგვიწყდა, ვინაიდან მათ სდარაჯობდა ყაზახთა რაზმი და წინა დღით მათთვის იარაღი აეყარნათ კიდეც. დავრჩით ჩვენი ძალების ამარა, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიდექით რევოლუციის სადარაჯოზე. ჩვენ არაფრის არ გვეშინოდა. სიკვდილს თვალებში უცქეროდით.—ასეთი გარემოებით მივატანეთ დეკემბრის 19-დინ. არ ვიცოდით როგორ მიმდინარეობდა რევოლუცია რუსეთის ცენტრებში და ამით აიხსნება მაშინდელი მთავრობის ყოყმანი, სჩანს არც მათ იცოდნენ რა ხდებოდა ცენტრში, მაგრამ რა წამს გაიგო მან რევოლუციის დამარცხება, მიჰყო ხელი რეპრესიებს.—19 დეკემბერს გავიგეთ, რომ თბილისიდან და ბაქოდან დაიძრა მატარებლები დამსჯელი რაზმითა და გადავსწყვიტეთ თბილისიდან მომავალი მატარებელი დოლიარ-ძეგამის გადასარბენზე გადაგვეგდო და დაგვემსხვრია, მაგრამ ჩვენი გაგზავნილი ამხანაგები დროზედ ვერ მივიდნენ იმ ალაგის, სადაც მათ ჰქონდათ დავალებული ლიანდაგის აყრა. ამნაირად ჩვენი გეგმა ჩაიფუშა. ღამის თორმეტ საათზე მოვიდა მატარებელი და მიჰყვეს ხელი დაპატიმრებას, იმდენად მტკიცე იყო ჩვენი რევოლუციონური სულისკვეთება, რომ მაინც ვფიქრობდით მათთან შებმას და ბრძოლას. დამსჯელი რაზმი შესდგებოდა **500** კაცისაგან. ამნაირათ—ჩვენ დავმარცხდით და 100 კაცი დატყვევებული მეტეხში მოგვათავსეს. თბილისის სადგურში როდი ჩამოგვიყვანეს! მატარებელი გაჩერდა არსენალთან, იქ დაგვხდა ყაზარმების სხვა ასეული, რომელსაც გადასცეს ჩვენი თავი,—თვითონ დამსჯელი რაზმი კი ჩამოვიდა მატარებლიდან და იმღეროდა „ღმერთო დაიცვი მეფეო“; „Боже, царя храни“.—დაისვა კითხვა ჩვენ გადასახლების შესახებ, მაგრამ გრიაზნოვმა მოინდომა ჩვენი დახვრეტა. მოთმინებიდან გამოსულ თბილისის ორგანიზაციამ გადასწყვიტა მისი მოსპობა და მოისპო კიდეც. თუმცა ამ საქმეს შეეწირა ძვირფასი ამხანაგი არსენ ჯორჯიაშვილი. მისმა მადლიანმა ხელმა მოუსპო სიცოცხლე მტარვალს...—მე ყველაფრის დაწერას ვერ შევსძლებ, ყველაფრის მოგონება არც მეხერხება, მხოლოდ მე მინდა ვთქვა ის, რომ ჩვენ ბოლშევიკურათ აღზრდილმა მუშებმა, ბოლოს და ბოლოს შოვინისტურ ფერხულში ჩავებით, ოქტომბრის რევოლუციას გავექეცით და ვიწრო ნაციანოლურ ღობით შემოვიხაზეთ ჩვენი მიდამოები. აქედან იწყება ჩვენი ტრაღედია, ჩვენი ხაზის უსწორ-მასწორობა, მაგრამ საბედნიეროდ დაჰბერა ახალმა სიომ, მოხდა საქართველოს გასაბჭოება, ხალხმა გაიხსენა წარსული 1905 წლები და დარწმუნდა. რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს წარსულ, დამარცხებულ რევოლუციის აღდგომა და გაგრძელებაა. ის სავსებით დარწმუნდა საბჭოთა უნარიანობით და ნელნელა იწყო დენა მისკენ. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა აღმშენებლობის შედეგებმა მიიყვანა ქართველი მენშევიკი მუშები 25 აგვისტომდინ.

25 აგვისტო ეს ჩვენი, მუშების, გამოფხიზლების დღეა. მაშ გაუმარჯოს მას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომლის საკითხებისადმი ბრძნულმა მიდგომამ, მიგვიყვანა ამ ისტორიულ დღემდინ. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციას და მის ხელმძღვანელს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

მუშა **ნიკო ჩლაიძე.**

# საბჭოთა აღმშენებლობა.

საბჭოთა აღმშენებლობა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის.

წინეთ გაბატონებული იყო აზრი, თითქოს საბჭოთა მთავრობას შეუძლია მხოლოთ ნგრევა და არა გაკეთება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს.

— თურმე ნგრევაც შეძლებია საბჭოთა ხელის უფლებას და უფრო გაკეთებაც.

აი ციფრებიც.

ავიღოთ სახალხო მეურნეობა.

მარგანეცი ამოღებული იყო:

| | |
|---|---|
| 1918 წ. | 1,583 ფ. |
| 1919 წ. | 3,345 „ |
| 1921 წ. | 5,611 „ |

შემდეგ წლებში კიდევ უფრო მომატებულია მარგანეცის ამოღება.

ამნაირათ, საბჭოთა ხელისუფლების დროს ერთი-ორათ გაზრდილა მარგანეცის ამოღება.

ბორჯომის წყალი ჩაუსხამთ:

| | |
|---|---|
| 1919 წ. | 341,000 ბოთ. |
| 1920 „ | 383,000 „ |
| 1921 „ | 215,000 „ |
| 1922 „ | 486,000 „ |
| 1023 „ | 1,487,500 „ |

ეს ცნობები არ საჭიროებენ განმარტებას.

სახალხო მეურნეობის პროდუქცია უდრიდა:

| | |
|---|---|
| 1922 წ. | 3,305,838 ოქრ. მან. |
| 1923 „ | 9,334,740 „ „ |

სულ ერთ წელიწადში მეურნეობის პროდუქცია გაზრდილა 41% თ.

1923 წლის პროდუქციის ღირებულება ნაწილდება წარმოებებზე შემდეგი პროცენტებით:

| | |
|---|---|
| თამბაქოს მრეწველობა | 49,7% |
| სპირტი და კონიაკი | 8,0% |
| ტყის მრეწველობა | 7,8% |
| ტყავის „ | 6,6 |
| ზეთი და საპონი | 5,2 |
| პოლიგრაფ. წარმ. | 5,0 |
| ნახშირი | 5,0 |
| ლითონის მრწ. | 4,1 |
| საქსოვი | 2,0 |
| კერამიკული | 2,3 |
| დანარჩენი | 1,3 |

ნ. ჟორდანიას მთავრობის დროს კი თვით ნ. ჟორდანია აცხადებდა, რომ წარმოება უკვე მივიდა კატასტროფამდე და მისი გამოსწორება მხოლოდ სასწაულს შეუძლიაო.

ეს სასწაული თურმე ყოფილა საქართველოს გასაბჭოება.

ხშირად ლაპარაკობენ მუშათა კლასის განადგურებაზე, მის რიცხობრივ შემცირებაზე.

მართალია ეს?

1920 წელში მთელ საქართველოში ითვლებოდა 50.689 მუშა-მოსამსახურე.

1923 წ. 1 იანვრისთვის გვყავს 95,777, ე-ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1920 წელს.

რა მდგომარეობაშია ხელფასის საკითხი?

რევოლუციამდე მუშას შეეძლო ეყიდა მანეთ ნახევრათ:

1 ფუთი თეთრი ფქვილი,
ან 1 ფ. შავი პური,
ან 7 გირვანქა საპონი,
ან 10 გირ. ხორცი,
ან 10 გირ. შაქარი.

მანეთ ნახევარი იყო საშუალო დღიური ხელფასი.

1920 წ. შემოდგომაზე საშუალო დღიური ხელფასი იყო 240 მან., ან ოქროზე გადატანით 48 კ.

ამით მას შეეძლო ეყიდა:

$1\frac{1}{2}$ გირ. თეთრი ფქვილი, ან
1 გირ. საპონი, ან
2 „ ხორცი, ან
$\frac{1}{2}$ გირვ. შაქარი.

1924 წლის ივნისში საშუალო ხელფასს შეადგენს დღიური 1 მ. 50 კ—დე.

ამით შეუძლია იყიდოს მუშამ:

24 გირ. თეთრი ფქვილი, ან
30 „ შავი პური, ან
6,3 „ საპონი, ან
6,3 „ ხორცი, ან
4,3 „ შაქარი.

აქვს თუ არა აქ ადგილი დიდ მიღწევას?

ძნელია აქ მოყვანა ყველა იმისი, რაც გაკეთებულა ამ სამი წლის განმავლობაში.

მაგრამ ეს ცნობებიც საკმარისია პარალელისთვის.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას არ შეიძლებოდა არ მოეხდინა შესაფერი გავლენა მენშევიკურ პარტიაზე.

ოპოზიციაში მდგომ პარტიას გამოეცალა ნიადაგი ოპოზიციის.

და ის იძულებული გახდა ფარხმალი დაეყარა.

ა. რუხაძე.



ამხ. პ. გელაშვილი.

[პარტიის წევრი 1901 წლიდან. სიღნაღის მაზრის მომუშავე. მეფის მთავრობის მიერ დაპატიმრებული იყო 1909 წ.—1913 წლამდი, რის შემდეგ განაგრძობდა არალეგალურ ცხოვრებას და მუშაობას ქუთაისის გუბერნიაში. 1917 წლის რევოლიუციიდან ის მუშაობს კახეთში სხვა და სხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

# 25 აგვისტო—ისტორიული დღეა.

გასული წლის 25 აგვისტოს ყოფილ მენშევიკების ყრილობამ სოც. დემ. პარტიის თვით ლიკვიდაცია გამოაცხადა. 12,000 მა პარტიის წევრმა შეგნებულად დაგმო ძველი გზა და დადგა საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე. დადგა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მუშათა კლასის საქმე, სოციალიზმის იდეის მატარებელი მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარებია და ეს მთავარი დებულება მეცნიერული სოციალიზმისა მენშევიკების მორშანდელმა ყრილობამ თავის გამოტანილი რეზოლიუციებით სავსებით გაამართლა. ყრილობას უმთავრესათ შეადგენდენ მუშებისა და გლეხების წარმომადგენელნი, რომელნიც მშრომელი მასის წიაღიდან იყვნენ გამოსული, რომელნიც მონაწილეობდენ განვლილ 1905 17 წლის რევოლიუციებში. თავიანთ ზურგზე გადაიტანეს მეფის რეჟიმის რეაქციის სუსხიანი დღეები და ყრილობის ასეთმა შემადგენლობამ სრულიად სამართლიანათ უარყო დემოკრატიზმით სიარული და მიიღო რევოლიუციონური მარქსიზმი მუშათა კლასის საბოლოო იდეალების განსახორციელებლად. ყრილობამ ანალიზი გაუკეთა წარსულ მოქმედებას, მთელი რიგი უტყუარი ფაქტებით დაამტკიცა, რომ მენშევიკური პარტიის მიერ აღებული გეზით მუშათა კლასი ეარდებოდა პოლიტიკურ მონობაში და მისი კლასიური შეგნება ითქვიფებოდა ბურჟუაზიის გავლენაში.

ყრილობაზე აგრეთვე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მსოფლიო მენშევიზმის [illegible] ტიკაში მუშათა კლასის ღალატი [illegible] 1914 წლის იმპერიალისტური ომის დასაწყისში უკვე სჩანდა. როდესაც მეორე ინტერნაციონალის პარტიების წარმომადგენლებმა თავის ქვეყნის ბურჟუაზიულ მთავრობებს სამხედრო კრედიტები გაუხსნეს და სისხლის მიღებაზე ხელი მოუწერეს. ღალატი თანდათან აშკარავდებოდა მუშათა კლასის მიერ განვლილ პოლიტიკურ ბრძოლებში, რომელიც შედეგათ მოყვა მსოფლიო ომს. ეს ღალატი დღეს ყველასათვის აშკარაა, ვინც კი პოლიტიკურად ბეცი არაა, თვალყურს ადევნებს ევროპის დღევანდელ პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობას. ამგვარათ, ყოფილ მენშევიკების მიერ მიღებულ რეზოლიუციას მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ისტორია ამართლებს და უტყუარ ჭეშმარიტებათ ხდის იმ ფაქტებს, რომ საბჭოთა სისტემა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში პროლეტარიატის დიქტატურით, და რევოლიუციონური მარქსიზმით სიარულით მიიყვანს მუშათა კლასს სრულ გამარჯვებამდე.

ბურჟუაზიული დემოკრატია, მუშათა კლასისათვის გამოუსადეგარია, როდესაც გადამწყვეტ ბრძოლაზე დგება საკითხი, ასეთი დემოკრატია ყოველთვის ბურჟუაზიის ხელის დამჭერია და ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. პროლეტარიატი უნდა დაეყრდნოს რევოლიუციონურ პროლეტარულ დემოკრატიას, რომელიც პროლეტარიატთან ერთად

იწვრთნება რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბურჟუაზისა და პროლეტარიატის ინტერესი დიამეტრალურათ ერთი მეორეს წინააღმდეგია და როდესაც მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები და კერძოთ საქ. მენშევიკური პარტიის გაქცეული ლიდერები ბურჟუაზიასთან შეგუებას, თანამშრომლობას ურჩევენ მუშათა კლასს, ეს აშკარა ღალატია მუშათა კლასის, რადგან ამ შეთანხმებით მუშათა კლასის კლასიური შეგნება-განვითარების მაგიერ იჩრდილება და ეს კი ნიშნავს მუშათა კლასის საბოლოო მიზნის, სოციალიზმის განხორციელების გახანგრძლივებას. არა გვგონია, ისეთი გულუბრყვილო იყოს ვინმე, რომ ეს ვერ დაინახოს და განსაკუთრებით მან, ვინც პროლეტარიატის ინტერესის დამცველობას და ხელძღვანელობას კისრულობს.

ვასულმა ყრილობამ სწორეთ ეს მიიღო მხედველობაში, მრავალი წლის ნაცად გზას ხაზი გაუსვა, დაგმო ბურჟუაზიასთან ყოველგვარი შეთანხმება და გადავიდა პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე და ისინი, ვინც კვლავ განაგრძობენ ბურჟუაზიასთან ლაქიობით მუშათა კლასის ინტერესის დაცვას, თავის მოპირდაპირე მტრათ გამოაცხადა.

თავისთავად ცხადია, პოლიტიკური პარტია, რომელიც ბანდიტებთან კავშირს კრავს, რომელიც გამოდის თეთრი და შავი სამღვდელოების—ხუცებისა და ბერების—დამცველად, პარტია, რომელიც ბურჟუაზიასთან თანამშრომლობს, პარტია, რომელიც ავანტიურისტულ გზაზე სდგას და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ, აჯანყებისაკენ მოუწოდებს ხალხს—მუშათა კლასის ინტერესების დამცველი ვერ იქნებოდა და უნდა დაშლილიყო. ამ ერთი წლის განმავლობაში უფრო მეტი საბუთები გამოაშკარავდა, უფრო მეტად დამტკიცდა მენშევიზმის სიყალბე და მიმდინარე 25 აგვისტო 1924 წლის ყოფილ მენშევიკების თათბირი უფრო მეტის ენერგიით შეუდგება მუშათა კლასისათვის საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას.

**პ. გელაშვილი.**

# 25 აგვისტო.

თებერვლის რევოლიულიის დემოკრატიულმა სულმა უკანასკნელ ნავთსაყუდელად საქართველოს ვიწრო ტერიტორია შემოიფარგლა... ირაკლი წერეთლის „რევოლუციონური" გაქანება თვალუწვდენელ რუსეთის სივრცეზე ვერ თავსდებოდა, მაგრამ ისტორიის სინამდვილემ ისიც კი საქართველოში შემორკალა... საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ ვერ შესძლო მომენტის სათანადო შეფსება.

მაშინ როცა რუსეთის მუშათა კლასი უკანასკნელ ძალებს იკრეფდა, რათა ხელთ ეგდო წითელ მოსკვთან მიახლოვებული დენიკინის შავი ძალები, მაშინ, როცა სიმშილისაგან განადგურებული რევოლიუციონური რუსეთი სამოქალაქო ომში იწვოდა, საქართველოს მენშევიზმი დენიკინის ბანდებს მახვილს აწვდიდა—ლენინის ოგზნებულ მოწოდებაზე პროლეტარიატმა მიატოვა ფაბრიკა-ქარხნები. დროებით მოშორდა დაზგებს და რევოლიუციონური ცეცხლით ეკვეთა მტერს...



ამხ. შალვა გომართელი.

სოც. დემ. პარტიაში ირიცხებოდა 1910 წლ. მუშაობდა მოსკოვის, ბაქოს და დაბოლოს თბილისის ორგანიზაციაში. ემხრობოდა ე. წ. „სხივლების" ფგუფს. ბოლო დროს არჩეული იყო დამოუკიდებელ სოც. დემ. პარტის ც.-კ.-ს წევრათ.

პარტია ჯერ კიდევ 1922 წელში დასტოვა. ამჟამად ჩვენი ჟურნალის მუდმივი თანამშრომელია.

---

და ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში საქართველოს მენშევიკები დენიკინს ეარშიყებოდა.

რამდენი მუშა განგმირულა მენშევიკების გამოგზავნლი ტყვიით?

მარტო ეს ფაქტიც საკმარისია მენშევიკური პარტიის იდეური სიკოტრისათვის...

დღეს ერთი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ ამ პარტიას ჩამოვშორდით...

25 აგვისტო...

რამდენი სიხარულის მომგვრელია ჩვენთვის ამ დღის მოგონება...

25 აგვისტოს ჩვენ სამუდამოდ გავიმიჯნეთ ოპორტიუნიზმისაგან.

25 აგვისტოს სამუდამოდ ჩამოვშორდით მარქსისტული იდეის შემლახველ პარტიას და გავერთიანდით ოქტომბრის გზაზე მიმავალ მუშა ხალხთან. 12 ათასი რევოლიუციონერი თავისი სინდისის პასუხისმგებლობით სრულიად გულწრფელად დადგა მე-III კომინტერნის სხივოსანი დროშის ქვეშ...

25 აგვისტო!..

საქართველოს სინამდვილეში მეორე ოქტომბერია...

რა სახელით არ მოგვნათლეს პარტიაში დარჩენილებმა და ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე ჭორების გავრცელების მეტს არაფერს არ აკეთებს?..

ჩეკის აგენტები, მოსყიდულები, მშიშრები, გამცემლები, სამშობლოს მოღალატენი და ვინ იცის კიდევ რა...

ჩვენ პირზე ღიმი მოგვდიოდა ასეთი ცილის წამების გაგონებაზე, რადგან მტკიცედ გვწამს ოქტომბრის რევოლიუციის საერთაშორისო გამარჯვება, და ამ ერთი წლის თავზე ჩვენ უფრო მეტი გამბედაობით და უფრო მეტი აღტაცებით ვიტყვით:

გაუმარჯოს 25 აგვისტოს!

გაუმარჯოს ოქტომბრის მონაპოვარს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

**შალვა გომართელი.**

# 25 აგვისტოსთვის.

(უაზრო ბრძოლის მწარე მოგონებიდან)

ერთი წელიწადი გავიდა, რაც საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილმა და მოწინავე გლეხებმა ხმა აღიმაღლეს და სამუდამოდ ჩამოშორდენ მენშევიკურ პარტიას, რომელმაც სავსებით დაჰკარგა რევოლუციონური, მარქსისტული ელფერი.

შარშან, როდესაც 25 აგვისტოს ქართ. სოც. დემოკრატიის საუკეთესო ნაწილს თავი მოეყარა თფილისში და პარტიის ყოფნა—არ ყოფნის კითხვას სჭრიდა, მე კიდევ ტყეში განვაგრძობდი ყოფნას. ყოველივეს მოწყვეტილი, მხოლოდ გაზეთებში ვკითხულობდით, ჩვენი მოწინავე, რევოლუციასთან შეზრდილს და თავდადებულ მუშებისა და გლეხების დეკლარაცია-კამათს... გული სიხარულით ჰტოკავდა, ღელავდა, მაგრამ მშველელი არსად არ იყო, რომ გამოვეყვანეთ ჩვენ ამ ჭაობიდან. მე სულს და გულს მიხუთავდა ის, რასაც ვაკეთებდი, რადგან ყოველივე ჩემი ნამოქმედარი რევოლუციას ეწინააღმდეგებოდა...

25 აგვისტომ თვალწინ დამიყენა უაზრო ბრძოლის დღეები... მე მინდოდა რევოლუციასთან მივსულიყავ. ასეთი სურვილით იყვნენ გამსჭვალულნი ჩემთან მყოფი ამხანაგებიც...

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაბურულ ტყეში, დაჭუჭკნულ გაზეთებში, ყოფილ მენშევიკთა, გაცხარებულ კონფერენციის დებატებს წავიკითხავდით...

ბევრს ჩვენთაგანს რაღაც იმედი აღეძრებოდა გულში, ბევრი კი უიმედოთ მწუხარეთ ამოიოხრებდა და იტყოდა: „ჩვენ ვინ გვიშველის, ჩვენ ხომ ბანდიტები ვართ"ო?!.. კონფერენციაც დამთავრდა, მაგრამ ჩვენი შველა არსად არ სჩანდა... გული დაგვიღონდა, როდესაც თვალწინ წარმოგვიდგა ჩვენი მომავალი ბრძოლა, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ იყო მიმართული...

მაგრამ 25 აგვისტოს კონფერენციას ამ დიად დღეს ტყუილად არ ჩაუვლია ჩვენთვის, თურმე ვიღაცეები ფიქრობდნენ ჩვენზე... ტყეში ვზივართ, გაცხარებული კამათი გვაქვს, ყველანი ჩვენს უაზრო ბრძოლას ვაკრიტიკებთ, რომ მოულოდნელად ჩვენი ერთ-ერთთაგანი შიკრიკი მოვიდა, გამიხმო ცალკე და მითხრა: ამხ. სიმონ ჯუღელი ჩამოვიდა და უნდა შენი ნახვაო. სიმონმა კარგად იცოდა, რომ მე ჩემდა უნებურად გადავარდი ამ დამყაყებულ ჭაობში და ალბად იმასაც გრძნობდა, რომ მე ამ ჩემ საქციელს ვინანებდი...

ამხ. სიმონმა დაწვრილებით იცოდა ჩემი ცხოვრება, რადგან ნახევრად მე მისი აღზრ

დილ ვარ და ჩვენ ერთად რამოდენიმე წელიწადი ერთ სახლში, ერთ ჭერ-ქვეშ გაგვიტარებია...

სიმონს მგრძნობიარე წერილი დაუტოვებია იემზე გადმოსაცემად, სადაც ის მაგონებდა ჩვენს წარსულს. მაფრთხილებდა უაზრო ბრძოლით თავი არ დაიღუპო, დაუკვირდი შენი უფროსი ამხანაგების, საუკეთესო ძველი რევოლუციონერების, ყოფილ მენშევიკების, მუშების და გლეხების კონფერენციებს, დეკლარაცია-დადგენილებებს, თუ არ წაგიკითხავს, მე გამოგიგზავნი და თუ მოისურვებ, სადაც გინდა პირადად გნახავ, რომ უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკო. ეს ყველაზე უკეთესი იქნება. მენდე ნუ მომერიდები-ო.

ამ წერილს რამოდენიმე გლეხებიც მოყვენ, რომლებიც მემუდარებოდნენ, რომ ჯიუტობისათვის დამენებებია თავი, რადგანაც რამოდენიმე ათასმა მუშამ და გლეხმა წარსული გზა დამღუპველად აღიარა. ისინი მოითხოვდენ, რომ მე სიმონი აუცილებლათ მენახა...

ეს ყოველივე ისეთი შთაგონებით იყო ნათქვამი გლეხებისაგან, რომ მე არ შემეძლო ამ განცხადებისთვის ყურადღება არ მიმექცია, რადგან აშკარად მოსჩანდა, რომ ამ ხალხსაც რევოლუციასთან ყოფნა უნდოდა და ჩემი უაზრო ჯიუტობა კი ეს მათდამი ღალატი იქნებოდა...

და მეც უყოყმანოთ ვუპასუხე ერთ მათგანს: „თუ მომატყუებს სიმონი, ჯანდაბას ჩემი თავი... ე დამხვრიტონ! დაე, გავხდე მსხვერპლი ჩემი უგნურობისა და არალეგალურ ცეკასი, მხოლოდ ეს ხალხი, ეს საბრალო გლეხობა, რომლებსაც სწყურია სიმართლის გაგება, გამოვიდენ სიმართლის გზაზე. მე მზადა ვარ ვეჩვენო სიმონს, სადაც მოისურვებს"-თქო.

იმ ღამეს სულ არ დამძინებია, კარგად ვგრძნობდი მდგომარეობის სერიოზულობას. ფიქრებში გავათენე, დილის ექვს საათზე მატარებელიც შესრიალდა ქ. ზესტაფონის სადგურში... მე კი დაბურულ ტყის კორტოხიდან ქორივით დავყურებ ამას.. გული უფრო აძგერდა, მთლად ფიქრებში გავეხვიე... ათასი კითხვები მიდგება თვალწინ... ხანდახან ისევ უნდობლობის აზრები მიპყრობს...

ხან კი მრცხვენია: როგორ, როგორ უნდა შევხვდე სიმონს?!.. მე ხომ მისი მოსისხლე მტერი ვარ?!..

მაგრამ ერთი რამ მანუგეშებს; მართალია მტრები ვართ, მაგრამ იდეა გვაერთებს, აკი ორივე მარქსისტები ვართ: ჩვენი იდეა, ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ კომუნიზმი იყო?!..

რამოდენიმე ხანი დავყავი ასეთ ფიქრებში. უეცრივ სტვენა მომესმა... ეს ჩემი შიკრიკის პაროლი იყო, რომელსაც ამხ. სიმონი ჩემთან უნდა მოეყვანა... უცბათ წამოვხტი, რევოლვერი ხელში მოვიმართე და ბილიკიდან შესახვედრათ გაჩქარებული დავეშვი... ჩემი ამხანაგები ყელებში არიან ჩასაფრებული და, ვინიცობაა თოფი გავარდა, ყველანი დავიხოცებით...

ერთი პროვოკაცია და ეს კეთილი საქმე სამარცხვინოდ დაიღუპება... მაგრამ სად არის პროვოკატორები?!.. ყველას სწყურია, ყველა ციურ მანანასავით მოელის ჩვენ მოლაპარაკების შედეგებსა...

გულაძგერებული კიდევ უნდობლად მივიმა-



**ქ. ხაშურის მიმდინარე წლის ნ აგვისტოს კრების პრეზიდიუმი.**
(შუაში ზის რუსეთში გადასახლებულთაგან დაბრუნებული ამხ. ბაბლიძე)

ლე ბუჩქებში, ათასჯერ გავსჭვრიტ-გამოვსჭვრიტე ახლო მდებარე მიდამო, როცა დავრწმუნდი, რომ სიმონი მარტოდ იყო ჩემ შიკრიკთან, მეც გაბედულად წამოვდექ...

სამონი ხის ქვეშ ზის, ის ძველებურად უბრალო დარჩენილა...

დანახვისას ორთავე შევკრთით. ის ზეზე წამოდგა და ღიმილით მითხრა: „გამარჯვება ვაჟკაცო, რევოლიუციას რად გაექეციო?" გავწითლდი, შემრცხვა ამ სიტყვების გაგონებაზე...

ამის შემდეგ დავსხედით და დიდხანს ვიბაასეთ, თან ვიკამათეთ... დიდი ხანია, რაც არ გავმაძღარვარ ასეთ საქმიან ლაპარაკით... ბოლოს მან მითხრა: „სანდრო ფარნიევი, რომელმაც დიდ დაკვირვების შემდეგ შესძლო, სიმართლის გაშუქება, შენ აუცილებლად უნდა ნახო"-ო.

მეც ეს მწყუროდა, მეც მინდოდა მენახა სანდრო, და სხვებიც...

სიმონმა განაგრძო; „თუ შენ და შენი ამხანაგები ამას მოისურვებთ და თანხმობას გააცხადებთ, მე დღესვე ქუთაისს მოველაპარაკები და ხვალ თბილისში დავსვამთ თქვენ საკითხსო"... მე დაუძახე ჩასაფრებულ მეგობრებს და სიმონმა ეხლა ყველას ერთად გაგვიმართა ბაასი, გაგვაცნო მოკლეთ ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის შედეგები, დაგვიტოვა ყველა ნომრები იმ გაზეთების, სადაც კონფერენციის სხდომების მსვლელობა ეწერა, დაგვემშვიდობა და წავიდა... წავიდა და ჩვენი გულიც მას გაჰყვა... ოჰ, რა ძნელია ლოდინი და ისიც დევნილი კაცისთვის... წამებს, წუთებს, საათებს და დღეებს ვითვლიდით, მაგრამ არავინ არ სჩანდა... კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვები და რეზოლიუციები თითქმის ზეპირათ დავისწავლეთ...

გავიდა ერთი კვირა. ჩვენ ერთი სოფლიდან მეორეში გადავდიოდით, ყველამ იცის უკვე, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას უერთდებოდით. ხალხიც წინასწარ გვილოცავდა ჩვენ ახალ გზას... ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

მე ჩემი ამხანაგებით ს. ქვედა დიმში ვიყავი, რომ უცბად სადგურ სვირიდან შიკრიკი მოფრინდა, და სასწრაფოთ გვითხრა: „დღეს დილით სადგურზე, ჩამოხტენ სიმონ ჯუღელი და კიდევ ორი მისი ამხ., „შტატსკი კაცები" და ცხენებით სოფ. სვირისკენ წავიდენო"..... მილიციონერები ხომ არ გაყოლიათ, ან ზესტაფონის მილიცია ხომ არ ემზადება სოფელზე წამოსასვლელათ?!.. იყო ჩვენი შეკითხვა, რადგან წინეთაც ვთქვი და ეხლაც ვიმეორებ, რომ დევნილი კაცი უნდობლობის სენითაა ყოველთვის შეპყრობილი..

„არა, მილიციონერებს არც კი გაუგიათ მათი ჩამოსვლა. იქირავეს ცხენები და მხიარულათ წავიდნენ-"ო, იყო ჩვენი შიკრიკის პასუხი.

ეს ამბავი რომ მოგვივიდა, სამხრობა იყო; მართალია მთავრობასთან მივდიოდით, მაგრამ აშკარათ მაინც არ დავდიოდით და ჩვენი ტრადიცია და ჩვეულება, ღამ-ღამობით სიარული დღესაც კანონათ იყო.

დალამებაც აღარ გველირსა, სამი საათი სამ საუკუნეთ გაგრძელდა. ჩვენი გული უკვე სოფ. სვირშია, ამ ჩვენთვის ისტორიულ სოფელში.. მზე კიდევ ცულის ტარზე იყო, რომ ჩვენ ტურებივით გამოვძვერით ტყიდან და გავეშურეთ ს. სვირისაკენ. გზაში ხალხი გვხვდება, გზას გვილოცავს. ექვსი საათის სასიარულო გზა სამ საათში გავირბინეთ... შებინდებისას მივედით ჩვენ საყვარელ სვირში... აქაური შიკრიკები ოფლში არიან გალვითქილი, მოუვლიათ ტყე-ღრე, მინდორ ველი მაგრამ ჩვენი კვალი ვერ უპოვიათ...

გვისაყვედურეს, ალბად სიმონი მოატყუილესო. ამასთანავე გვაყვედრიდენ: „ასე შორს რატომ წადითო“-ო... მაგრამ საყვედური მალე ავიწყდებოდათ და მხიარულათ შემოგვძახებდენ: „ჩამოვიდნენ, ჩამოვიდნენ, აწი გეშველებათ ამხანაგებოო“.

ჩვენ გულში ისევ უნდობლობის აზრმა გაიელვა და გადავწყვიტეთ, რომ ყველა ერთად არ ჩაუვარდეთ ხელში. ამ ღამით მხოლოდ მე გამოვცხადებულიყავი... ასეც მოხდა, ერთ-ერთ შიკრიკთაგანს გავყევი მხოლოდ მე... სტუმრებიც იქვე გამოსულიყვნენ ერთ ვენახის მინდვრათ და მწვანე ველზე გაწოლილიყვნენ... მე უცბად, მხიარულად გადავხტი ლობეზე, ისინიც წამოდგენ ზეზე და შემომეგებენ... ცოტა ხნის ბაასის შემდეგ ქუთაისის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ლორთქიფანიძემ გამომიცხადა: „რომ პარტიამ და მთავრობამ სიამოვნებით მოისმინა თქვენი საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის სურვილი და, რაც დანაშაული ჩაგიდენიათ, ამნისტიით გაპატიათ, თუ რასაკვირველია, ეს თქვენი განცხადება გულწრფელია და, თუ ამის შემდეგ თქვენ მხრიდან რაიმე მერყეობას ან გაუგებრობას ექნა ადგილი, მაშინ არსებული ხელისუფლება ულმობელი იქნება თქვენდამი“-ო. მეც სიამოვნებით მოვისმინე ეს განცხადება და გადაჭრით ვუპასუხე: „თუ ამის შემდეგ რაიმე გაუგებრობას ექნება ადგილი, ჩვენ მზად ვართ უყოყმანოდ წარვსდგეთ უმაღლეს სასჯელის მისაღებათ“-თქო.

ამ სიტყვების შემდეგ წამოველით სიმონ ჯულელის მამის ოჯახში, სადაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ყველას ღიმილის სხივი უკრთოდა სახეზე... მოდიან, მეხვევიან, მკოცნიან. ბევრს აღტაცება-სიხარულში ცრემლებიც მოსდით...

მე კი სიხარულით აღარ ვიცი რა ვქნა....... მხოლოდ გულში ვჩურჩულობ: „გაუმარჯოს ოცდა ხუთ აგვისტოს, რომელმაც ეს გამაბედია და ჩემი შეცდომა გამასწორებია“...

ჩემ ამხანაგებს იმ ღამით არ დასძინებიათ, ყველა მე მითვალთვალებდა. რომ არაფერი მომსვლოდა... მეორე დღეს გათენებისას ყველანი გამოცხადდა, მათ დანახვას არაფერი არ სჯობდა და, ეს საბრალო ვაჟკაცები უაზრო ბრძოლის მსხვერპლი უნდა გამხდარიყვნენ?....

იმათაც ის გამოუცხადეს, რაც მე წინა ღამით, მათი პასუხიც იგეთივე იყო, როგორიც ჩემი...

ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება და ჩვენი მუშაობა იმ მხრივ, რომ იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ ვატყუებდით თითქმის ორი წლის განმავლობაში, დღეს გამორკვეულიყო გაეფანტა შეთვისებული პროვოკაცია და უიმედო ჭორები. მე კი წაველი ქ. თბილისში და იქ მინდოდა მენახა უფროსი ამხანაგები, რომ მათთან ერთად უფრო ახლო გავსცნობოდი საქმის ვითარებას... ვნახე ამხ. სანდრო ფარნიევი... სამი წელიწადი იყო რაც ის არ მენახა და ამ დროს განმავლობაში რამდენი რა არ გადავიტანეთ, მაგრამ ის ისევ უბრალო, ოხუნჯი, კვლავ თავის ლურჯ „კოსტიუმში“ გამოწყობილი დარჩენილა... მოწინააღმდეგენი ათასნაირად მისახავდენ მე იმას, ვითომდა ის გამოცვლილიყო, ვითომდა ფულებით ყელამდე აევსოთ და „გალსტუკით“ დაიარებოდა.. მაგრამ სირცხვილი იმათ ვინც სპეტაკ ადამიანზე ამას იტყვის...



ამხ. ვ. დავითიანი.
პარტიის ძველი წევრი, კახეთის მომუშავე.

ნაღვლიანად შევეკითხე: ეს კარგი, ჩვენ მოვედით რევოლუციასთან, მაგრამ ეს ხორცმეტი ნაწილი საზოგადოების და ტყუილად მოლაყბე და მოხეტიალე „ბელოჩუჩკები“, რომ ჩვენ მოსყიდულ აგენტებად და მოღალატეებათ გვნათლავენ ამაზე რა ზომები უნდა მივიღოთ-მეთქი. „ეჰ, ბიჭო! ამან შეგაშინა;“ მკვახეთ და გაბედულათ მიპასუხა მან. „მართალია ჩვენ უღალატეთ ბურჟუაზიას, თავად-აზნაურების, მღვდელ-კულაკების ბანდებს, მაგრამ ჩვენ მუშათა კლასისთვის ხომ არ გვიღალატია“. ეს სიტყვები დღესაც ღრმად არის ჩანერგილი ჩემ გულში..

ამით დაიწყო ჩემი დაახლოვება საინიციატივო ბიუროსთან. იქ ვპოულობდი მე სულიერ მოსვენებას. მან უფრო შემაყვარა მე ოცდახუთი აგვისტო...

გაუმარჯოს 25 აგვისტოს, რომელმაც მრავალ მუშის, გლეხის და პატიოსან ინტელეგენტის გული კვლავ ააძგერა. რევოლუციონურ გრძნობებით!.. გაუმარჯოს საინიციატივო ბიუროს, რომელმაც მასზე დაკისრებული საქმე ღირსეულად შეასრულა!

ილიკო ჯულელი.

# მოგონება.

არ შემიძლია არ მოვიგონო წარსული. მით უმეტეს იმ დროს, როდესაც ერთი წლის თავზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ბრძოლის ცეცხლში შობილმა სიმართლის ხმამ! თვითეულ გამარჯვებას აქვს თავისი დასაწყისი, მიზეზები. და ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ის პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პოლიტიკურ ბრძოლაში.

1914 წელი იყო, როდესაც იმპერიალისტურმა ომმა იჩინა თავი. შევიკრიბენით ფარულათ ნაძალადევის ერთ ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, სადაც სხვათა შორის თავმჯდომარეობდა ა. სალუქვაძე. კითხვა იდგა ჩვენი დამოკიდებულების შესახებ იმპერიალისტურ ომისადმი. უმრავლესობით გადაწყდა, რომ სასტიკი პროპაგანდა აგიტაცია გაგვეწია ომის წინააღმდეგ ფართო მასაში.

თუმცა ზოგიერთები ჰმას წინ აღუდგენ, მაგრამ მუშათა წრეებში მათ ხმას გამოძახილი და თანაგრძნობა არ უპოვნია.

დიდხან ვერ გასტანა ბურჟუაზიის ზეიმმა, 1917 წ. დაჰკრა რევოლიუციის საათმა და რუსეთის თვითმპყრობელობა თავდაყირა გადმოვარდა.

ყველა ხალხის მეგობარი მოხარული იყო და აღტაცებით შეეგება ამ დიად ისტორიულ დღეებს.

მაგრამ აქედან დაიწყო სწორეთ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში რღვევის პროცესი და ის ელვის სისწრაფით წავიდა წინ. ჯერ კიდევ 1918 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა არ იყო გამოცხადებული, მენშევიკური პარტია, რომელიც მეტ ძალას გრძნობდა ზურგს უკან, სიტყვის უფლებას აღარ აძლევდა ბოლშევიკების ორატორებს.

კარგათ მახსოვს ის სიტყვები, რომელიც მოთმინებიდან გამოყვანილ ფილიპე მახარაძემ მრისხანეთ გადასძახა მენშევიკებს:

Господа представители буржуазии, вы не даете высказаться представителям пролетарской партии, но мы к этой пролетарской трибуне придем с огнем и мечем, пролетариат возьмет свою трибуну".

რაც დრო მიდიოდა ჩვენ უფრო და უფრო ვშორდებოდით ერთმანეთს.

ჯერ პოლემიკური შეხლა შემოხლა, მერე დიპლომატიური დავა საბჭოთა რუსეთთან და უკანასკნელათ იარაღის ჟღარუნი ორ ძმათა შორის, სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა ოდესღაც ერთ სანგარქვეშ მყოფ, ერთი გზით მიმავალ და ერთ იდეალის მიმდევარ მოძმეთა შორის.

დიდი ზებუნებრივი ენერგია, არაჩვეულებრივი მუშაობა და დაუღალავი ზრუნვა იყო საჭირო ამ ორი მოძმის კვლავ დასაახლოებლათ. სოციალ-დემოკრატიის მშრომელი ელემენტის შოვინიზმის კლანჭებიდან, ოპორტიუნისტულ მიმდინარეობიდან გადმოსაბირებლათ.

პირველი და აუცილებელი ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა იყო. მას უნდა ეჩვენებინა, თვალსაჩინო გაეხადა ამ გაბუტულ, გვერდზე გამდგარ მუშებისა და გლეხებისათვის, რომ ის ჭეშმარიტათ მათი მთავრობაა,

რომ ის ჰქმნის მშრომელ ხალხისათვის საუკეთესო პირობებს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ წარმატებისათვის.

უნდა გულახდილად და მიუდგომლათ ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს იმედი სავსებით გაამართლა. ამ ფაქტს დღეს ვერავინ, თვით პროლეტარიატის შეურიგებელი მტერი და ორგულიც ვერ უარყოფს. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო სოციალ-დემოკრატიის რიგებში ყოყმანობის და ორჭოფობის სული შეეტანა.

საჭირო იყო ამასთან ერთი ხელის წაკვრა, მაგარი პროპაგანდა—აგიტაცია და ეს ელემენტი უკან გამოგყვებოდა.

მახსოვს ამ მხრივ გადადგმული ჩვენი პირველი ნაბიჯი. როგორი შიშით, როგორი მოკრძალებით იყრიდენ ამხანაგები თავს პირველ ვიწრო წრეში მოწვეულ კრებებზე, სადაც ძველი გზის გადაფასების კითხვები იდგა.

თითქო ეშინოდა, თითქო სცხვენოდა მათ მა-მაღლა ეთქვა, აშკარათ განეცხადებია, რასაც გრძნობდა და ფიქრობდა.

მაგრამ მალე გაირღვა ეს შიშის, ეს უადგილო მორიდების კედელი. რაკი ერთხელ იშვა თავი ამ მოძრაობამ, მას შემდეგ სტიქიური ხასიათი მიიღო. ველარაფერი აღუდგებოდა მას წინ.



ამხ ა. ლუკაშევიჩი

დეპოს მუშა, პარტიის ძველი წევრი. რევოლუციის პირველ დღეებიდანვე მუშაობს რკინის გზის პროფკავშირებში.

კონფერენცია ნაძალადევის რაიონში, კონფერენცია მეორე, მესამე და მეოთხე რაიონში, შემდეგ თბილისის კონფერენცია; კონფერენცია მაზრებში და სხვა ქალაქებში. ბოლოს ს.-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა...

საკითხის მთელი სერიოზულობით აწონ-დაწონვა, კითხვის დაფიქრებით მიდგომა და... ერთად-ერთი საშვალება სწორ რევოლიუციურ გზაზე გამოსასვლელად ყრილობის დადგენილება არალეგალურ ორგანიზაციების ლიკვიდაციის, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის შეწყვეტის შესახებ და კომინტერნის დროშის ცნობა, მისი პლატფორმის გაზიარება.

მას შემდეგ მენშევიკურ პარტიიდან გასვლა ალარავის ეთაკილება, მას შემდეგ ეს ყველა პატიოსან მუშას სასახელოდ მიაჩნია. სწორედ რაინდობა, იშვიათი გამბედაობა არის საჭირო, რომ უარჰყო ძველი გზა, რომლითაც ერთი და ორი წელი გივლია და გასწყვიტო მასთან ყოველივე კავშირი.

ამის ფართე შესაძლებლობა ყრილობის შემდეგ უფრო გაიხსნა, ყრილობამ უფრო გაადვილა ს.-დემოკრატიის მშრომელ ელემენტის გამოფხიზლება.

გაუმარჯოს 25 აგვისტოს ყრილობას.

ალ. ლუკაშევიჩი.

---

# ჩვენი გზა ურყევია.

1923 წ. 25 აგვისტო ისტორიაში ჯერ არნახული და გაგონილი მოვლენაა. ბერი იჭვის თვალით შეჰყურებდა, შარშანდელ მენშევიკების ყრილობას და გაიძახოდენ: მხოლოდ რამოდენიმე პირთა მოღალატეობაა და სხვა არაფერიო მაგრამ მოსტყუვდნენ უბადრუკები. ცხოვრება, მისი სინამდვილე, სხვას ამბობს. ურწმუნო თომები განგებ იბრმავებენ თვალებს...

შეიძლება შემცდარიყვნენ რამდენიმე ამხანაგები, მაგრამ დაუჯერებელია ათასების შეცდომა, თუ კი ამდენი ათასი მუშა-გლეხი შეცდა, დეე ვიყოთ შემცდარები, არავის პატიებას არ ვთხოვთ, არც დახმარებას.

მუშებს თავის საქმეები თვით უკეთებია, შემცდარა თუ არა, შედეგებზე პასუხი არავისთვის მოუთხოვია. საკუთარ შეცდომის გამოსწორება მასვე უკისრია.

მე არ შემეძლო დავრჩენილიყავ იმ პარტიაში, რომელმაც საკუთარი სახე დაჰკარგა და ჩოლოყაშვილ-ვეშაპელს გვერდით ამოუდგა და მათთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ომს უცხადებს მშრომელ ხალხს.

კითხვა ისმება: რა აქვს მუშებს და გლეხებს საერთო ჩოლოყაშვილის ბანდასთან?

უკვე დრო არის, ხელი აიღონ ასეთ ავანტიურაზე, თორემ ვინც გააჩნიათ (თითზე ჩამოსათვლელები) ისინიც ჩამოშორდებიან და უჯარო გენერლები ბრძოლის ველზე, რასაც წარმოადგენენ ბავშმაც კი უწყის...

რისთვის ემდურიან საბჭოთა ხელის უფლებას?



ამხ. ე. გაგუა.

ს.-დ. პარტიაში ირიცხებოდა 1903 წ. მუშაობდა ბათუმში (როტშილდის ქარ.), თბილისში (ტრამვაი). გადასახლებული იყო ახხაბადში და შემდეგ ერევანში. მონაწილეობა მიუღია მრავალ ტერორისტულ აქტებში და გაფიცვებში. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა რკინისგზის კავშირებში.

---

მე არ მინდა დეტალებზე მოვაცდინო თქვენი ყურადღება. შევჩერდები მხოლოდ ერთ შთაბეჭდილებაზე: მენშევიზმის ბატონობის დროს სიზმრათაც არავის მოჩვენებია ის მშვენიერებანი, როგორიც არის მუშათა დასასვენებელი სახლი. ვისაც იოტის ოდენა სინდისი კიდევ შერჩენიათ, ისინი ვერ დამალავენ იმ ფაქტს, თუ როგორ უვლიან, რანაირი ჰაზა-სმა აქვთ დაქანცულ მუშა-მოსამსახურეებს, და აი ამის შემდეგ მომეცით ნება მოგახსენოთ: საბ. ხელისუფლება ნამდვილი მშრომელი ხალხის მთავრობაა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კავშირის ინიციატორობით. მცხეთაში ექსკურსიაზე წავედით ყველა თბილისის ხის შემკეთებელთა კავშირის წევრები; დავათვალიერეთ მცხეთის მუშათა დასასვენებელი სახლი, სრულიად ახლად გადაკეთებული მშვენიერი ბაღით. მივეშურებით ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურისაკენ. რა თვალწარმტაცი სანახაობაა. მშრომელის მკლავს ვეებერთელა პიტალო კლდისთვის ომი გამოუცხადებია, დღე და ღამე განუწყვეტლივ მოძრაობს: ჩაქუჩი, ნაჯახი, ბარი, წერაქვი... მუშაობს პროლეტარული ხელისუფლება. ის ვერ შეაშინა კერზონ-პუანკარე-ერიო-მაკდონალდის და სხვა ბურჟუაზიულ ხროვის მუქარამ

ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მალე დადგება ის სანეტარო დრო, როცა პროლეტარიატის უდიდესი შტაბის, კომინტერნის წითელი დროშა მთელ მსოფლიოში აფრიალდება.

ისტორიაში წაუშლელ ადგილს დაიკავებს 25 აგვისტო; ჩვენი რიგები ძლიერდება, დეე მტერმა რაც უნდა ისა სთქვას. ჩვენი გზა მაინც ურყევია.

გაუმარჯოს 25 აგვისტოს.

მუშა—ეხტატე გაგუა.

# ერთი წელი.

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ს. ს.-დ. მ. პარტიის მშრომელმა ნაწილმა ზურგი აქცია მენშევიკების ბანდიტურ პოლიტიკას და სრული შეგნებით და გულწრფელათ დაადგა მე III კომინტერნის გზას. ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც, 25 აგვისტოს, სახელმწიფო თეატრში, 12 ათასმა ს.-დ. მ. პ. წევრებმა გაუქმებულათ გამოაცხადა ეს პარტია და მის ხელმძღვანელებს კი მანდატები ჩამოართვა.

25 აგვისტო, ეს ისტორიული დღე ოქროს ასოებით ჩაიწერა მშრომელთა ისტორიაში. ამ დღეს ნათლათ გამოაშკარავდა მენშევიკები მოღალატობა არა მხოლოდ საქართველოში მთელ მსოფლიოს ეცნო, რომ სამზღვარგარედ გადახვეწილი ლიდერები მუშათა ხალხის მოღალატეებია და ბურჟუა-კაპიტალისტების დამცველებია. აბა ვის შეუძლია არ დაუჯეროს 12 ათას მუშის, პარტიის აქტივის სიტყვას და ხმას.

25 აგვისტოს ს.-დემოკრატიის მშრომელ ელემენტმა დაჰგმო გზა ბურჟუა-კაპიტალისტების ლაქიებისა და დაადგა პროლეტარიატის დიქტატურის გზას, მე-III კომინტერნის ხელმძღვანელობით.



**ამხ. კ. თოფაძე**

პარტიის ძველი წევრი. ტყიბულის და ჭიათურის მაღაროების მუშა. ამ ჟამად თბილისის პროფკავშირებში მომუშავე.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი რიგები საგრძნობლათ გაიზარდა.

25 აგვისტოს თუ 12 ათასი ვიყავით, დღეს ჩვენმა რიგებმა ოცი ათასსაც წინ გაუსწრო ასე რომ, ყველა პატიოსანი რევოლიუციონერი ჩამოშორდა ქართულ მენშევიკურ პარტიას.

ერთი წლის თავზე, როცა ჩვენ უკეთებთ ჯამს ჩვენ ძალებს, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მენშევიზმი საქართველოში, როგორც მასიური მშრომელთა პარტია, მოისპო, აღარ არსებობს. მისი ყველა სასიცოცხლო ძალები შეუერთდა კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ამოუდგა გვერდით.

დიახ, ამიერიდან აღარ არსებობს მენშევიზმი, როგორც მუშათა მოძრაობა, არსებობს მხოლოთ ბანდიტური და კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელსაც ჰყოფნის გამბედაობა თავის თავს მუშათა პარტია უწოდოს და მუშათა ხელისუფლებას ებრძოლოს. საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს ამ ბანდიტურ ნამსხვრევებისაც ძირბუდიანათ აღმოფხვრას.

ქართველი მშრომელი ხალხი კი საერთო ფრონტის, სოლიდარობის გზით წავა წინ აღთქმის ქვეყნისაკენ ოპორტუნიზმის სენისგან სამუდამოთ განკურნებული და რევოლიუციონურ მარქსიზმის ცეცხლით აღტყინებული.

**კ. თოფაძე.**

# „25“

პარალელი:
ბრძოლის ველი
ლენინგრადი.
ბარიკადი.
სისხლის ფერი
ოცდა ხუთი ოქტომბერი.

პარალელი:
ტაბახმელა და კრწანისის დიდი ველი.
ომის ალი
ოცდა ხუთი თებერვალი.

საქართველო (ამირანი
ციდან ცეცხლის ჩამომტანი)...
არ დაინდო ძევსმა არა,
დაეწაფა წითელ ტალღებს და მის ნექტარს
ეზიარა.

**გაროლდი.**

# გრძნობა--გონებას უნდა დაემორჩილოს.

ერთი წელწადი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს გასაბჭოების დღიდან ღირებულებათა გადაფასების ისტორიას მიეცა ოფიციალური და ორგანიზაციული ხასიათი. ერთი წლის განმავლობაში იარამ პირი იჩინა და ქვეყანას დაანახვა როგორი ტკივილები სუფევდა ძველ მენშევიკურ რიგებში. ბევრისთვის დაუჯერებელი იყო იარების და ტკივილების არსებობა, მათი ახსნით ყველაფრის მიზეზი იყო „ჩეკა და მეტეხი“, მაგრამ რას იზამ? კაცს თუ არ უნდა, რიყეზედ ქვას ვერ დაინახავს.



**ამხ. შ. ჯაფარიძე.**

პარტიის ძველი წევრი. 1906 წელ. მეფის მთავრობის მიერ გადასახლებული პარტიაში მუშაობისათვის.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან ჩვენს ეკონომიურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ცხოვრებაში იმდენი ღრმა ცვლილებანი მოხდა, რომ თუ საშინელი დოგმით შეპყრობილი არა ხარ კაცი, და საღი გონება გაქვს, ყოვლად შეუძლებელია მას გვერდი აუხვიო. საჭიროა მეტი ობიექტივობა, მეტი მიუდგომლობა, რევოლიუციონური საზომის მოუმარჯვება, რომ მიხვდე ღირებულებათა ახალ გადაფასების საჭიროებას.

ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი პრეცენდენტია ყოფილ მენშევიკების კონფერენციები. მათი არსებობა აშკარათ ლაღადებდა ახალი ცხოვრების მიღების საჭიროებას. კონფერენციების ერთი წლის ისტორია, რომლის განმავლობაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გადახრა ხდებოდა მენშევიკურ ორგანიზაციის აქტიურ და პასიურ წევრთა შორის; ზედმეტი დადასტურებაა ძველი რევოლუციონურ გზის უკუგდების.

ორგანიზაცია, რომელიც ყურადღებას არ აქცევს მისი რიგებიდან ათი ათასობით გასულ წევრთ, უდიდეს დანაშაულობას იღებს ისტორიისა და ის კლასის ან ერის წინაშე, რომლის გეგემონიასაც ეპოტინება. ორგანიზაცია, რომელიც მისი რიგებიდან გასულ წევრთა ფაქტს არც დადებითი ღირებულებით აფასებს, ასეთ ორგანიზაციას დაკარგული აქვს ალღო, ცხოვრების სწორი გაგების უნარი,

მე მწამს, რომ რაც მეტია წარსული სიამყე ცარიზმთან ბრძოლის დროისა, რაც მეტია ფიზიკური და ფსიქოლოგიური კავშირი ჩვენი ორგანიზაციების ძველ რიგებთან, იმდენად მტანჯავი და ძნელია მისი უარყოფა და ახალის მიღება და შეთვისება. დიახ, მე მწამს რომ ძნელია, მაგრამ, ნუ დაავიწყდებათ ამხანაგებს, რომ ეს არის გრძნობის ნაყოფი და არა რევოლიუცინური-მარქსიზმის მიერ ნაკარნახევი გზა და საშვალება. ჩვენ-კი უმთავრესად ყოვლისა რევოლიუციის ჯარის კაცები ვართ, და თუ აქამდი მენშევიკურ რიგებში ვიბრძოდით, ვიბრძოდით როგორც რევოლიუციის ჯარის კაცები და არა მისი მტრები.

მე მინდა რევოლიუციის ძველ ჯარის-კაცებს მოუწოდო ერთი მისივე ძველი გენერლის ლ. მარტვის სიტყვებით:-სისხლი, რომელსაც უხვად დაღვრის რუსეთის პროლეტარიატი, უკვე მოახლოვებულ რევოლიუციის დროს, იქნება დაღვრილი რუსეთის თავისუფლებისთვის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატის საქმისთვის.

დაე დაინგრეს სიტყვისა და საქმეს შორის ამართული კედელი. დაე, დაინგრეს უნიადაგო და ცრუ თავმოყვარეობით გამოწვეული პასიურობა.

დაე, რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის მიერ ევროპის რეაქციონურ ბურჟუაზიის თავზედ ამართული მაგარი მუშტი დაეცეს მტრის თავზედ და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის პირიდან ტანჯვის და წამების სამეფო.

მარტოვის სიტყვების შემდეგ ასეთია ჩვენი მოწოდება და ვისაც თავი მოაქვს რევოლიუციონურ მარქსისტად, რევოლიუციის ჯარის კაცად, ის უნდა მიხვდეს რომ ხსნა მხოლოდ არსებულ რევოლიუციის რიგებშია.

**ზ. ჯაფარიძე.**

# მ ო გ ო ნ ე ბ ა.

(სამტრედიიდგან)

25 მაისს, 1922 წ., უნდა მოწყობილი ყოფილიყო ფართე გაფიცვები რკინის გზებზე და დაწესებულებებში. მზადება დიდი იყო ყველგან. მოწყობილი იყო თავდაცვის კომიტეტები, რომლებშიც შედიოდა ს.-დ., ნ.-დ., ესერები, ფედერალისტები და სხვა. მე არ ვიცი დანამდვილებით როგორ ჩატარდა ეს „გაფიცვა" სხვაგან, მაგრამ ვიცი, რომ სამტრედიის რაიონში თუ ვინმემ რაიმე შესძლო, ეს იყო ჩვენდა სამწუხაროთ მუშები, რომლებიც მაშინ კიდევ მიჰყვებოდენ პარიტეტულ კომიტეტის ფეხის ხმას.

24 მაისს ყველაფერი მზათ იყო. დაუკრა საყვირმა. მუშები გამოგვყვა ამ დღის აღსანიშნავათ. რასაკვირველია ამ მოქმედებისათვის თავზე ხელს არავინ მოგვისვამდა. დემონსტრაცია ასე თუ ისე ჩავატარეთ, მაგრამ შინაგან კმაყოფილებას ვერავინ ვერ გრძნობდა. ვხვთებოდით ამხანაგები ამის შემდეგ და უზიარებდით აზრს ერთი-მეორეს. მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო: ვერ ვიზიარებდით კომუნისტური პარტიის პლატფორმას, მაგრამ არ მოგვწონდა არც მენშევიკური პარტიის ხაზი.

კარგა ხან გასტანა ასეთ ორჭოფულ, ყოყმანის სულის-კვეთებამ. ჩვენ თანდათან იმ დასკვნამდი მივდიოდით, რომ მენშევიკური ხაზი მრუდე და გზა-შემცდარი იყო. საქმე იქამდი მივიდა, რომ მივმართეთ ამხანაგ კომუნისტებს და ჩვენი გულის ნადები გაუზიარეთ. დაახლოვებით ეს 1922 წ. ნოემბერი იყო. ჩვენ ჯგუფს ეკუთვნოდა: კიმოთე შენგელია, ილია ნიკურაძე, მიხა შენგელია და მე.

მე ხელთ მაქვს საბუთი (ოქმი № 1) პირველი სხდომის, 13 იანვრის 1923 წ.. აქ ნათლად სჩანს, რომ ჩვენ აღარ ვიზიარებთ ს.-დემ. ხაზს, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზაზე არაფერია ნათქვამი. მეორე სხდომა მოხდა 15 იანვარს, 1923 წ., სადაც გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ თვითეულ ჩვენთაგანს შეეძინა თითო ამხანაგი. მესამე სხდომა (ოქმი № 3) მოხდა 30 იანვარს 1923. წ., სადაც გამოტანილი იქნა სხვა და სხვა საკითხებზე შემდექი დადგენილება: 1. ვითვალისწინებთ, რა შექმნილ მდგომარეობას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, აგრეთვე ბურჟუაზიულ ქვეყნებ-



ამხ-ბი: **ვ. ჯიბლაძე, ს. ხვიჩია და გ. ტორონჯაძე.**
სამტრედიის ძველი მუშები და პარტიის წევრები.

ში და მთელ მსოფლიოში, რომლებშიაც მუშათა კლასს ფაქტიურათ ყავს ორი ხელმძღვანელი მე II და III ინტერნაციონალების სახით, მხოლოდ მე 2 $_1/_2$ ინტერნაციონალზე შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთს ეკუთვნის და არც მეორეს, არამედ არის შედექი მე II ინტერნაციონალის უტაქტიკო ბრძოლის, რომლის არსებობით იწყება რღვევა მე II ინტერნაციონალის, ჩვენ შეგნებულათ ვიზიარებთ მე III ინტერნაციონალის პლატფორმას, მე II ინტერნაციონალს დღეიდანვე ვშორდებით და ვალდებულათ ვთვლით ჩვენს თავს მის წინააღმდეგ ვაწარმოოთ პროპაგანდა აგიტაცია".

ამის შემდეგ ჩვენ შეუდექით ჩვენივე დადგენილების განხორციელებას და ძალიან მოკლე ხანში ამ ჯგუფის წევრებათ გახდა ბევრი ამხანაგები: გ. ტორონჯაძე, კ. ჩაჩუა, შ. ბასკანჩალაძე, ა. კორძაია, ი. სტურუა, მ. ნუცუბიძე, ვ. ტორონჯაძე, შ. დოლიძე, ს. თევზაძე, გვირიბიანი, ლ. ჯანელიძე, და სხვა, სულ 46 კაცი. ამის შემდეგ, ეს აპრილის პირველ რიცხვეში იყო, ჩვენ შეუდექით პარტკომთან მოლაპარაკებას კრების მოწვევის შესახებ. პარტიულ კომიტეტის წევრებმა პირველად ჩვენი მიმართვა იუცხოვეს, მაგრამ როდესაც ჩვენ მათ დაუმტკიცეთ, რომ ჩვენ ამ ნიადაგზე ვარსებობთ და ვმუშაობთ უკვე 3 თვეა, დაგვრთეს ნება კრების მოწვევის და ჩვენი სახელით (ერთი ჯგუფის ს. ს.-დ. მ. პ.) 19 აპრილს, 1923 წ. მოწვეული იქნა საერთო კრება ს.-დ. პარტიის წევრებისა რკ. გზ. კლუბში, სადაც გაკეთდა მოხსენება ჩვენი ჯგუფის სახელით.—ილაპარაკა ამხანაგების დიდმა უმრავლესობამ და ყველა გამოსთქვამდა მე III ინტერნაციონალის პლატფორმის გაზიარების აზრს.

კრების მიერ გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია დამსწრეთა ხელ მოწერით. ამით საქმე არ გათავებულა. ამის შემდეგ. 5 მაის 1923, წ. ჩვენ მოვახდინეთ მოწინავე ამხანაგების კრება, რომელსაც დაესწრო 52 ამხ.. აქ გამოთქმული იქნა აზრი, რომ სამტრედიის რაიონში დაარსებულიყო საინციატივო ბიურო და ეს კომპანია ჩაეტარებინა მთელს რაიონში. აქედან უკვე იწყება მუშაობის ფართე ასპარეზი. მოკლე დროის შემდეგ ჩვენ შეუდექით ქუთაისის მაზრის მასშტაბით მუშაობას. ქუთაისშიც არჩეულ იქნა საინიციატივო ბიურო, რომელმაც ჩაატარა კომპანია მთელს მაზრაში. სამაზრო ყრილობა მოხთა ქუთაისში 8 ივლისში 1923 წ., რომელსაც დაესწრო 550 დელეგატი. კონფერენციამ გამოიტანა შესაფერი დადგენილება. და აირჩია კიდეც სრულიად საქართველოს საინიციატივო ბიურო, რომელიც შეუდგა კონფერენციის დადგენილების შესრულებას. მან ჩაატარა რამოდენიმე მაზრაში კონფერენცია, რის შემდეგ შეუერთდა თფილისის კონფერენციაზე არჩეულ საინციატივო ბიუროს და ორივემ ერთათ მთელ საქართველოში ჩაატარეს ეს კომპანია, რომელსაც მოყვა შედეგათ მუშათა კლასის გაერთიანება ერთ ფრონტზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ეხლა ჩვენ მტკიცეთვდგავართ ჩვენს მიერ აღებულ ხაზზედ. ვაუმარჯოს 25 აგვისტოს.

**მუშა ვ. ჯიბლაძე.**

* * *

ალმართულია ბარიკადები,
ვისაც სურს მოსვლა ნუ იგვიანებს.
მოვიდენ მალე და ნაკადები
ჰმატონ ბრძოლის ზღვებს და ოკეანეს.

ხედავთ მათ დროშას ეს აწერია:
ყველა მშრომელო ერთად შეერთდით,
ეინც აქ არ არის ჩვენი მტერია,
შევებრძოლებით მტერს რკინის მკერდით.

ბრძოლის ალმურით გული ღვივდება,
სადარაჯოზე სდგას ლეგიონი.
მებრძოლთ არმია უფრო მტკიცდება
და ძლიერდება ვით სტიქიონი.

**ხინველი.**

# წლიდან-წლამდე



ქ. თბილისის და მაზრის დელეგაცია საქართველოს ყრილობაზე.

I

25 აგვისტო მუშების და გლეხების შექმნილი დღეა, მათ მიერ შექმნილი მოძრაობაა. მთელ ამ მოძრაობის დასაწყისიდგან ვიდრე 25 აგვისტომდე ჩვენ არ გვხვდება არც ერთი ისეთი სახელი, რომელსაც ადრე სოც.-დემოკრატიულ პარტიაში ხელმძღვანელ ინტილიგენტის როლი ეთამაშოს.

მუშებში, ქვედაფენებში ჩაისახა და განვითარდა პარტიის ხაზის, ტაქტიკისა და თეორიის გადაფასების, აწონ-დაწონვის სულისკვეთება. თავიდან ბოლომდი, დასაწყისიდან დასასრულამდე და დღესაც კიდევ, როცა სოც.-დემოკრ. პარტია დასტოვა ცნობილ მენშევიკს. დევდარიანმა და საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებისაკენ მოუწოდებს მშრომელ ხალხს, დღესაც ამ მოძრაობას, რომელიც სავსებით არ დასრულებულა, მუშები უდგას სათავეში, ისინი ხელმძღვანელობენ მას.

ეს მეტად დამახასიათებელი, განსაკუთრებით ხაზგასასმელი გარემოებაა.

ის მდგომარეობა, რომელშიაც მოემწყვდა დღეს ქართველი სოც.-დემოკრატია, ყველაზე უფრო მუშებსა და გლეხებს უსპობდა პარტიაში დარჩენის საშვალებას. საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც რაც არ უნდა ყოფილიყო ბოლოს და ბოლოს მშრომელთა ეკონომიურ და უფლებრივ უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტიებს იძლევა თანამედროვე პირობებში, მუშათა და გლეხთა ბატონობის და სხვა სოციალურ ელემენტის გამარჯვებისათვის ბრძოლის დროს, რა თქმა უნდა, სოც.-დემოკრატიული პარტიის რიგებში პირველყოვლისა მუშათა ელემენტებიდან უნდა დაწყებულიყო უკან დახევის, კვლავ რევოლიუციის კერასთან დაბრუნების მოძრაობა.

სოციალურ ბუნებას, კლასიურ ინსტიქტს და მდგომარეობას, ადრე თუ გვიან, ამ დასკვნამდი უნდა მიეყვანა ს.-დემოკრატიის მშრომელი ნაწილი.

1917 წელს და განსაკუთრებით, გასაბჭოების შემდეგ წარმოებულ ბრძოლის გზამ თვალი აუხილა ყველა მათ, ვისაც კიდევ სავსებით არ გაეწყვიტათ კავშირი რევოლიუციასთან, ვისაც კიდევ თავი ნაციონალისტურ პარტიების, შოვინისტურ მიდრეკილების ზვარაკად არ გაეწირა. სოც. დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი საქმეთა ვითარება, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აყენებდა ყველა მის მიმდევართ და პირველ რიგში—კი ამ პარტიის რიგებში მყოფ მუშასა და გლეხს.

პარტიის ამ ელემენტისათვის უკვე აშკარა, უდავო შეიქნა, რომ მას სოც.-დემოკრატიულ პარტიაში აღარაფერი დარჩენოდა, რომ პარტია დალარიბდა და გალატაკდა რევოლიუციონურად, რომ ის გაჩაჩანაკდა იდეურათ. აღარ იძლეოდა ან ვერ იძლეოდა ის იმ სულიერ საზრდოს, იმ მღგზნებარე ცეცხლის იმპულსებს, რომელიც ასე საჭიროა რევოლიუციონურ ბრძოლის წარმოებისათვის.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ პარტია გადაჯიშდა და გამოიფიტა. საერთაშორისო რევოლიუციონურ ფრონტზე ზურგ-შექცეული, საქართველოს ვიწრო ფარგლებში შემორკალული ქართული სოც.-დემოკრატია, რომელმაც თავის საფარს ქვეშ გაართიანა მთელი ანტი-კომუნისტური ფრონტი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას, გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა ამ ბრძოლიდან. მან დაივიწყა, მხედველობიდან გაუშვა, რომ ბრძოლა მუშათა ხელისუფლებასთან, მუშათა ხორცით და სისხლით, მას სასიკეთო საქმეს არ დამართებდა.

ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქართულ სოც.-დემოკრიტიის რიგებში, ამ პარტიის წიაღში აღიზარდა და განვითარდა ქართველი მშრომელი ხალხი. გასაბჭოების დღეებამდისაც კი საქ სოც.-დემოკრატია უძლიერეს პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში.

მთელ წლობით რევოლიუციონურ ბრძოლის

ტრადიციებს შეჩვეული, ეროვნულ სოლიდარობის წითელ დროშას შეზრდილი და შესისხლხორცებული სოციალ-დემოკრატიული მასა მეტად უიმედო, მეტად საფრთხილო იყო ამავე დროშის წინაალმდეგ გასალაშქრებლათ. უნდა სცოდნოდა ეს ქართულ მენშევიკურ პარტიას, თუ აწმყოსთვის არა, პარტიის წარსულისათვის მაინც უნდა გაეწია მას ანგარიში, სანამ ასეთ საბედისწერო გზას დაადგებოდა, სანამ მუშათა ხელისუფლების წინაალმდეგ ხელს აღწევდა და მთელ პარტიას-თან გაიყოლებდა.

ისტორია, მომავალი თაობა არავის არასოდეს არ აპატიებს ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამის მაგალითი უფრო ნაკლები მასშტაბით ჩვენ თვალწინ გვაქვს პარიზის კომუნის სახით. თვით უცოდველ, ნეიტრალურ სოციალისტ ლუი-ბლანსაც ეხლანდელი ოპორტიუნისტულ სოც.-დემოკრატიული პრესა მოღალატის სახელით იხსენიებს, რადგან ის გვერდში არ ედგა პარიზის კომუნარებს, რადგან ის აქტიურად არ ჩაება ბურჟუაზიის წინაალმდეგ ბრძოლაში. თვით მარქსი, რომელიც პირველად არასასურველად სცნობდა კომუნის გამოცხადებას, როცა ის ფაქტის წინაშე დადგა მეგობრულ კრიტიკას უწევდა პარიზის კომუნარებს და თანაგრძნობით იხსენიებდა მათ.

ვინაიდან ავი იყო ის თუ კარგი, დროული იყო თუ უდროო, ის მაინც მუშათა კლასის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო, ის მუშათა ხელის, პროლეტარიატის ქმნილება და შემოქმედება იყო.

დღეს-კი, როცა იმპერიალისტურ ომის მიერ კალაპოტიდან ამოვარდნილი კაპიტალისტური მსოფლიო უძლურია ძველი წონასწორობა აღადგინოს, როცა მუშათა კლასი გაიზარდა გონებრივად და ორგანიზაციულად, როცა პროლეტარიატი უძლიერეს სოციალურ ერთეულს წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოების ურთიერთობაში, როცა ის უკვე მთელ რიგ დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ასეთ დროს, რამდენად დასაშვები და გასამართლებელია საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ბრძოლა?

ისტორიას არ ახსოვს ჯერ სოციალურ ურთიერთობის ძირბუდიანათ გადამხალისებელი მოძრაობის ისეთი მძლავრი და ფართე მასშტაბის გაქანება, როგორც ოქტომბრის რევოლიუცია არის. დედა-მიწის მეექვსედი ნაწილი დაიჭირა მან, წლობით არსებობს მისგან წარმოშობილი მუშათა ხელისუფლება, მაგრდება და მტკიცდება მისი ბატონობის საფუძლები, დღითი-დღე ღონიერდება, ვითარდება ის ეკონომიურად.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბატონობა, ამ კონკრეტიულ ისტორიულ პირობებში, რომელშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, ობიექტიურად დროული და მიზანშეწონილი აღმოჩნდა. ამას მოწმობს ამ კლასის სამოქალაქო ომიდან გამარჯვებით გამოსვლა, ამას მოწმობს მისი რამდენიმე წლობით არსებობა და ნელი, მაგრამ შეუჩერებელი პოლიტიკური და ეკონომიური წინსვლა.

ასეთ ხელისუფლების წინაალმდეგ გალაშქრება, მის დასამარცხებლად იარაღის აღლარუნება რა სახითაც, რომელ თვალწარმტაც ლოზუნგის ქვეშაც არ უნდა ხდებოდეს ის, რა საკვირველია, მიუტევებელი დანაშაული, გამოუსყიდელი ბოროტება იქნებოდა ისტორიის წინაშე.



ქუთაისის მაზრის დელეგაცია.

ქართულ სოც.-დემოკრატიამ დაივიწყა ეს გარემოებაც. მან ანგარიში არ გაუწია, მხედველობიდან გაუშვა და გულში ჩაიკლა ისტორიულ პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველივე ამის შემდეგ ამ პარტიის მშრომელ მასას აღარაფერი დარჩენოდა მასთან საერთო. მენშევიკურ ქვედა ფენებმა, პარტიის აქტივმა, განსაკუთრებით რომელიც რევოლიუციონურ მოძრაობასთან შეზრდილი და შედუღებული იყო, ნათლად დაინახა, აშკარად იგრძნო, რომ მას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უკვე აღარაფერი დარჩენოდა.

რაც ადრე წავიდოდა ის აქედან, რაც მალე განშორდებოდა ის პარტიის რიგებს, მით ნაკლებ პასუხისმგებლობას იკისრებდა ისტორიის წინაშე, მით უფრო ნაკლებათ შეიბლალებოდა მისი რევოლიუციური წარსული.

## II

მხოლოდ გულუბრყვილო, ობიექტურ მსვლელობის და ღრმა ანალიზის საშვალება მოკლებულ ადამიანს შეეძლო ჩეკის ზეგავლენით აეხსნა მთელი ის მოძრაობა, რომელმაც თავი იჩინა საქ. სოც.-დემ. პარტიაში 1923 წლის დასაწყისიდან. განსაკუთრებით არ ეპიტნავებოდა ეს იმ ხალხს, რომელსაც დღესაც კიდევ ჰყოფნით გამბედაობა თავის თავს მარქსისტი უწოდოს. საკითხის, ასე დაყენებაში მარქსიზმის ნატამალიც არ მოიპოება. ისეთ ფართე საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენას, როგორიც 25 აგვისტოს მომცემი მოძრაობა იყო, უფრო ღრმა საფუძველი აქვს ვიდრე ეს ზოგიერთებს წარმოედგინათ.

შემთხვევითი სრულიადაც არ ყოფილა ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რღვევა ჩვენში სწორედ 1923 წლის პირველ თვეებიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ქართველი მშრომელი ხალხი, რომელიც სოც.-დემოკრატიის ზეგავლენით საბჭოთა ხელისუფლებას ალმაცერათ უყურებდა ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, დარწმუნდა თავის შეხედულების სიყალბეში. ეროვნულმა ზავმა ამიერ-კავკასიაში, მუშათა კლასის ეკონომიურ, უფლებრივ და კულტურულ უზრუნველყოფამ, ქვეყნის ეკონომიურმა წარმომჯობინებამ, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ორი წლის განმავლობაში, სოციალ-დემოკრატიის მშრომელი ელემენტი დაარწმუნა საბჭოთა ხელისუფლების ცხოველმყოფელობაში, მის რევოლიუციონურ ძლევამოსილებაში.

ორი წლის განმავლობაში შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ გაეფანტა ის უნდობლობის, იჭვიანობის ბურუსი, რომელიც ჰყოფდა ქართველ მშრომელ ხალხს ორ მებრძოლ ბანაკად.

ჯერ თითო-თითოდ დაიწყეს მენშევიკურ პარტის რიგების მიტოვება, ერთეულებს მოჰყვა ჯგუფები და შემდეგ ერთხელვე თავმოშვებულმა მოძრაობამ გრანდიოზული, სტიქიური ხასიათი მიიღო.

მას ვერ აჩერებდა ვერც პარტიაში დარჩენილთა მუქარა და წყევა-კრულვა, მას არ აფრთხობდა არავითარი ბრალდება და ცილისწამება, რომელიც მტერთა ბანაკში გაისმოდა, მას ვერც პირად დამოკიდებულების, პარტიის ხელმძღვანელთადმი განწყობილების გრძნობა უბორკავდა ფეხებს.

ამის სიგნალი, პარტიის დაშლის წინამორბედი თვით სოც.-დემოკრატიულ ცეკას ერთ-ერთი წევრი აღმოჩნდა.

ბიქტორ თევზაიას გვერდზე გადგომა მის მიერ პარტიის ტაქტიკისა და მოქმედების უარჰყოფა და ამის, აშკარა, პრესის საშვალებით განცხადება, როგორც უზარმაზარი ნაღმით სავსე სარდაფში, ისე გავარდა სოციალ-დემოკრატიის რიგებში.

ფართე მასა, რომლის სახელითაც მუშაობდა არალეგალური ცეკა, კიდევ მეტი უნდობ-



გორის მაზრის დელეგაცია.

ლობით მოიცვა როცა მან დაინახა ბ. თევზაიას გზიდან გადადგომა. ის დარწმუნდა რომ პარტიაში ყველაფერი რიგზე აღარ იყო. მას უფრო გაუცივდა გული სოც.-დემოკრატიაზე.

ერთ და იმავე დროს, თითქოს წინასწარ შეთანხმებით, იწყება ჩუმი, მაგრამ ღრმა უკმაყოფილება თბილ. და სამტრედიის მუშებში.

ამხანაგები ჯერ ფარულათ იწყებენ მუშაობას. არც არალეგალურ ცეკამ, არც კომუნისტურ პარტიამ არ იცის პირველად იმის შესახებ თუ რა მუშაობა სწარმოებს პარტიის ქვედა-ფენებში ტაქტიკის გადასინჯვის, ახალი გზის ძიების გარშემო.

სამტრედიის სოც.-დემოკრატ მუშების ჯგუფი 1923 წ. 13 იანვარს ახდენენ პირველ ასეთ კრებას. ამ ვიწრო ჯგუფის კრებამ ერთხმად სცნო, რომ მენშევიკურ პარტიის მიერ აღებული ხაზი მათთვის უკვე მიუღებელია. მაგრამ გამოცვალზე არაფერი უთქვამს ამ კრებას მაინც. ჯერ კიდევ გაურკვევლობის ბურუსში და საზოგადოებრივ აზრიე შიშში იყვნენ.

ჯგუფი თან და თან გაიზარდა და უკვე 30 იანვარს ამავე წლისა, რამდენიმე დღის განმავლობაში პირველი კრების შემდეგ, იგივე ჯგუფი უფრო გაფართოებულ ფარულ კრებაზე ერთხმად იღებს რეზოლიუციას, სადაც სწერია.

**„ჩვენ შეგნებულათ ვიზიარებთ მე III ინტერნაციონალის პლატფორმას, დღეიდანვე ვშორდებით მე II ინტერნაციონალს და ვალდებულათ ვთვლით ჩვენს თავს მის წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაცია ვაწარმოოთ.“**

ამის შემდეგ მათ აღარაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, რომ მისულიყვნენ კომუნისტურ პარტიასთან

და ემხილებიათ მისთვის მათი გულის ნადები და საბოლოო გადაწყვეტილება. აქედან იწყება უკვე ფართე მუშაობა, სამტრედიის მთელი მუშათა რაიონი მთლიან ებ-ვევა პარტიის ლიკვიდაციის პროცესში.

სამტრედიიდან მოძრაობა მთელ მაზრაში გადადის და უკვე პირველი ჯგუფის პირველ სხდომის შვიდი თვის თავზე, 1923 წ. 8 ივლისს ხდება ქუთაისის სამაზრო კონფერენცია, რომელიც პარტიას მაზრის ფარგლებში დაშლილად აცხადებს.

თითქმის ამავე დროს, იწყება ასეთივე ხასიათის აშკარა მოძრაობა თბილისის ორგანიზაციაში. იგივე ჩუმი, ცეკას და კომპარტიისაგან ფარული თათბირი, როგორც ამას სამტრედიაში ჰქონდა ადგილი, იგივე საიდუმლო, კონსპირატიული მუშაობა პარტიის ვიწრო ჯგუფებში მდგომარეობიდან თავის დასაღწევ გზის გამოსანახავათ და....

6 ივლისს ნაძალადევის რაიონის სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კონფერენცია. შეირყა მენშევიზმის ციტადელი თბილისში და საქართველოში, არალეგალურ ცეკამ იგრძნო მდგომარეობის მთელი სერიოზულობა. მან მთელი თავისი ძალები აამუშავა, ბრძოლის ისარი თავის ამხანაგებისაკენ მოატრიალა და მათკენ დაიწყო იერიშების მოტანა.

მაგრამ ექვსს ივლისის ნაძალადევის კონფერენცია არ შედრკა. მან მოურიდებლათ, სრული შეგნებით და მდგომარეობის ყოველმხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ სთქვა თავის გადამწყვეტი სიტყვა. მან 1 რაიონის ორგანიზაცია ლიკვიდაცია ყოფილად გამოაცხადა...

მოძრაობა მხოლოდ ამაზე არ შეჩერებულა. ასეთივე ამბები დატრიალდა პარტიის სხვა ორგანიზაციებში. როგორც თივას ცეცხლის ალი, ისე მოედო მთელ ორგანიზაციას რღვევის პროცესი. პარტია იშლებოდა სწორედ იქ, საიდანაც ის იშვა და განვითარდა, მას ნიადაგი სწორედ იქ ეცლებოდა, სადაც ირწეოდა ამ პარტიის აკვანი, სადაც იქმნებოდა მისი წარსული, სადაც უნდა შექმნილიყო მისი მომავალი.

3 ივლისს, სამი დღით ადრე, სანამ პირველ რაიონის კონფერენცია მოხდებოდა თბილისში, ფოთში 57 ძველი მუშა-სოციალ-დემოკრატები გამოდიან პრესაში კოლექტიური განცხადებით პარტიის უარყოფისა, ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ.

5 ივლისს ასეთივე განცხადებით გამოდის თბილისის ტრამვაის მენშევიკი მუშები.

7. ივლისს მათ მოჰყვება ამხ. სანდრო ფარნიევის პარტიიდან ფორმალურად გამოსვლა.

თუ ბიქტორ თევზაიას მიერ პარტიის მიტოვება და მის მიერ ქართულ სოციალ-დემოკრატიის საჯაროთ ავანტიურისტულ პარტიად აღიარება ფართე მასისათვის ამ პარტიიდან გაქცევის, თავის შველების სიგნალი იყო, ამხ. სანდრო ფარნიევის, როგორც ცეკას მეორე წევრის პარტიიდან გამოსვლა, ბევრათ უფრო მეტი მნიშვნელობის შეიქნა ქართულ სოც.-დემოკრატიის გასულ წლის მოძრაობაში.

იმას გარდა, რომ ამხ. ს. ფარნიევს იცნობდა ფართე მასა და ნდობის თვალით უყურებდა მას, ამხ. ფარნიევის გამოსვლას კიდევ მეტი ფასი დაედო და გავლენა მიეცა იმ გარემოებით, რომ სოციალ-დემოკრატიიდან გასვლის შემდეგ, ის არ გაჩერდა შუა გზაზე, არ გაიყინა გზაჯვარედინზე და, როგორც მუშამ, ინტელიგენტურ განდეგილობას, ახალი გზის „მეცნიერულ კვლევა-ძიებას“ არ მისცა თავი. ის მხარში ამოუდგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გასულ, თუ მიმავალ მშრომელ ელემენტს და მასთან ერთად გასწია პროლეტარულ რევოლიუციასთან დაახლოების გზით.

ამის შემდეგ პარტიიდან გაქცევის სენი კიდევ მეტი სისწრაფით მოედვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

13 ივლისს ხდება მეორე რაიონის კონფერენცია, რომელიც იმავე გზას ადგება, რაც პირველ რაიონმა აირჩია.

17 ივლისს იკრიბება მესამე რაიონის კონფერენცია და ამავე თვის ოცში ხდება მეოთხე რაიონის კონფერენცია.

ყველა მათგანი ერთსა და იმავე დასკვნამდი მიდის, ყველა ერთხმად აღიარებს პარტიის დაშლის აუცილებლობას.

არალეგალური ცეკა დაიბნა. ყოველი მისი ცდა კონფერენციების ხელის შესაშლელად მიმართული უნაყოფო გამოდგა. თარგამაძის დეკლარატიულმა გამოსვლამ მეოთხე რაიონის კონფერენციაზე, რომელიც იცავდა არალეგალურ ცეკას ხაზს, ერთსულოვანი პროტესტი გამოიწვია.

24 ივლისს უკვე იკრიბება თბილისის საქალაქო კონფერენცია. მისი ხმა, ამ კონფერენციის გადაწყვეტილება უკვე სჭრიდა კითხვას პარტიის ყოფნა-არყოფნის შესახებ მთელ საქართველოში.

თბილისის ორგანიზაცია მუდამ ტონს აძლევდა მთელ პარტიას და მაზე დაყრდნობით, მის გავლენის ქვეშ ტარდებოდა ყოველთვის პარტიის ხაზი, პარტიული პოლიტიკა.

ასე იყო სოც.-დემოკრატიულ პარტიაში და ასეა საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიის ცხოვრებაში, რომელიც უმთავრესად თავის დასაყრდნობ წერტილად მუშათა კლასს ირჩევს და პროლეტარიატს იკრებს თავის გარშემო. გარდა თბილისისა სხვა სამრეწველო და ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ცენტრი საქართველოს არ მოეპოება.

ამიტომ იყო, რომ თბილისის კონფერენციას მთელ საქართველოში გულის ფანცქალით შე-

სჩერებოდა მტერი და მოყვარე. მის გადაწყვეტილებით უნდა თქმულიყო – დარჩებოდა თუ არა ამიერიდან საქარ. სოც.-დემ. მუშ. პარტია, როგორც მასიური მუშათა პარტია, თუ ის დაშლილათ უნდა გამოცხადებულიყო.

თბილისის კონფერენციას უნდა ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა იმის შესახებ, რაც მოხდა მის შეკრებამდე ქუთაისის სამაზრო, სამტრედიის სარაიონო და ცალკე რაიონების კონფერენციებზე.

არალეგალურ ცეკამ აქაც სცადა ბედი. მან აქაც მოინდომა კონფერენციის მონაწილეთა შორის არევ-დარევის, განხეთქილების შეტანა. მაგრამ მისი მკრთალი ხმა მთელ კონფერენციის ერთსულოვან განწყობილებასთან აღარაფრად მოსჩანდა. თბილისმაც სთქვა ის, რაც ცალკე რაიონების კონფერენციამ. სთქვა და თავის ავტორიტეტულ სიტყვით – ყველა ორგანიზაციებს თავის გზისაკენ მოუწოდა.

ამის შემდეგ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბედი სანახევროდ უკვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ რჩებოდა კიდევ მთელი რიგი ორგანიზაციების, რომელთა აზრი და შეხედულება მეტი რომ არ ვთქვათ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო პარტიის მიერ ასეთ საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმის დროს.

III

გურიის ორგანიზაციას არ გამოეთქვა კიდევ თავის აზრი და დამოკიდებულება ამ მოძრაობისადმი. გურიის წვრილ, ნახევრად-პროლეტარულ გლეხობას, რომელმაც საქართველოს რევოლიუციონურ ისტორიაში ამდენი ბრწყინვალე ფურცლები შეიტანა, უნდა ეთქვა აგრეთვე თავისი სიტყვა. მის ხმას ისეთივე გავლენა ექნებოდა დანარჩენ ორგანიზაციებისათვის, როგორც თბილისის ორგანიზაციის ხმას.

ქუთაისის მაზრაში, თბილისის ორგანიზაციაში მომხდარ ამბავმა გურული ამხანაგებიც აამოძრავა. საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, გურიის ორგანიზაცია პირველ რიგებში მოუძღოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიას. საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგისადმი დაუნდობელ ბრძოლის სუსხი ყველაზე პირველად და ყველაზე საგრძნობლათ გურიის ორგანიზაციას დაატყდა თავზე.

ამიტომ თითქოს მოულოდნელი, დაუშვებელი უნდა ყოფილიყო აქ ორგანიზაციის რღვევა, რომელსაც არ მოშუშებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში მიღებული იარა.

მაგრამ სოც.-დემ. მორალურ დეგენერაციის, რევოლიუციონურ სიკოტრის სუნმა გურიამდიც კარგა ხნიდან მოატანა. სოციალ-დემოკრატიის მშრომელ გლეხობის წინაშე დაისვა კითხვა: ვისთვის, რომელი კლასის კეთილდღეობისთვის ღვრის ის სისხლს მუშათა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. რა მომავალი აქვს ამ ბრძოლას გამარჯვებითაც რომ დასრულდეს ის? ყველაფრიდან სჩანდა-მთელი ეს უაზრო სისხლის ღვრა საერთაშორისო რევოლიუციის საზარალოთ და შინაურ რეაქციის გამარჯვებისაკენ იყო მიმართული.

გურიის გლეხობას, იმ გურიის, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯი მეფის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლითაა მორწყული; სადაც ბრძოლის ალში გაკაჟებულ, გამობრძმედილ გლეხობას რევოლიუცი-ონურ იდეალებისათვის თავგანწირვა თავის მოვალეობათ დაუსახავს, ამ გურიის ს.-დემ. ორგანიზაციას არ შეეძლო დიდი ხნით გაეძლო პროლეტარულ რევოლიუციის იდეურ და ფიზიკურ შეტევისათვის. ის ადრე თუ გვიან უნდა დაჰბრუნებოდა ერთხელვე აღებულ რევოლიუციონურ გზას, რომლიდანაც დროებით გადაუხვია.

29 ივლისს შესდგა გურიის ორგანიზაციის კონფერენცია – რომლის წინაშეც მთელი თავის სიმწვავით დაისვა მოქმედების ხაზის გადასინჯვა-გადაფასება.

173 დელეგატმა დაიყარა თავი. ყველა მათგანი პარტიის ძველი წევრები, სოციალ დემოკრატიის გამოცდილი ვეტერანები იყო.

კონფერენცია მთელი სერიოზულობით მიუდგა კითხვას. ის გრძნობდა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, როგორც ორგანიზაციის ყოფნა-არყოფნის კითხვაა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მას. კონფერენციის ეს სულისკვეთება მთლიანად გამოიხატა იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც მან ამ კითხვის შესახებ მიიღო. ზედმეტი არ იქნება ამ რეზოლიუციიდან ზოგიერთ ადგილების მოყვანა:

**ჩვენ გვწამს, ეროვნული ბრძოლა, რევოლიუციონურ ბრძოლათ, როცა ამას ადგილი ჰქონდა პოლონეთის ისტორიაში ნიკოლოზ პირველი სატრაპის და ალექსანდრე მეორის დესპოტიის წინააღმდეგ, რევოლიუციონურ ბრძოლათ მიგვაჩნია ჩვენ ეროვნული მოძრაობა ევროპის კალონიებში, რომელიც იმპერიალიზმის დამხობას დააჩქარებს; რევოლიუციონური ბრძოლაა, როცა რურის გერმანელი მოსახლეობა ეროვნული ლოზუნგის ქვეშ ირაზმება და ამით ებრძვის საფრანგეთბელგიის ბურჟუაზიის მტაცებლობას, მაგრამ არ შეიძლება რევოლიუციონურ მოძრაობათ ჩაითვალოს ეროვნული შუღლი, რომელსაც ხელს უწყობს დღეს საქართველოს სოციალდემოკრატიის მოღვაწეობა, რომელიც ირაზმება სამფეროვან დროშის ქვეშ წითელი დროშის წინააღმდეგ და რომელიც მიმართულია მუშურ-გლეხურ მთავრობის დამარცხებისაკენ.**

ასე ამბობს გურულების კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუცია ეროვნულ კითხვის შესახებ. რაც შეეხება სხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს, ამაზე მან მოკლეთ სთქვა რომ.

„ერთად-ერთი“ კითხვა, რომელიც დარჩა სოციალ-დემოკრატიას საბრძოლველად და რომლის გარშემო ის თავს უყრის მთელ თავის ძალებს, — ესაა კითხვა ეროვნული.

ამნაირათ უკვე სჩანს, რომ გურიის კონფერენციისათვის მენშევიკური პარტია, როგორც სოციალისტურ მიმდინარეობის ორგანიზაცია აღარ არსებობდა. ამის შემდეგ მას აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეს პარტია დაშლილად გამოეცხადებია და ის ასედაც მოიქცა.

გურიის გადაწყვეტილება მეორე ლახვარი იყო ცეკასათვის თბილისის კონფერენციის შემდეგ. მისთვის ნათელი გახდა, რამდენად ღრმა მიზეზები ჰქონია პარტიაში დაწყებულ მოძრაობას, რამდენად საშიშარ ხასიათს ღებულობდა მდგომარეობა, მაგრამ ის მაინც იაფ დემაგოგიას თავს არ ანებებდა, ის მაინც არ ეშვებოდა ლანძღვა-გინებით და ცილისწამებით ფონს გასვლას.

პროვინციაში დაწყებული მოძრაობა საქართველოს მთელ ტერიტორიას მოედო.

18 ივლისს შესდგა ხაშურის კონფერენცია. ხაშური ერთი მუშაცენტრთაგანია. ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია აქ თავის დროზე მეტად ძლიერი იყო. ამიტომ ხაშურის ხმას ჰქონდა თავის მნიშვნელობა ამ მოძრაობაში, ხაშურიც თბილისის და გურიის გზას გაჰყვა.

29 ივლისს, იმ დღეს, როცა გურიაში იყო მოწვეული სამაზრო კონფერენცია. პრესაში ქვეყნდება 58 პარტიის წევრის, გარე



თელავის, სიღნაღის და დუშეთის მაზრის დელეგაცია.



შორაპნის მაზრის დელეგაცია.

ლების დეკლარაცია. რღვევის ცეცხლი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედო. გურიაიმერეთთან ერთად მან ქართლ-კახეთიც მოიცვა.

25 ივლისს ხდება ბორჯომის მუშა მენშევიკების კრება. სადაც ცხარე კამათის და კითხვის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ კრება თბილისის კონფერენციის ხაზს ადგება.

26 ივლისს სდგება გორის ადგილობრივი კრება და 21 ავგის. გორის მაზრის კონფერენცია,— სადაც ესწრება დელეგატები ისეთი მუშათა რაიონებიდან, როგორც ბორჯომი და ხაშურია და აგრეთვე თემების წარმომადგენლებიც. კონფერენციამ ერთხმად, უყოყმანოდ გაიზიარა თბილისის მიერ მიღებული რეზოლიუციები და გორის მაზრის ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა.

2 აგვისტოს იკრიბება ფოთის საქალაქო კონფერენცია და 5 აგვისტოს ბათომის კონფერენცია.

ეს ორი ქალაქი და განსაკუთრებით ბათუმი რევოლიუციის აკვნადაა ცნობილი. მათი აზრი და გადაწყვეტილება ამ მოძრაობის შესახებ უთუოდ ანგარიშ გასაწევი იყო. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორი ქალაქიც უერთდება გურიის და თბილისის ხმას.

ასეთივე შედეგით დასრულდა სამაზრო კონფერენციები შორაპნის მაზრაში 17 აგვისტოს და ამავე დღეს სენაკის მაზრაშიაც.

21 აგვისტოს ამ მოძრაობას უერთდება ზუგდიდიც თავის მაზრით.

ამნაირათ თითქმის მთელი საქართველო მოიარა პარტიის ლიკვიდაციის, თვით-დაშლის მოძრაობამ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კონფერენციები და კრებები ერთხმად მოითხოვდენ სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევას. ქუთაისმა და თბილისმა კიდეც გამოჰყო თავის დროზე შეერთებული ბიურო, რომელსაც თავის თავზე უნდა აეღო ამ ყრილობის მოწვევის ინიციატივა და ორგანიზაცია.

## IV

ამასობაში 25 აგვისტომაც მოაწია. ეს დღე იყო არჩეული სრულიად საქართველოს ყრილობის გახსნის დღეთ.

თუმცა მთელმა პარტიამ ცალკ-ცალკე, რაიონებლივ, უკვე გამოსთქვა თავის აზრი პარტიის მომავლის შესახებ და კითხვა თითქმის გადაჭრილიც იყო, მაგრამ ყველა, მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი და განსაკუთრებით ჩვენი გამოთხიზლების მტრები და ორგულნი ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ.

ყველა ფრონტებზე დამარცხებულმა არალეგალურ ცეკამ უკანასკნელი იერიშის მოტანა სცადა ამ ყრილობის წინააღმდეგ. წინასწარ ამუშავდენ აგენტები პროვინციებში, შეეცადნენ ყრილობაზე არჩეულ დელეგატებში გარდატეხა მოეხდინათ, სცდილობდენ თუ ყველასი არა, მაინც ერთი ნაწილის გადაბირებას.

თბილისში ყრილობის გარეთ და შიგნიდაც გააბეს მათ ქსელები. მაგრამ ქართული სოციალ დემოკრატია დიდი წარსულის მქონე იყო. მის მუშურ და გლეხურ რიგებს, რომელმაც შექმნა 25 აგვისტო, ორგანიზაციულ მუშაობის და პოლიტიკურ ბრძოლის დიდი სკოლა ჰქონდათ გავლილი, რომ ისინი კვლავ არალეგალურ ცეკას ანკესზე წამოგებულიყვნენ. ცეკამ ვერ იპოვნა ყრილობაზე დასაყრდნობი ძალა, მან დელეგატებში ვერსად ნახა პოლიტიკური ბალღები.

ყრილობამ მხოლოდ ორიოდე ხმის გამოკლებით, ერთხმად დაადასტურა და დასკვნა გაუკეთა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა მთელს პარტიაში რევოლიუციის უკანასკნელ 6 წელში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პარტიამ მოსჭამა თავის რევოლიუციონურ არსებობის დღეები, რომ ის საქართველოს თანამედროვე პირობებში ცხოვრების წინმსვლელობას წინ ელობება და არსებითად ძველი, კაპიტალისტურ ურთიერთობის დაბრუნებას და განმტკიცებას ემსახურება ჩვენში. ამიტომ პარტიის არსებობა მომავალში ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის ყრილობამ მავნებელათ სცნო და საქ. სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია დაშლილად გამოაცხადა.

ბევრი მითქმა-მოთქმა, ბევრი გააფთრებული თავდასხმა გამოიწვია ამან არალეგალურ ცეკას მხრივ, რომელიც არ სცნობდა ყრილობის უფლება მოსილებას ასეთი ნაბიჯის გადადგმაში. მაგრამ სტატისტიკურათ, ციფრებით ხელში დამტკიცებული იყო, რომ ყრილობა აერთიანებდა 12.000 პარტიის წევრზე მეტს, და ესენი იყო არა ბედის მაძიებარი, რევოლიუციის შემდეგ სოციალ დემოკრატიულ კარავში შემოხიზნული ხალხი. ეს 12.000 წევრი, რომელიც დიდი უმრავლესობით მუშების და გლეხებისგან შესდგებოდა, იყო პარტიის ხერხემალი, მისი ღერძი; რომელიც ჰქმნიდა სოც.-დემოკრატიის ისტორიას წარსულში. ვის, თუ არა ამათ, შეეძლოთ ელაპარაკნათ პარტიის სახელით; ვის, თუ არა მათ, შეეძლოთ ეთქვათ გადამჭრელი სიტყვა პარტიის ყოფნა-არყოფნის კითხვის დროს. ამის უფლებას მას არალეგალურ ცეკაში მოკალათებული პამპაულები ვერ წაართმევდენ. ამ უფლებაში მათ ვერავინ შეეცილებოდა.

ყრილობამ არათუ დაშლილად გამოაცხადა პარტია ადგილობრივ, მან ემიგრაციაში მყოფ მენშევიკურ პარტიის ხელმძღვანელთ, რომე-



სენაკის და ზუგდიდის მაზრის დელეგაციები.

ლიც მე II ინტერნაციონალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სახელით შეუიოდენ, მანდატი ჩამოართვა.

ყრილობა გადაჭრით, უყოყმანოდ დადგა მე III ინტერნაციონალის პლატფორმაზე და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა მან პარტიის ყველა წევრს.

ეს იყო დღე ქართველი მშრომელი ხალხის ზეიმის, ეს იყო ძმათა შორის ჩატეხილ ხიდი'ა კვლავ გამრთელება, აგვისტოთი დაიწყო ახალი ხანა ქართულ სოც.-დემოკრატიისათვის 25 აგვისტო შეიქნა მათი 25 ოქტომბერი.

პარტიის დაშლას, მის ლიკვიდაციას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ამ მიმართულებაზე მდგომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაც.

28 ოქტომბერს რესპუბლიკის ფარგლებით თავს იყრის საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობა, რომელიც იმავე გზას ადგება, რაც პარტიის ყრილობამ 25 აგვისტოს აირჩია.

ამით დასრულდა მენშევიკურ ორგანიზაციის, როგორც მასიურ პოლიტიკურ ერთეულის, არსებობა საქართველოში. ამას შემდეგ ამ პარტიის რიგებში დარჩა მხოლოდ რევოლიუციისათვის საბოლოოთ დაკარგული, მშრომელი ხალხის ხელიდან წასული ადამიანები.

25 აგვისტოს გზა კი ისტორიულად გამართლებული გამოდგა. ამის ნიშნები მოგვცა წარსულ წელმა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში დიდი მნიშვნელობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი სოც.-დემ. პარტიის ნარჩენების ცხოვრებაში, რაც ადასტურებს შარშანდელ ყრილობის მიერ აღებულ გეზის სამართლიანობას.



ახალციხის დმ ახალქალაქის მაზრის დელეგაცია.



ხაშურის მოწინავე მუშების ერთი ჯგუფი.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია აქ სეით დევდარიანის მიერ პარტიის რიგების დატოვება. ს. დევდარიანი შემთხვევითი ელემენტი არ ყოფილა პარტიისათვის... დასაბამიდანვე ამ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. მან ყველაზე უკეთ იცოდა ქართულ სოც.-დემოკრ. ავან-ჩავანი და ავ-კარგიანობა. მისი სიტყვა, როგორც არალეგალურ ცეკას ხელმძღვანელის ხმა, დიდმნიშვნელოვანი იყო და არის ქართულ სოც.-დემოკრ-ისტორიაში. და ყრილობის დასრულების რამდენიმე თვის შემდეგ მას თვით გამოაქვს პარტიისათვის ისეთივე განაჩენი, როგორც ეს ყრილობამ გამოიტანა.

„პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და პრინციპი, აჰყვა სტიქიას, სურვილებს, სხვა ვერავითარი ნახა ხელმოსაკიდებელი და ჩავარდა უფსკრულში."

ასეთია სეით დევდარიანის უკანასკნელი სიტყვა, მისი პროგნოზი ქართულ მენშევიზმის შესახებ.

ცხადია ამიტომ, რომ ს. დევდარიანის გამოსვლამ გარდა იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა იქონია პარტიის რღვევის ისტორიაში, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყრილობა არ ცდებოდა, როცა პარტიის ლიკვიდაციას სწყვეტდა.

ამხ. ი. გიორგაძის და ვ. ქაიხოსროშვილის ვერაგული მკვლელობა. კვლავ ჩვენი გზის სისწორის დამამტკიცებელია. ყრილობის შემდეგ გარბოდა, სტოვებდა პარტიის რიგებს ყველა პატიოსანი მუშა და გლეხი. ცეკამ მათი შეჩერება იარაღით მოისურვა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხერხი კიდევ უფრო უშედეგო და უნაყოფო გამოდგა, როგორც სხვა დანარჩენი.

ს.-დემოკრატიულ პარტიის რღვევა ვერ აცდა იმ არასასურველ მოვლენასაც, რომელიც ახასიათებს ყოველივე პარტიას, თუ ორგანიზაციას მის რღვევის, დაშლის პროცესში.

ამ პარტიის რიგებში მრავალი რევოლიუციონერი და თავდადებული მებრძოლები მოიპოვებოდენ. მაგრამ რევოლიუციის ქარტეხილში, უკანასკნელი ექვსი წლის ცხოვრების დაუსრულებელ ღელვაში — ისინი ადრე მოიღალენ, სასოწარკვეთილებას მისცეს თავი და დაეცნენ სულით.

ამ მდგომარეობაში ჩავარდნენ პარტიის როგორც ინტელიგენტები, აგრეთვე მუშური ელემენტებიც. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი პირები: ბ. თევზაია, პ. გელეიშვილი, დ. თოფურიძე, ივ. გომართელი, და მუშები: ვ. ცაბაძე, მ. კლიმიაშვილი, ილ. კოპალეიშვილი, კ. მაქარაძე, მ. ძამანაშვილი, გ. ნინუა, გ. კალაძე, ვ. ავსაჯანოვი, დ. დვალი და სხვები.

საბედნიეროთ ამათი რიცხვი არც ისე დიდია. ამ სულისკვეთებამ, როგორც მასიურს მოვლენამ... ...მოლოდნელი იყო. მასიური ხასიათი არ მიიღო,

პროლეტარიატი ბუნებით ორგანიზაციული კლასია. თვით ის როლი, რომელიც დაკისრებული აქვს მას საზოგადოებრივ ეკონომიაში, შეერთების და კავშირისაკენ, მოუხმობს მას ორგანიზაციის გარეშე წარმოუდგენელია მისი, როგორც კლასის, არსებობა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სენმა, გვერდზე გადგომის, სრულ პოლიტიკურ ნილილიზმის ავადმყოფობამ, მხოლოდ თითო-ოროლა იმსხვერპლა და მასა-კი თავის უმრავლესობით უვნებელი, ხელუხლებელი დარჩა.

დღეს სოც.-დემ. რიგებიდან გამოსული ქართველი მუშები და გლეხები გამოფხიზლების წლის თავს დღესასწაულობენ. დღეს სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც ისინი დაუბრუნდენ დროებით მოწყვეტილ რევოლუციონურ კერას,

და ყოველ წლის თავზე, ყოველ 25 აგვისტოს ის ათეული ათასი მუშა და გლეხი, რომელმაც შექმნა ეს ისტორიული დღე საქართველოს რევოლუციონურ მოძრაობაში, გულისტკივილით მოიგონებს წარსულ დღეთა მწარე წუთებს და ახალი ენერგიით, ახალი ალტაცებით განაგრძობს სვლას იმ გზით, რომელიც მან აირჩია 1923 წ. 25 აგვისტოს.



ყრილობის საზეიმო კრება მთავარ სახელოსნოში (ამწყობი ცეხი).

# ბათუმის პრესიდან 25 აგვისტომდი.

საქართველოს გასაბჭოების დღეებში მენშევიკურ პარტიის აქტიურ ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა საზღვარგარეთ გაეშურა. ერთ-ერთი უკანასკნელი სხდომა ბათუმის მაშინდელ ქალაქის გამგეობის ბინაზე, რომელსაც დაესწრო ყველა ცოტათ-თუ ბევრათ აქტიური მენშევიკი, განსაკუთრებით შეჩერდა საზღვარგარეთ გამგზავრება თუ დარჩენის კითხვაზე. პარტიის ზედაფენებიდან თითქმის არავინ გამოცხადებულა.

კრებას დაესწრო და ხელმძღვანელობდა ცეკას დავალებით ნ. ხომერიკი. მასვე ახლდა ნ. ელიავაც.

რამდენი გულდამთუთქავი სიტყვები წარმოითქვა ამ კრებაზე. როგორი უსასოების და სასოწარკვეთილობის ატმოსფერა დადგა სხდომის დარბაზში.

წითელი ჯარი ერთი ფრთით საჯევახოში იყო, მეორეთი-კი ბათუმს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უვლიდა. ქართული ლაშქარი და „სახელოვანი“ გვარდია უკან დახევის დროს გადნა და დაიშალა. ბათუმში მყოფ სამხედრო პირთა დიდი ნაწილი: გვარდიელები, აფიცრები და ზოგჯერ თითო-ოროლა მენშევიკი ჯარის-კაციც კი გამგზავრების სურვილს აეტაცნა და მხოლოდ ამიტომ მოაწყდა ქემალის საფარს—ჩოლოქის იქითა მხარეს.

ნ. ხომერიკი ყველაზე მეტს ლაპარაკობდა. საჭიროა ადგილზე დარჩენა, თავ-თავიანთ რაიონებში დაბრუნება, მუშაობის გაჩაღება ბოლშევიკურ ხელისუფლების წინაალმდეგ—ასეთი იყო წინადადება ნ. ხომერიკის.

მაგრამ საშინელმა დემაგოგიამ და ჭორებმა ბოლშევიკურ ტირანიის შესახებ, რომელსაც დაუღალავად სთესავდა მენშევიკური პარტია ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე—თვით მენშევიკურ პარტიის ნაღებს, მოწინავე ელემენტებსაც დაუკარგა სულიერი წონასწორობა და ისინი სიცოცხლის შენარჩუნების გრძნობას დაუმონავა.

წასვლა, განშორება სამუდამოთ ხელიდან გამოცლილ ქვეყნისაგან; საზღვარგარეთი—ასეთი იყო „დღის ლოზუნგი“ საქართველოს ყველა-კუთხიდან ბათუმში გადმოხვეწილ მენშევიკურ პარტიის ლაშქარისათვის. და უეცრივ, მოულოდნელად ცეკა მას წინ ეღობება სწორედ იმ დროს, როცა ცალი ფეხი უკვე გაშვერილია გემში ჩასაჯდომათ და უკან გამარჯვებულის ხიშტია მობჯენილი.

ცეკას მოულოდნელი წინადადება კრებამ მწარე დუმილით მოისმინა. აქა-იქ წარმოითქვა მკრთალი უკმაყოფილების სიტყვები—და კრება დაიშალა. ეტყობოდა, რომ ცეკას მიერ უკან დასახევ გზაზე მოულოდნელმა გადახირებამ, უკანასკნელი იმედიც გაუქარწყლა, ისედაც სასომიხდილ მენშევიკურ ლაშქრის „ავანგარდს“.

შემდეგ დღეებში გამოირკვა, რომ ისინი ვინც მეტს გაჰყვიროდა საქართველოში დარჩენის და მუშაობის საჭიროების შესახებ, უკვე გუდა-ნაბად აკრული ყოფილან გასაქუსლავათ.

წითელი ჯარის პირველი ეშელონის შემოსვლის დღეს—პარტიის მთელი გენერალური შტაბი თავის ამალითურთ სტამბოლისაკენ მიეშურებოდა.

დარჩა მხოლოდ პარტიის ეფრეიტორები, უნტერ-აფიცრები და თითო ოროლა გენერლები: გ. ლორთქიფანიძე, ს. ჯიბლაძე და სხვები.

ქალაქში საშინელი პანიკა გამეფდა. პროვოკაციული ბრძოლა ქემალ-ფაშის ჯარებთან,

# უგნურების უდანაშაულო მსხვერპლნი.



ამხ. ილ. გიორგაძე.

ამხ. ილ. გიორგაძე ღარიბ გურულ გლეხის შვილი იყო. მშობლებმა, რომლებიც სცხოვრობდენ სოფ. ჭალა-საყდარში, ოზურგეთის მახლობლათ, პატარა ილარიონს დიდი გაჭირვებით გაათავებინეს პირველ-დაწყებითი სოფლის სასწავლებელი, რის შემდეგაც ის იძულებული შეიქნა დაეტოვებინა სოფელი და სამუშაოს-საძებრათ წასულიყო.

მაშინ, როგორც ეხლა, გურიიდან გლეხები უმთავრესად ბათუმს, ან რკინის გზის სამსახურს ეტანებოდენ. ამხ. ილარიონიც დიდი წვალების შემდეგ დგება რკინის გზაზე უბრალო მუშათ. აქ ის ხვდება თავის სოფლის ამხანაგებს, რომლებიც ახალგაზრდა ილარიონს არალეგალურ ორგანიზაციებში აბამენ და სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ამაცადინებენ.

ამხ. ილარიონი ახალგაზრდული გატაცებით ეწაფება რევოლიუციონურ ლიტერატურას და ორგანიზაციულ მუშაობას. მოკლე ხნის განმავლობაში ის ამხანაგების ყურადღებას იპყრობს და მას სხვა და სხვა საპასუხისმგებლო მოვალეობებს აკისრებენ.

მაგრამ რკინის-გზის ჟანდარმერიამ ის უკვე აღრიცხვაზე აიყვანა, როგორც არასაიმედო ელემენტი და ამხ. ილარიონს, რომელიც ამხნისათვის უბრალო კანტორის მოხელე იყო, მოსვენებას არ აძლევენ.

1904 წელში ის გადაჰყავთ ბაქოსაკენ სადგურ ალიათში. მაგრამ ამხ. გიორგაძე არც აქ ყრის ფარხმალს. ცოტა ხნის განმავლობაში ის ადგილობრივ მუშებში ჰქმნის პარტიულ ჯგუფს, აბამს კავშირის ცენტრთან და აჩაღებს იატაკ-ქვეშ მუშაობას.

სამი წლის განმავლობაში დაჰყო მან აქ. 1905 წლის რევოლიუციის დროს ის გაასკეცებული ენერგით ეშვება რევოლიუციურ მოძრაობაში, დაუნდობლათ იბრძვის მის გასამტკიცებლათ. მაგრამ რეაქციის გამარჯვებამ ის კვლავ თავის საქმეს დაუბრუნა სადგ. ალიათში.

რევოლიუციის შემდეგ მეფის მთავრობის სუსხი სულს უხუთავდა მუშათა კლასს და ორგანიზაციულ მუშაობის საშვალებას სრულიად სპობდა.

ამხ. გიორგაძე ამ შავბნელ რეაქციის დროსაც არ ისვენებს. მისი ხელმძღვანელობით ალიათის ორგანიზაცია კვლავ ფეხზე დგება და არალეგალური მუშაობა თან და თან ცხოველდება.

მაგრამ ჟანდარმის თვალი არც აქ ასცდა ამხ. ილარიონს. ის მოაშორეს სადგ. ალიათს და იმავე გზის პატარა სადგურ უჯარაში გადაიყვანეს. აქ დიდ ხან აღარ დარჩენილა ამხ. გიორგაძე.

თბილისის ორგანიზაციის დახმარებით ის ახერხებს უჯარიდან საქართველოში დაბრუნებას და 1909 წ. სადგ. შორაპანის ამწონავათ ინიშნება. აქ ის 1912 წლამდი რჩება შემდეგ ადმინისტრაცია მაინც არ აყენებს მოსვენებით და ბაქოში ნიშნავს საქონლის მოლარეთ.

აქ ამხ. ი. გიორგაძეს უფრო მეტი საშვალება მიეცა პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის.

ბაქოში იმხანად სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია საკმაოდ გამოცოცხლებული იყო. ამხ. ილარიონი მთლიანათ ეძლევა მუშაობას და თებერვლის რევოლიუციამდე ბაქოს ორგანიზაციებში იმყოფება.

დაჰკრა თუ არა რევოლიუციის საათმა, ის ნაცნობ ადგილებისკენ გამოეშურა. რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე მას პარტია მრავალ პასუხსაგებ პოსტებზე აყენებს.

მისი მუშაობის ასპარეზი ისევ რკინისგზაა, სადაც მას უკვე იცნობს ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მომუშავე რკინისგზელი და ფართე მასა.

რკინის გზის კავშირიდან ის შედიოდა საქართველოს პროფკავშირთა ცენტრში, მუშაობდა სატარიფო პალატაში.

უკანასკნელად, 1920 წლის დასასრულს, ის ყრილობის მიერ ერთხმად არჩეულ იქნა კავშირის ცენტრალურ გამგეობის წევრად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარტიის დისციპლინის თანახმად ის არალეგალურად გადავიდა. ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა არალეგალურ ცენტრს.

---

აჯანყება ახლომდებარე მაჰმადიან ქართველთა სოფლებში და ამავე დროს წითელი ჯარის ეშელონების რიგ-რიგად შემოსვლა ქალაქში. არავინ იცოდა ვინ ვის უნდა დამორჩილებოდა. ქალაქში შესდგა უკვე რევკომი; გენ. მაზნიევმა თავის-თავი მთავარსარდლათ გამოაცხადა; ქემალის ჯარები განაგრძობდენ უსასტიკეს წინააღმდეგობას.

შედეგათ ქემალთან უაზრო და სრულიად უმიზნო ბრძოლას მრავალი ახალგაზრდა სიცოცხლე დაედო მსხვერპლად....

ამის შემდეგ თავჩაქინდრული მენშევიკური პარტიის ლაშქარი თითო ოროლათ დაიძრა ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებისაკენ და ცეკას დირექტივების შესრულებას მაინც პირნათლად შეუდგა.

პარტიის ქვედა ფენების უმრავლესობა იმდენად მტრული თვალით უყურებდენ ახლად დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ პირველ ხანებში შეუძლებელი შეიქნა, ახალ ძალასთან რაიმე თანამშრომლობის ან შერიგების იმედი.

10 აპრილის რეზოლიუცია რომელიც თბილისის ორგანიზაციამ გამოიტანა, უფრო პარლამენტარული დეკლარაცია იყო, ვინემ ნამდვილი სურვილის გამოხატულება.

გასაბჭოების პირველ თვებში ნაადრევი იყო მენშევიკურ პარტიის ერთხელვე აღებულ ხაზის ნაწილობრივ შეცვლაზე ლაპარაკიც-კი, მაგრამ თვეებთან ერთად განვლო წლეებმა, სინამდვილემ, შინაურმა პირობებმა და საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებამ მენშევიკურ მასაში დიდი გარდატეხა შეიტანა,

ფაქტს, აშკარა სინამდვილეს ვერავინ ვერსად გაექცევა. საბჭოთა ხელისუფლების მუშაობამ— თავისთავად დაამტკიცა ამ პოლიტიკურ სისტემის ცხოველმყოფელობა.

და თუ მთელი არა, თითქმის მთელი აქტიური ელემენტი ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას ამ ხნის განმავლობაში.

უადგილოა აწ მენშევიკური პარტიის იატაკქვეშ ფართე მასშტაბით მუშაობის შესახებ ლაპარაკი. ყოველი მოწოდება ამ მხრივ, ჰაერში გამოკიდებული დარჩება.

მენშევიკურ პარტიაში ნამყოფ მასას თავის ზურგზე აქვს გამოცდილი ავანტიურისტულ ბრძოლის შედეგი. ბათუმში მომხდარ უკანასკნელ ლეგალურ მენშევიკურ კრების შემდეგ, ვიდრე მეორე ლეგალურ მენშევიკურ ყრილობის დღეებამდე, ე. ი. 25 აგვისტომდი, მისი ძველი გეზი საბოლოოთ შეიცვალა და ის რევოლიუციის მხარეზე დადგა.

ამის შემდეგ მის გზას ეღარ გაამრუდებს თვით უხუცეს მენშევიკის, ნოეს დირექტივებიც კი.

პ. შველიძე.

გასულ წლის სექტემბერში ამხ. ილარიონი მენშევიკურ პარტიის არალეგალურ ყრილობის აქტიური წევრთაგანია.

ვის თუ არა მას, შეეძლო, როგორც მუშას, გაეთვალისწინებინა ის უბედურება, რომელსაც უქადდა მუშათა კლასს მენშევიკურ პარტიის უკუღმართი საქმიანობა. მან, როგორც რევოლიუციის ცეცხლში გამოვლებულ, მუშათა კლასის იდეალებისათვის ბრძოლაში გამობრძმედილმა, გადაჭრით და ხმა-მაღლა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია ასცდა ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზას და შოვინიზმის ჭაობში გადაიჩეხა.

ამის შემდეგ მას აღარაფერი დარჩენოდა ამ პარტიაში და მან ზურგი აქცია მას.

არალეგალური ცეკა ამას ასე ადვილად ვერ მოინელებდა. მან გადასწყვიტა ტერორისათვის მიემართა. და მის ამგვარ თავხედურ ნაბიჯის პირველ მსხვერპლად დაეცა ამხ. ილარიონი 24 დეკემბერს 1924 წ.

ამხ. ილარიონის ვერაგულ მკვლელობით არალეგალურ ცეკამ წინააღმდეგ შედეგს მიაღწია. მას ამის შემდეგ უფრო შემოეცალა ვინც კიდევ დარჩენილიყო მის გარშემო.

ამხ. გიორგაძის სახელს-კი ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებს ქართველი მშრომელი ხალხი და მასთან ერთად მოიგონებს მენშევიკურ ცეკას მორიგ საზიზღრობას.

ნ. ჩლაიძე.

## ვ. ქაიხოსროშვილი.

ამხ. ვანო ქაიხოსროშვილი დაიბადა სოფ. საგარეჯოში 1883 წელს. მამა მისი სოფლის ღარიბი გლეხი იყო. ამიტომ ვანოს პატარაობიდანვე მოუხდა ქალაქად გასვლა და ლუკმაპურის თავისი ხელით შოპოება.

16 წლის იყო ამხ. ვანო, როდესაც ის თბილისში ჩამოვიდა ხუთი წლის განმავლობაში უპატრონო და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ვანო დიდ გაჭირვებას განიცდიდა მისთვის უცხო და უცნობ ქალაქში.

იმ ხანებში თბილისში მუშაობდა კონკა, სადაც ამხ. ვანო შევიდა კონდუქტორათ. სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ის ამ თანამდებობაზე.

ვანო ბუნებით დინჯი და გონიერი ადამიანი იყო. მუშათა წრეებში მოხვედრისთანავე, ის მჭიდროთ უახლოვდება არალეგალურ სოც-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და 1900 წლიდან უკვე პარტიის აქტიური წევრია. კონკის ადმინისტრაციამ მალე გაუგო ამხ. ქაიხოსროშვილს ამის შესახებ და ის სამსახურიდან დაითხოვა.

ვანო მაინც არ სწყვეტს კავშირს ორგანიზაციასთან და ახალ თანამდებობაზე, ოფიცეროთა საზოგადოებაში ნოქრათ გადასვლის შემდეგ, კიდევ მეტი ენერგიით განაგრძობს პარტიაში მუშაობას.

1905 წლის რევოლიუციის დროს ის გარე კახეთის წითელ რაზმის, ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრთაგანია. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ის რჩება სოფლად და ენერგიულათ მუშაობს კოოპერატივებში.

1917 წლის რევოლიუციამ ამხ. ვანო, როგორც ძველი მუშა, მოძრაობის სათავეში მოაქცია და ის დაუღალავათ მუშაობს პარტიულ, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე.

მას ირჩევენ მაზრის პარტიულ კომიტეტის წევრად და ავალებენ მრავალ საპასუხისმგებლო საქმეს.



ვ. ქაიხოსროშვილი.

1923 წ. დაწყებულ მოძრაობაში ის, როგორც ძველი რევოლიუციონერი, მხურვალე მონაწილეობას იღებს პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციებზე.

ის, როგორც მუდამ, მაშინაც სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას სოფლად და უადვილებდა მშრომელ გლეხობას იმ გზით წასვლას, საითაც მიუთითებდა მას მისი რევოლიუციონური წარსული და მუშური შეგნება.

მაგრამ მტრის მუხთალმა ხელმა მას მუხანათურად გული გაუგმირა 1924 წ. 5 იანვარს და უდროოთ გამოსტაცა გარე კახეთის გლეხობას ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი.

მენშევიკურ ცეკამ, რომლის ტყვიამაც იმსხვერპლა გულწრფელი და თავგანწირული ძველი რევოლიუციონერი, ამით მშრომელ ხალხის მეტი რისხვა დაიმსახურა.

ამხ. ვანო ქაიხოსროშვილის სასიკვდილოთ გასროლილი ტყვია საბედისწერო შეიქნა მენშევიკურ ცეკასათვის. მან წუთი სოფელს გამოასალმა ჩვენი საუკეთესო ამხანაგთაგანი, მაგრამ არც ნაკლები ზიანი მიაყენა ავანტიურის გზაზე შემდგარ საკუთარ თავს.

ტურა.

## К годовщине.

Ровно год тому назад, 25 августа, в Тифлисе состоялся с'езд рабочих и крестьян членов с.-д. р. п. меньшевиков, которые на районных собраниях и районных конференц. предшествовавших этому с,езду, поставили вопрос, быть или не быть партии.

Каждый из участников с,езда ставил этот вопрос и на-едине с самим собою и со своими единомышленниками по партии. Что делать? как быть? Оставаться ли в рядах того политического течения, которое активно мешает развитии мировой революции или уйти от этого течения, влиться в ряды борющегося пролетариата и всячески помогать, развивать, толкать и катить эту революцию дальше?

Вот так стоял перед нами вопрос год тому назад.

Мы, рабочие, ставившие всегда своей конечной целью борьбы международный социализм, оказались сплоченными в этом вопросе и наш рабочий инстинкт ясно подсказал нам стать в ряды пролетариата против мировой буржуазии. И мы, считая себя революционерами, отдавшими десятки лет этому делу, смело и определенно заявили на с,езде: мы с мировым пролетариатом, мы с III интернационалом, со штабом мировой революции. Путь же II интернационала отвергаем. Так заявили представители 12 ти тысяч рабочих покинувших ряды партии и этим ликвидировавших ее.

И напрасно они, т. е. бывшие лидеры, обивакт пороги европейской буржуазии, чтобы восстановить былое свое величие.

Напрасно они устами Чхеидзе на собрании в женевском университете вытащили весь старый заржавленный арсенал из истории прошлого Грузии.

Если в вас осталась хоть частица учения Маркса, то вспомните лозунг, данный им рабочему классу: Пролетарии всех стран, соединяйтесь! и не коверкайте этого лозунга в пользу соглашательства, в пользу шовинизма.

Точную дату я сейчас не помню.

В 1903 или 1905 г., во время всеобщей забастовки, на митинге железнодорожного депо, в Батуме, Чхеидзе предупреждал нас— рабочих, что идущие с нами, с рабочими, в борьбе против самодержавия покинут нас и предадут наши интересы в предстоящей трудной борьбе труда с капиталом. Вероятно тогда Чхеидзе не подозревал, что сам он скатится в эту яму.

Теперь когда идет ожесточенная борьба труда с капиталом, он и ему подобные не с нами, он в стане врагов пролетариата.

Наш долг, долг борющихся рабочих, сказать в эту годовщину тем, которые еще слепо верят во II интернационал, что правильный путь борьбы за интересы пролетариата, это развевающиеся знамена III интернационала и к этому мы их зовем.

Рабочий Лапкин.

# ყრილობის წერილი ნ. ჟორდანიასადმი















წერილის ავტორები:

ანზ. სანდრო ფარნიევი



აკ. ჰყონია

# 1921 წლიდან-1924 წლამდე.

1921 წელი საბედისწერო წელია ოდესღაც მძლავრი და მზისებურ სისპეტაკით მბრწყინავი საქ. ს.-დ. მ. პარტიის ისტორიაში. ძალა-უფლების დაკარგვისთანავე ამ პარტიამ დაჰკარგა მუშათა კლასის იდეალები, უღალატა თავის ძველ პრინციპებს და შესდგა ფეხი გადაგვარების გზაზე. ვინ წარმოიდგენდა მძლავრი პოლიტიკური პარტიის ისე დაწვრილმანებას, რომ ფუჭ ოცნებობის მეტი საიმედო აღარა ქონოდა რა. ეხლა კი ვინ არ იცის, რომ ხავს მოდებულ პარტიის გულში ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მხოლოთ ერთი საიმედო ნაპერწკალი ღა ღვივის, რომელსაც უცხოეთის „ინტერვენცია“ ეწოდება. ამ „ინტერვენციაზე“ აგებული ჰორებით ასაზრდოებდა მენშ. ცეკა მის მიმდევარ მასას. ნათქვამია ძაფი მუდამ ერთ მხარეს გრეხას ვერ აიტანს და მით მალე გადმოიგრიხება, რაც უფრო ძლიერ დაგრეხილი იქნებაო. ეს სავსებით გამართლდა ქართულ სოც-დემოკრატიაზე. რაც მორს მიდიოდა ის წმინდა რევოლუციურ გზიდან, რაც უფრო შორდებოდა მუშათა კლასის ისტორიულ დანიშნულების გზას, მით უფრო იდგამდა ფეხს მის რიგებში სასოწარკვეთილების, უიმედობის სულისკვეთება და პარტიის აღსასრული ახლოვდებოდა. ერთმა წელმა გავლო იმ დღიდან, რაც სამუდამოთ დაედო ზღვარი ამ უკან დახევას, მენშევიკ მუშების და გლეხების გზააბნეულობას.

**1923 წ. 26** აგვისტოს შემდეგ რღვევის როცესი კიდევ მეტი სისწრაფით წავიდა წინ ყრილობის გარეთ მოყოლილ წრეებში. პარტია, რომლის რევოლიუციონური ჩირაღდანი ათეულ წლობით წინ მიუძღოდა ამიერ-კავკასიის და ქართველ მშრომელ ხალხს რეაქციასთან ბრძოლაში, საცოდავ, საბრალო მდგომარეობაში ჩავარდა, ლაფში ამოისვარა რევოლიუციონური დროშა და მდიდარი წარსული რეფორმიზმის ჭაობში ჩაახრჩო.

ეხლა, ერთი წლის დამლევს, საკმაოთ დაგროვილი ფაქტები საშვალებას იძლევიან ამ ერთი წლის განვლილ გზის შესაფასებლათ. ახალგაზრდა მარქსისტების გამოფხიზლება, სეით დევდარიანის პარტიიდან გამოსვლა, ამხ. გიორგაძის და ქაიხოსროშვილი მკვლელობა, საზღვარ-გარეთიდან ჩამოსულ მთელ რიგ გასტროლორების ჩეკაში მეორე დღესვე მომწყვდევა, ნ. ჟორდანიას წერილები აჯანყების შესახებ და ბევრი კიდევ სხვა—აი, ის უამრავი ფაქტები, რომლითაც ხასიათთდება მენშევიკურ პარტიის რღვევის გაგრძელება, რომელიც ამართლებს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ამასთან ერთად არ შეიძლება „დიდი მოწიწებით არ აღინიშნოს“ კარლო ჩხეიძის პასტორულ ქადაგებით გამოსვლა ჟენევის უნივერსიტეტში. ადამიანი, რომელიც წარსულში მედგრათ ებრძოდა კაპიტალისტების ერთ-ერთ დასაყრდნობ ბოძს ეკლესიას, ეხლა თავის გამოსვლას საზღვარ-გარეთ ამყარებს სამღვდელოების დაცვაზე და ამით უნდა საბჭოთა ხელისუფლებას სახელი გაუტეხოს ბურჟუაზიული ევროპის თვალში.

კიდევ უფრო მეტად აღსანიშნავია ის კომბინაციები, რომელიც ჩაისახა მენშევიზმის მამამთავარის ტვინის გრეხილებში: „მთები აჯანყდნენ, ადგეს აზერბეიჯანი, რუსეთისაკენ გზები გადიჭრას, საქართველო ჩაუდგეს სათავეში ამ მოძრაობას და ევროპაც წამოგეშველებათ“ო. ნუ თუ ყველაფერი ეს ძველი, რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის გზის ხელაღებით უარყოფა არ არის? ან რას გვეუბნება ჩვენ ნ. ჟორდანიას საპასუხო წერილი ყოფ. მენშევიკებისადმი. ასე რომ ამ დიად დღიდან, 28 აგვისტოდან, ერთი წლის გასვლის შემდეგ, ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ მენ. პარტიამ გადაგვარების დასასრულ წერტილს მიაღწია. და ყოფ. მენშ. ნაბიჯი ისტორიამ სავსებით გაამართლა. არ გამართლდა, სინამდვილეს მოკლებული აღმოჩნდა ის, რასაც ცეკა ამბობდა: „პარტიას სტოვებენ ფორმალურათ, ფაქტიურათ კი ისევ ჩვენთან არიანო“ თუმცა იყო თითო-ოროლა ასეთი შემთხვევები, როცა ხელმოწერის შემდეგ კვლავ უბრუნდებოდნენ მათ, მაგრამ მაგისთანა პოლიტიკოსების ყოფნას არ ყოფნა სჯობია. „Баба с телеги—кобыле легче“.

მენშევიკურ პარტიის დღევანდელ მდგომარეობაზე სრულიად სამართლიანად ითქმის: „Обломки прошлого величия“.

**ვასო ა. ფარნიევი.**



ამხ. ს. ფარნიევი და რუბენი ყრილობის წლის თავზე.

# გავიმიჯნოთ

დღიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმოშობისა ორგანიზაციაში ირჩეოდა ორი ფრთა—ორგვარი მიმდინარეობა, მაგრამ ეს მეტად თვალსაჩინო შეიქნა მას შემდეგ, როცა არტიას გაფართოებული სამოქმედო ასპარეზი დაურჩა, როცა თეორია პრაქტიკაში გადაიტანა, როცა ვიწრო უჯრედულ პროპაგანდულ მუშაობისაგან დაიწყო გადასვლა ფართო მასიურ აგიტაციაზე, რამაც ნათლად გამოააშკარავა შინაგანი წინააღმდეგობა. განსაკუთრებით აქედან იწყება ამ ორ მიმართულებათა აზრთა შეჯახება, აზრთა სხვადასხვაობა; ერთი მიმართულება გამოდის „ეკონომიზმის“ და რევიზიონიზმის იდეოლოგებათ, მეორე კი რევოლიციონურ ორტოდოქსალურ მარქსიზმის მატარებლად. ბრძოლის პროცესში ასეთი სხვადასხვაობა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში იჩენდა თავს, მაგრამ 1900 წელში პარიზის საერთაშორისო კონგრესზე და 1903 წელში მე-2 პარტიულ ყრილობაზე თავის სირთულით წარმოიშვა აღნიშნული უთანხმოების საკითხი. ძირ ბუდიანათ მისი აღმოფხვრა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ამას ქონდა და აქვს იდეოლოგიურ ფსიქოლოგიური მიზეზი. თუ დავძენთ იმ გარემოებას, რომ ევროპის, განსაკუთრებით ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის ბურჟუაზიის პოლიტიკა მუშათა კლასზე დიდ გავლენას ახდენდა და უკანასკნელი მერყეობას განიცდიდა, თქმა არ უნდა, ეს აქაურ მერყევ ინტელენგენციაზე საგრძნობ გავლენას მოახდენდა.

საქართველოს სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მხგავს მერყევ ინტელიგენციას. ის ევლინება სოციალისტურ სამოსელში გახვეული მუშათა კლასს. გამოდის ეროვნულ საკითხის იდეოლოგათ და ვითომ ამის იოგვლივ აერთიანებს ქართველ ერს. არსებითად კი ისინი გახდნენ ცხოვრების უმგვანო შვილები და შეიქნენ შუამავალი ბურჟუაზიის, პროლეტარიატის და კაპიტალსა და შრომის შორის. ამათ გადააჭარბეს ეკონომიზმს და რევიზიონიზმს და ვიწრო შოვინისტური ზრახვების საშვალებით სცდილობენ საქართველოს სინამდვილეში ეს ორი მოპირდაპირე შეურიგებელი მტრები ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ.

ასეთი „მშვენიერი მარქსისტები“ არა კლასთა დაპირდაპირებით, არამედ ეროვნულ გაერთიანების საშვალებით, მზგავსათ ძველი სამღვდელოებისა, უქადაგებდენ ხალხს სოციალიზმს




# ჩვენი ჟურნალი.

სრულდება წელიწადი.

25 აგვისტო განვლილი გზის გადათვალიერების დღეა.

ამ დღეს არ არის ზედმეტი მოვიხედოთ უკან, მოვიგონოთ ჩვენი ჟურნალის ისტორია, მის მიერ განვლილი გზა.....

ჯერ კიდევ მოსამზადებელი ხანაა.

დელეგატები ჩამოდიან საქართველოს ყოველ კუთხიდგან.

არალეგალური ცეკა, სასტიკ კომპანიას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ.

ლანძღვა გინებით აღვსილი ფურცლები ერთი მეორეს ცვლიან.

მათ პასუხი სჭირდება.

ესეც რომ არ იყოს, ჩქარა ყრილობა მუშაობას დაიწყებს.

მთელი მშრომელი საქართველო ადევნებს მას თვალ-ყურს. საჭიროა მისი მუშაობის შესახებ ცნობების მოწოდება, საჭიროა ინფორმაცია.

იწყებს გამოსლას „ბიულეტენი“ ქართულ და რუსულ ენებზე.

ამხ. აკ. ჭყონია ხელმძღვანელობს ამ საქმეს არჩ. რუხაძესთან და ვარდოიანთან ერთად. იწყება, გაცხარებული კამათი არალეგალურ ცეკასთან, მაგრამ ჯერ ყრილობა იწყებს მუშაობაობას და ბიულეტენიც ყრილობის ანგარიშებს უნდება. დამთავრდა ყრილობა.

სანიციატივო ბიურო იქნა გამოყოფილი.

იმ ბიუროს ყრილობამ ფრიად დიდი მოვალეობა დააკისრა.

საქართველოში დაწყებულ მოძრაობის ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე გადატანა.

„ბიულეტენს“ ყოველკვირეული „მოამბე“ და „Вестник“-ი სცვლის. უკვე იწყება სისტემატიური, დამჯდარი მუშაობა.

ყრილობის ციებ—ცხელების დამთავრების შემდეგ იწყება საქმიანი მუშაობა. ჟურნალი არკვევს ახალ პოზიციას, ახალ გზას აშუქებს.

ეხმარება ჯერ კიდევ გამოურკვეველ ამხანაგებს გზის გამონახვაში.

ჟურნალს ამ ხანებში კოლეგია მეთაურობს. ს. ფარნიევი, კ. შენგელია, რუხაძე. ჩლაიძე, ვარდოია-ნი,

6 ნომერი გამოვიდა „Вестник“-ის მე 7-ზე დაიხურა.

მიზეზი?

რუსეთიდგან დაბრუნდნენ ამხანაგები, „ალარავინ არის დასარღვევი. უკვე დარღვეულაო“, სთქვეს.

განვაგრძობთ „მოამბეს“ ქართულ ენაზე...

მე 10 ნომრიდგან მოამბეს სახელი ეცვლება, იწყებს გამოსვლას „სიმართლის ხმა“.

რედ. კოლეგიას ახალი წევრი შეემატა, თოფაძე.

ჟურნალის ფაქტიური რედაქტორობა კვირეულ მიმოხილვის და საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება ამხ. აკაკი სიგუას.

ჟურნალის გარშემო თავს იყრიან: აკაკი კალაძე. როდ. ქორდია, ხინველი, გომართელი, ჯიბლაძე მ. იტრიევი, ნიკო, მიკირტუმოვი, დავითიანი, ალიხანოვი, ლაპკინი, სიხარულიძე, ცერცვაძე და კიდევ მთელი რიგი მუშა-კორესპონდენტები.

ჟურნალს პროვინციაშიც საკმაოთ ბევრი თანამგრძნობლები გამოუჩდა.

დაბოლოს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ჟურნალს სათავეში ისევ აკაკი ჭყონია უდგება. „სიმართლის ხმა“ უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ავად თუ კარგათ მან დღემდის მოაღწია და დღეს წლის თავს ისიც დღესასწაულობს, მართალია მას ბევრი ნაკლი ჰქონდა, ბევრი დარჩა გაუკეთებელი, გაუშუქებელი, მაგრამ ისიც, რაც გაკეთდა დიდ მიღწევათ უნდა ჩავთვალოთ, დიდ გამარჯვებათ.—

თუ მხედველობიდგან არ გაუშვებთ იმას, რომ **ინტელიგენცია ჩვენს რიგებს გაურბოდა** და ჟურნალი განსაკუთრებით მუშების წერილებით სულდგმულობდა.

**ვ. ბერაძე.**

---

გადასვლას. მას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საქართველო მოსწყდა რუსეთს, ჩამოშორდა მის თანამებრძოლ პროლეტარიატს, რომლის წინააღმდეგ აღიმართა შიგნით და გარეთ შავი რეაქცია ამრიგად საქართველო მოწყდა და განცალკევდა არამც თუ მარტო გეოგრაფიულად, არამედ იდეურ-პოლიტიკურად. ამითი მათ წაერთვად საშვალება და მოესპოთ ნიადაგი რევოლიუციის პროცესში სწორი გეზის შეტანისა. ამ სახით სოციალ-დემოკრატია ხანგრძლივათ დარჩა ბატონ-პატრონი პატარა საქართველოსი და ის ოცნებობდა მარტო მის მთლიანობაზე, ძველ ისტორიულ საქართველოს აღდგენაზე. მან გადააჭარბა ეროვნულ პოლიტიკაში სოციალისტ-ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს. გაითქვიფა რა მართველობის პოლიტიკაში, გახდა მსხვერპლი უაზრო პოლიტიკის. ყოველივე ამის შემდგომ კი საქართველოს სინამდვილის ბრძოლის პროცეsში გაბზარული ოჯახი კვლავ გამრთელდა. 25 აგვისტოს ირგვლივ შემოკრბა ყველა, ვისაც სწამდა რევოლიუციონური მარქსიზმი. მერყევი ინტელიგენცია და მის გავლენის ქვეშ მყოფ მუშების ნაწილი კვლავ ძველ გზას ადგანან, კიდევ ვერ განშორებიან უტოპიურ რევიზიონიზმს, შოვინიზმს, შუამავლის როლს და კვლავ ოცნებობენ საბჭოთა ხელისუფლების დანგრევაზე. მის ნანგრევებზე კი დემოკრატიულ სახელმწიფოს აღდგენას.

სამწუხაროთ ისინი ასეთ მათ გამოსვლებს ამართლებენ მარქსისტული თვალსაზრისით, მაგრამ სად გაუგონიათ მათ ან როდის უთქვამს მარქსს, რომ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის დროს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა სოციალ-დემოკრატიას სჭეროდეს ხელში, სად, „კაპიტალის“ რომელ ტომში, რომელ გვერდზე წაუკითხავს მათ, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის თანამშრომლობით—სოციალიზმის საქმე წინმიდიოდეს?

საქართველოში დღეს მუშათა კლასის დაუძინებელი მტერი, მემარჯვენე, პარტიებიც აღარ იჩენენ აქტივობას ვინაიდან მის საქმეს აკეთებს სოციალ-დემოკრატია. აშკარაა რომ მუშურმა ინტელიგეაციამ და მუშებმა ასეთი ხაზი და ასეთი პოლიტიკა უნდა დასტოვოს და დაადგეს რევოლიუციონურ მარქსიზმის გზას.

აქეთ მოუხმობს მათ 25 აგვისტოს ყრილობის მიერ აღებული ხაზი, და ამ ერთი წლის თავზე მათ, ვინც ამას არ მოისურვებს, მშრომელმა კლასმა უნდა უთხრას: განდექით ხალხისაგან, თქვენ ვერ იქნებით ჩვენი ღირსეული თანამებრძოლებიო.

**კალენიკე გოგიბერიძე.**



„**სიმართლის ხმის**“ **სარედაქციო კოლეგია**. სხედან: ამხ-ბი: ნ. ჩლაიძე, ს. ფარნიევი, კ. თოფაძე. დგანან: აკ. ჭყონია, გ. ვარდოიანი და ვასო ფარნიევი (თანამშრომელი). *)

# მოგონებანი.

ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში, როგორც ყველა ამხანაგები, მეც ალმაცერად ვუყურებდი ყველა იმ კომუნისტებს, რომლებთანაც 1906 წლიდან, როცა თფილისის რკინის გზის დეპოში დავიწყე მუშაობა, შეთვისებული და შესისხლხორცებული ვიყავი. 1921 წლამდის მიუხედავათ, იმისა, რომ ეს ძველი ამხანაგები გაშმაგებულნი გვებრძოდენ, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მე მაინც ამხანაგურ განწყობილებაში ვიყავი მათთან და მეტ პატივისცემით ვექცეოდი, ვიდრე ბევრ მენშევიკებს, რომლებიც ეწერებოდენ პარტიაში მხოლოთ იმიტომ, რომ მენშევიკური პარტია ხელისუფლების პარტია იყო და ამით თავიანთ პირად მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდენ. ყველა რევოლიუციონერი მუშა მეტ პატივსა სცემს იმ რევოლიუციონერს, რომელსაც მასთან ერთათ ათეული წლების განმავლობაში გადაუტანია ჭირვარამი არალეგალურ მუშაობის დროს. მიუხედავად ყველა ამისა, ვიმეორებ, დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, გულნატკენათ ვუყურებდი ყველა კომუნისტებს. იმდენად ვიყავი გაბოროტებული და გაჯავრებული, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყოველივე დადებითი მხარეები უარყოფითათ მეჩვენებოდა. გადიოდა თვეები, ვმუშაობდი მემანქანეთ და ძალიან დაკვირვებით ვადევნებდი თვალყურს საქართველოს მდგომარეობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასისას. რაც დრო მიდიოდა, უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და ალმშენებლობითი მუშაობა წინ მიიწევდა. მიუხედავათ ამისა, მე მაინც ვერ შევრიგებოდი არსებულ ხელისუფლებას და ვებრძოდი მას, რასაც მოყვა ჩემი დაპატიმრება.

20 აპრილს, 1922 წ., თანახმათ პარტიის დავალებისა, მოვაწყვე მიტინგი დეპო და მთავარ სახელოსნოს მუშებისა. და სწორეთ აქ გამოირკვა ჩემთვის, რომ ქართულ მენშევიზმს ფართე მასაში ნიადაგი გამოცლილი ჰქონდა.

ზოგიერთების გამონაკლისით, მთელი მიტინგი გულგრილათ შეხვდენ ჩემს დაპატიმრებას. არა ნაკლები საყურადღებოა ის მომენტი, თუ რა ლოზუნგებით უნდა გავსულიყავი მიტინგზე. ეს გახლავთ: „ქართველი ერი“ და „ერის ბელადი“, არც ერთი სიტყვა სოციალისტური და რევოლიუციონური. ეს ისე საჩქაროთ მოხდა ჩემთვის, რომ დრო არა მქონია მომეფიქრებინა რამდენათ მისაღები იყო ჩემთვის, როგორც მუშისთვის, პროლეტარისთვის და რევოლიუციონერისთვის ასეთი ლოზუნგით გასვლა მუშებში? მაგრამ, ვისაც ძველათ უმუშავნია არალეგალურ ორგანიზაციებში, დამეთანხმება, რომ პარტიული დისციპლინა მუდამ ყველაზე მაღლა იდგა და ბევრჯერ ისეთ საქმეს გაგაკეთებინებდა, რომელსაც შეიძლება პირადათ არ იზიარებდი. აი, აქედან, ამ მომენტიდან იწყება ჩემ მიერ დაფიქრება და აწონდაწონვა მთელი ჩვენი და პირადათ ჩემი მუშაობისა. რაც დრო გადის უფრო ღრმათა ვრწმუნდები იმაში, რომ ჩვენი მუშაობა სწორეა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს პარტიას გამოუცვლით სახელს, ესე იგი, სოციალისტურს და მუშურს ამოვშლით და დავტოვებთ **საქართველოს დემოკრატიულ პარტიას.,,**

ციხეში მიყვანისთანავე ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, ეს გახლავთ ყოველ სალამოს პატიმართა ლოცვა, „დიდების“ ჰიმნის მღერა. ეს ჩემი შეხედულება საიდუმლოთ გაუზიარე ერთ ორ ამხანაგ ძველ მუშებს. ეს ამხანაგები დამეთანხმენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს საკითხი დადგა ვიწრო წრეში. საკითხი იყო დასმული შემდეგნაირათ: ჩვენ, როგორც მუშები და რ ვოლიუციონერები უნდა ვმღეროდეთ „დიდებას“ თუ ინტერნაციონალს? ძველი მუშები, რასაკვირველია იმ აზრისა იყვნენ, რომ ჩვენი ჰმნი არის ინტერნაციონალი, მაგრამ, როგორც მუდამ სჩვევია მენშევიკურ ბუნებას, მოხდა შემდეგი შეთანხმება: ერთ სალამოს ემღერათ „დიდება“ და მეორე სალამოს კი ინტერნაციონალი. ამრიგათ მიმდინარეობდა დღეები და გული თანდათან მიცივდე-

*) ამხ. ა. რუხაძე ავათმყოფობის გამო კოლეგიის საერთო ჯგუფში არ მოყვა.



„სიმართლის ხმის“ თანამშრომლები.

ბოდა პარტიაზე. მაგრამ მაინც ვმუშაობდი პარტიაში და არავის არ ვაძლევდი საბუთს, რომ შეემჩნიათ ჩემში გარდატეხის პროცესი.

ცამეტი თვის პატიმრობის შემდეგ მოხდა ჩემი განთავისუფლება. მაშინვე ვინახულე ერთი ძველი ამხანაგი, რომელიც არალეგალურათ მუშაობდა და გაუზიარე ჩემი შეხედულება. ამ ამხანაგმა ნამდვილი მუშური პასუხი გამცა. (სხვათაშორის ის ამხანაგი ეხლა ჩვენს რიგებშია) მან მითხრა: „როგორც შენმა რევოლიუციონურმა და მუშურმა სინდისმა გიკარნახოს, ისეთ გზას დაადექიო. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონვის შემდეგ, ვაცხადებ პრესის საშვალებით, რომ ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს მენშევიკურ პარტიასთან. ეს განცხადება იყო ჩემ მიერ დაწერილი სრულის დაფიქრებით და შეგნებით.

ჩემი პატიმრობის—ცამეტი თვის განმავლობაში დიდი ცვლილება იყო მომხდარი. თფილისს თითქმის ველარ ვცნობდი, აღმშენებლობითი მუშაობა გაათკეცებულიყო. მუშებს რომ ვეკითხებოდი მათი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, დიდი უმრავლესობა კმაყოფილი იყო შედარებით განვლილ წლებთან და თითქმის ყველა მიმტკიცებდა, რომ ჩვენი ტაქტიკა და ბრძოლა შემცდარი არის.

ამას მოყვა რკინის გზელთა ყოფილ მენშევიკების კონფერენცია. რა იყო მიზეზი და რამ გამოიწვია ამ კონფერენციის მოწვევა? არალეგალურმა მენშევიკურმა ცეკამ გამოუშვა ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ყველა ის, ვინც გადის პარტიიდან (აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ძალიან გახშირდა მასიური გამოსვლები პარტიიდან) არიან რენეგატები, პასიური ელემენტი, მშიშარა, ლაჩრები და მოღალატეები. ჩვენ გვინდოდა გამოგვერკვია რამდენათ მართალი იყო არალეგალური ცეკა.

რას ვხედავთ კონფერენციაზე? თუ კი ვინმეს ვიცნობდი 1905 წლიდან პარტიის წევრს, ორგანიზატორს, ძველ რევოლიუციონერს და ხელმძღვანელს რკინის გზის მუშებისას, ყველა ამ კონფერენციაზე არის.

რა სთქვეს ამ დელეგატებმა, როცა გაეცვნენ ცეკას ფურცელს? სთქვეს ის, რაც უნდა ეთქვა ყველა ძველ რევოლიუციონერ მუშას, რომ მოღალატე და არამკითხე არის არალეგალური ცეკა და არა ჩვენო, ვინაიდან ჩვენ ის არ აგვირჩევია და თავის თავი თვითონ დაუნიშნიათო. ამავე დროს მოხდა გადაფასება პარტიის ხაზის და კონფერენციამ ერთხმათ უარყო ყველა ის შეცდომები, რომელიც ქონდა წარსულში პარტიას და საქვეყნოთ აღიარა, რომ მენშევიკურ პარტიის პირველი რაიონის ორგანიზაციებს დაშლილათ აცხადებს და დგება მე III კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

აგრეთვე კონფერენციამ საჭიროთ დაინახა მოწვეული ყოფილიყო თფილისის და შემდეგ სრულიათ საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელიც მოხდა 25 აგვისტოს 1923 წ.. ეს დღე აღსანიშნავი დღეა. ამ დღეს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში აქტიურათ მუშაობდენ მენშევიკურ პარტიაში, საქვეყნოთ განაცხადეს, რომ ისინი უარყოფენ მეშევიკურ გზას და დგებიან პროლეტარიატის დიქტატურის პლათფორმაზე, მე III კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. აი რა სთქვა საბოლოოთ სრულიათ საქართველოს მენშევიკურ პარტიის ყრილობამ. ეს იყო, ვიმეორებ, 25 აგვისტოს 1923 წელი და ამ დღეს არასოდეს არ დაივიწყებს საქართველოს მშრომელი ხალხი, საქართველოს პროლეტარიატი.

ვ. სიხარულიძე.

---

# На всегрузинском с'езде.

(Воспоминания).

Год тому назад в Тифлисе собрался с,езд б. меньшевиков Грузии.

Еще накануне открытия с,езда, в маленькой комнате гостинницы „Ной“, можно было видеть приезжих товарищей из разных концов Грузии. Какой у всех серьезный и вдумчивый вид, все хорошо понимают ответственность момента, они знают зачем собрались и что значит решить вопрос о бытье или небытье партии. Среди них очень многих хорошо знаю, но со дня советизации Грузии я не имел возможности с ними встречаться. Есть также те, с которыми я встречался и в чека и в метехи. Меня ин-



„სიმართლის ხმის“ ასოთ-ამწყობები.

тересует один вопрос: есть ли среди них сторонники подполн. ц. к. Но из разговоров очень трудно узнать.

Агенты подпольного ц. к. ныряют всюду, для того, чтобы найти сочувствующих, но, увы, их приходится искать с фонарем. За несколько дней до С'езда, я получил письмо, где мне предлагалось подчиниться распоряжениям подпольного ц. к. Я, конечно, ответил отказом, так как я считал себя совершенно свободным в своих действиях и обязанным подчиниться решениям городской конференции.

Из бесед с товарищами выяснилось, что некоторые товарищи тоже получали подобные предложения, но они тоже оставляли их без ответа.

Настал день с,езда. Что творится у театра Руставели. Как много народу здесь: и друзья и враги, и обывательщина. Весь проход запружен, окружили со всех сторон вход театра, даже делегатам очень трудно пройти. Всякий хочет попасть в помещение, и каждый из них по своему хочет использовать свое присутствие. Друзья конечно радуются тому, что наконец будет положен предел фракционной борьбе, борьбе не на жизнь, а на смерть. Враги-же на—оборот: ждут провала, они еще верят в силу подпольного ц. к., но, увы, их надежда разбилась на мощность и спайку сознательных рабочих.

В корридоре театра мне и одному товарищу пришлось сцепиться с нашими противниками, которые верили в провал с'езда: К радости должен отметить что эти товарищи сейчас с нами. Они вскоре после этого прозрели. Сейчас они одни из лучших работников в наших рядах.

И не только эта маленькая группа, которая так яростно защищала позицию подпольного ц. к. и верила в его силу, а многие и многие перешли на платформу принятую нами 25 августа.

И вот, если после 12 месяцев подведем итого, то увидим, что ряды 12.000 рабочих, принявшие платформу III коминтерна расширились на много. Это ест доказательство того, что позиция занятая все груз.с,ездом была правильна.

В момент открытия с,езда в зал входят освобожденные из Метеха товарищи. Какая радость, какое торжество во всех сердцах. Мне кажется, что даже противники обрадовались этому. Среди них один товарищ, которого я очень хорошо знаю. С этим товарищем мы должны были отправиться делегатами в Советскую Россию еще при господстве меньшевистского правительства...

В день годовщины с,езда искренний товарищеский привет всем тем, которые являются создателями этого исторического акта в жизни трудящихся Грузии.

рабочий Степан Кайтаджян.



ლენინიზმის შემსწავლი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ბესო ლომინაძე.

# ჩვენ გავიმარჯვეთ.

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გასულ წლის, 25 აგვისტოს 1923 წელს, უკანასკნელათ გამოეთხოვა ათასობით და ათი ათასობით პარტიის საუკეთესო მშრომელი ნაწილი. საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობა, რომელმაც ჯვარი დაუსვა მენშევიკურ პარტიას და გაუქმებულათ გამოაცხადა ის, აშკარა მაჩვენებელი იყო იმისი, რომ მენშევიკურმა მოძრაობამ მშრომელი მასები სრული დაღუპვის კარამდი მიიყვანა.

მე მახსოვს ჯერკიდევ ყრილობამდი, როცა რამოდენიმე ამხანაგები ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩვენი პარტიის მრუდე პოლიტიკის შესახებ გვქონდა განუწყვეტლივ ლაპარაკი. ჩვენ, მუშები, ვუკვირდებოდით დღევანდელ ცხოვრებას და იმ დასკვნამდე მიკდიოდით, რომ ჩვენ მშრომელ კლასის წინააღმდეგ მოღალატის როლს ვასრულებდით. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ ჩვენი პარტია აღარ იყო მუშური პარტია. ჩვენ ვასრულებდით ევროპის იმპერიალისტების სურვილებს. ამის დამამტკიცებელი საბუთია პარიტეტული კომიტეტის დაარსება ჩოლოყაშვილის და სხვა ბანდების მოქმედება, ფრანსუა ხომერიკის დავალებებით ჩამოსვლა და სხვები. ჩვენ ყველა ეს გვაღელვებდა და იმ დასკვნამდე მივდიოდით, რომ უნდა ზურგი შეგვექცია ბურჟუა-კაპიტალისტებისათვის და მივვეტოვებია შემცდარი გზით სიარული. ჩვენ ვხედავდით, რომ ჩვენ თვალწინ კეთდებოდა მუშების და გლეხების საკეთილდღეო საქმეები. ჩვენ ვხედავდით თუ როგორ გაიმართა წელში პროფკავშირები, რომელიც წინეთ, მენშევიკების ბატონობის დროს. სულს ღაფავდენ. ვხედავდით თუ რა მშვენიერათ იყო დაყენებული შრომის დაცვა, დაზღვევა, უმუშევრების დახმარება, გლეხებისათვის მიწების დარიგება, არხების გაყვანა, აღმშენებლობის საქმის აყვავება, შრომის უნარიანობის ამაღლება, კულტურული საქმიანობა, დანგრეული ხიდების სასწრაფოთ შეკეთება, მთელი აგარაკების მუშათა დასასვენებელ სახლებათ გადაკეთება და მრავალ სხვას. ყველა ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება მუშების და გლეხების საქმეს მეტი გაბედვით და ენერგიით ეკიდებოდენ, ვიდრე ამას ჩვენს დროს ჰქონდა ადგილი. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ დავძლიეთ პირად ქიშპობას და მივემხრით გუშინდელ მოწინააღმდეგეს, შევუერთდით და ფიცი დავდეთ, რომ ჩვენ ისეთივე თავდაგანწირული მებრძოლები ვიქნებით, როგორც ისინი. და ეს სურვილი ლიტონ სიტყვებათ არ დარჩენილა.

ასეთ გაბედულ ნაბიჯისათვის მთელი თავისი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ მომართა მენშევიკების ბანდიტურმა ცეკამ. მან ტერორით მოინდომა ჩვენი შეშინება და შუა გზაზე შეჩერება.

ჩვენ ამან უფრო გაგვახარა. ჩვენ გწყუროდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავის დადება, ჩვენი წარსული ცოდვების მოხდა, რაც ჩვენ უნებლიეთ ჩავიდინეთ პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ უყოყმანოდ, შეუპოვრათ განვაგრძეთ წინსვლა და ცეკას ასეთ მუქარას საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ მიმართულ გაასკეცებულ ენერგიით ვუპასუხეთ.

მენშევიკური ცეკა შეეცადა კიდეც მუქარის სისრულეში მოყვანას. მისი მუხანათური ტყვია პირველად ამხ. ი. გიორგაძეს მოხვდა. ამ ფაქტმა მთელი მშრომელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. მუშების რისხვა დაატყდა თავზე მენშევიკების ცეკას. გიორგაძეს გასვენება, რომელსაც დაესწრო მთელი თბილისის მუშები, იმის მაჩვენებელი იყო, რომ მშრომელი ხალხის სიმპატია ჩვენ მხარეზე არის. ამით არ



ყოფილ მენშევიკ. და ბოლშევიკ. ძველ ტერორისტების ჯგუფი.

დაკმაყოფილდა მენშევიკების ჯალათები და რამოდენიმე დღის შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს გარეკახეთის გლეხების საყვარელი შვილი, ჭირში და ლხინში მათთან მყოფი, ვანო ქაიხოსროშვილი. მაგრამ ყოველივე ცდა ამ მხრივ უნაყოფო გამოჩნდა. თვითეულ ჩვენ წინაალმდეგ გასროლილ ტყვიას მშრომელი მასა არალეგალურ ცეკასადმი ახალი აღშფოთებით უპასუხებდა და ისედაც შეთხელებული მენშევიკური პარტიის რიგები ელვის სისწრაფით იშლებოდა.

მენშევიკების ცეკა დამარცხდა. ვერ უშველა მას ტერორმა. პარტიის გამოსაცოცხლებლათ, მის სულის ჩასადგმელათ მათ დაიწყეს საზღვარ-გარეთიდან გასტროლიორების გამოწერა. ჩამოვიდა ხომერიკი, რამდენიმე ხნის შემდეგ გვესტუმრა ჩხიკვიშვილი, ნოდია, კახიანი და მათთან ერთად ჯუღელი.

მაგრამ მშრომელი ხალხი ფხიზლათ ხვდებოდა იმათ და მოსვლისთანავე ჩეკაში მიაბძანეს. ჩვენ დღეს, 25 აგვისტოს, ბრწყინვალე გამარჯვებით ვდღესასწაულობთ. ჩვენი რიგები დღეს სალ კლდესავით არის გამაგრებული, მტერი განართხულია მიწაზე. ჩვენ კი ათი ათასები მწყობრათ მივდივართ კომუნიზმისაკენ მე-III კომინტერნის გზით.

გაუმარჯოს მუშათა კლასის მბრწყინვალე ვარსკვლავს მე III კომინტერნს! გაუმარჯოს კომუნიზმს.;

ძირს მუშათა კლასის მოღალატე ყვითელი 2-რე ინტერნაციონალი!

ძირს მსოფლიოს კონტრევოლიუციის მსაზღდოებელი მენშევიზმი!

ქ. თოფაძე.

# 25 აგვისტოს რიჟრაჟზედ.

პაწია ოთახში ოდნავათ ბჟუტავს თუნუქის ლამფა. მიხა ჩაქუჩაძე, ძველი მუშა რევოლიუციონერი, რევოლიუციის ქარტეხილში გამოხარშული, 1924 წელს, 24 აგვისტოს, საწოლზედ ჩამომჯდარიყო და მძიმედ ჩაფიქრებული იყო. მას თვალწინ კინომატოგრაფიულ ლენტის სისწრაფით გადაეშალა თავისი წარსული ცხოვრება.

1900 წლიდან იგი იბრძვის მუშათა ინტერესებისათვის. მიხა, როგორც შეგნებული მუშა და კლასობრივ გრძნობით გამსჭვალული, არც ერთ საპროტესტო გამოსვლას, არც ერთ დემონსტრაციას არ მოჰკლებია. მას თავის გაჩხმარ ზურგზედ არა ერთხელ უგემნია ბაშიბუზუკ ყაზახთა მათრახი და ჟანდარმ-გოროდოვოების მუჯლუგუნი. მიხას ციხე-კატორღის სუსხიც არაერთხელ უგემნია.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, როცა მენშევიკური ხელისუფლება საქართველოში გამკვიდრდა, მიხამ გადაიკიდა თოფი და გვარდიაში დატრიალდა. ამის შემდეგ მას მოსვენება აღარ ჰქონია: აღარ დარჩა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომ ის არ ყოფილიყო სხვა და სხვა ფრონტებზედ, ბათუმში, საჩხერეში, ოსეთში, დუშეთში, ღელავში, ლაგოდეხში, წითელ-ხიდთან, ბორჩალოში, გაგრაში... და სად არ იყო ის! მას ეჭირა თოფი და ისვროდა განუწყვეტლივ მას არა ჰქონდა დრო რამეზედ ეფიქრნა, ანგარიში გაეწია სხვა და სხვა მოვლენებისათვის, ელვისებრ მიმდინარე ცხოვრების ვითარებაში გამორკვევა შეუძლებელი იყო.

— ევროპა არ დასთმობს ასეთ მოვლენას, — ეჩურჩულებოდა მას ამხანაგები, — შენ ნახე, მორჩებიან გერმანიის საკითხს და ჯავშნოსნები მოადგებიან ბათუმს.

მიხას სჯეროდა მათი სიტყვები... ბათუმს მართლაც მოადგა გემი. მიხას შეესხა ფრთები, სიხარულით ფეხზედ არ იდგა... მოელოდა ჯარის გადმოსვლას... მაგრამ ხომალდიდან გადმოსხდენ ჩასუქებული კომერსანტები საკვოიაჟებით, რომლითაც საქონლის ნიმუშები მოჰქონდათ... მიხა დაეცა სულით.

— ოო! ჩემო მიხა! ეს იციან ევროპიელებმა: ველურ ქვეყნებში ჯერ მღვდელს გააგზავნიან სახარებით, მერე ჯარს თოფ-ზარბაზნით და შემდეგ ვაჭარს; კულტურულ ქვეყანაში კი ჯერ ვაჭარს გააგზავნიან ხოლმე და მერე ჯარს თოფ-ზარბაზნით... ეხლა ვაჭარი მოვიდა და მალე მოჰყვება ჯარი, — იმედს აძლევდა მას ამხანაგები. ცხოვრება კი საშინელის სისწრაფით ვითარდებოდა, სწარმოებდა დიდი საალმშენებლო მუშაობა. ყველა დატრიალდა, ყველა დაფაცურდა: სოფლად გაჰყავდათ არხები, გზები, სწარმოებდა ელექტროფიკაციის წინასწარი მუშაობა... სდუღდა და გადმოდიოდა პროფკავშირებში მუშაობა და... მიხა, ეს ბუნებრივი მუშა-რევოლიუციონერი, რომელმაც მთელი თავისი საუკეთესო დღეები მუშათა ინტერესებისათვის გაატარა ციხე-კატორღაში, ეს მიხა განზედ იდგა...

— ჩვენი გზა, სწორი გზაა, — ეჩურჩულებოდა მიხას ამხანაგები; იქ გერმანიას მორჩებიან და მერე აქეთ მოგვაქცევენ ყურადღებას... ესენი უძლურნი არიან... რევოლიუციასთან საერთო არა აქვთ რა. ჩვენი ხსნა ევროპაშია. ევროპა არ დაგვტოვებს ისე... დააცა, კონფერენციას მორჩებიან და ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მიხა ყურს უგდებდა და სჯეროდა. სჯეროდა, რომ საბჭოთა მთავრობას ევროპა ალაგმავს ისტორიის ასპარეზიდან. ევროპაში ამ დროს კონფერენციები ერთი მეორეზე, ზედიზედ წამოვიდა და არც ერთმა საიმედო არაფერი მოუტანა მიხას. იგი, მოლოდინში იყო... მას მოჰყვა საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიული ცნობა... ინგლისთან შეთანხმება... ხელშეკრულება...

დღეს ერთი წელიწადი შესრულდება, რაც პირველად შეიყარნენ ყოფილი მენშევიკები. მიხამ გადაავლო რა თვალი თავის აწინდელ ცხოვრებას, ღრმათ ამოიხვნეშა. მას უცბად გაუელვა აზრმა თავში და სახე გაუბრწყინდა. მიუჯდა მაგიდას და დაუწყო წერა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიხა ხმა-მაღლა კითხულობს: „სიმართლის ხმის" სარედაქციო კოლეგიას.

ამხანაგებო! ხანგრძლივ შინაგან ბრძოლის და დაკვირვების შემდეგ, მე დავრწმუნდი ჩემ წარსულ მოღვაწეობის არარევოლიუციონურ ნაბიჯებში და დღეს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის წლის თავზედ, 25 აგვისტოს რიჟრაჟზედ, მე ვუარვყოფ მენშევიკურ პლატფორმას და მთელის ჩემის არსებით და მუშურ-რევოლიუციონური სულით ვუერთდები თქვენ მიერ აღებულ გეზს."

თქვენი ამხანაგი „მიხა ჩაქუჩაძე".

ი. ბარნაბიშვილი.

# ყრილობის დელეგატები რუსეთში.

25 აგვისტოს ყრილობამ გადასწყვიტა და დადგენილებების სისრულეში მოსაყვანათ,— საბჭოთა კავშირის ფარგლებში ყ. მენშევიკთა ყრილობის მოსაწვევად და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად რუსეთში გაეგზავნა თერთმეტი ამხანაგები: ს. ფარნიევი, კ. შენგელია, კ. სიხარულიძე, ა. ჭყონია, პ. გელაშვილი, გ. ტორონჯაძე, ს. ლუკაშევიჩი, ე. ბაღთურია, კვინიკაძე, შ. გაჩეჩილაძე, და ჭარხალაშვილი.

ამ ამხანაგებიდან, გამოფენის დათვალიერების შემდეგ, 7 ამხანაგი საქართველოში დაბრუნდა და ოთხი დანარჩენი: ს. ფარნიევი, ვ. სიხარულიძე, კ. შენგელია და აკ. ჭყონია რუსეთში დარჩენ ყრილობის დირექტივების შესასრულებლად.

საჭირო იყო აგრეთვე გადასახლებულების ნახვა და მათი საქმის ვითარებასთან გაცნობა, ამისათვის გამოყოფილ იქნა ორი ამხანაგი: კ. შენგელია და ვ. სიხარულიძე. ამხ. ს. ფარნიევმა და აკ. ჭყონიიმ იკისრეს მოსკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების შემოვლა, მოხსენებების გაკეთება და ადგილობრივ საინციატივო სამეულების შექმნა.

საბედნიეროთ საქმის ვითარებამ სულ სხვა გვიჩვენა. მენშევიკური ორგანიზაციების ნიშანწყალიც არსად აღმოჩნდა.

ყოფილ სიტინის სტამბაში, სადაც ათასობით მუშაობენ—ასოთ-ამწყობები, ამხ. ს. ფარნიევის მოხსენებამ ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია. ეს სტამბა-კი ტნობილი იყო მოსკოვში როგორც მენშევიზმის ბუდე.

ტულის მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციას, სადაც იყვნენ აგრეთვე აღნიშნული ამხანაგები, თვით გამოეცხადებინა ლიკვიდაცია და საკუთარი ხელით მიეტანა არალეგალური სტამბა ხელისუფლებისათვის.

დაბოლოს რ. ს.-დ. მ. პ. ცეკას ყოფ. წევრთა ბაასშიც ნათლად გამოირკვა, რომ პარტია, როგორც მასიური ორგანიზაცია აღარ არსებობს.

ამიტომ ამხანაგებმა ზედმეტად მიიჩნიეს იქ ყრილობის მოწვევა და საამისო მოხსენება გააკეთეს იქედან დაბრუნების შემდეგ.

გადასახლებულებთან წასულ ამხანაგებმა: კ. შენგელიამ და ვ. სიხარულიძემ—მოიარეს ყველა პუნქტები, სადაც გადასახლებულები სცხოვრობენ.

მათ მოგზაურობას შედეგად მოყვა ოცამდე ამხანაგის ჩვენს პლატფორმაზე გადმოსვლა, ამათში იყო: ს. ბაბლიძე, ვ. კიკნაძე, ჭავჭანიძე, ჩიჯავაძე, კავკასიძე და სხვები.

რუსეთში დარჩენილებში ძალიან ცოტა არიან მუშები. ვინც იქ დარჩა, ინტელიგენციის გავლენის ქვეშ იმყოფება და თავი ვერ დაუღწევია ნაციონალისტურ ბურუსისაგან.

**ნ. ჩლაიძე**



ამხ-ბი: ს. ფარნიევი, ა. ჭყონია და ვ. სიხარულიძე.

# სალამი 25 აგვისტოს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატ მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა კომუნისტებთან ერთად სოციალიზმისათვის, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაითვალისწინა და შეაფასა თავისი წარსული და სთქვა თავისი სიტყვა. აღიარა მენშევიკური პარტია დაშლილათ საქართველოში და მტკიცეთ დადგა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ამიერიდგან იგი დაკავშირდა და შედუღდა კომუნისტურ პარტიასთან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო ოროოლა პირებს და იმ უჯარო გენერლებს, რომლებიც გამიჯნულან მუშებისაგან და მოსთქვამენ თავიანთ დაკარგულ სამოთხეზედ. ერთ დროს ეს ყოფილი მეთაურები გვეუბნებოდნენ, რომ კომუნისტური მოძრაობა ევროპის მუშებიდგან უნდა დაიწყოს, რადგანაც ისინი ჩვენზედ უფრო განვითარებულები არიანო. დღეს ხომ იქაც იბრძვიან ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რომელიც გამოიხატება კომუნისტური პარტიის გაძლიერებაში. და აქ კი, როდესაც უკვე გვაქვს საბჭოთა ხელისუფლება, მის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევენ.

25 აგვისტოს ყოფილ მენშევიკმა მუშებმა თავიანთი ბრძოლის ენერგია და ნაკადი კვლავ შეუერთეს რევოლიუციონურ ტალღებს. ჩვენმა ჟურნალმაც „სიმართლის ხმამ“ უნდა იარსებოს მანამდე, სანამ ის თავს არ მოუყრის სუყველა ჯერკიდევ გზა—აბნეულს და გამოურკვეველ თითო ოროოლა ქართველ მუშებს და გლეხებს. სალამი „სიმართლის ხმის“ ერთი წლის არსებობას, სალამი მის ხელმძღვანელებს.

**მუშკორი ნ. იტრიევი.**

# გაერთიანების დღე.

1923 წელს, 25 აგვისტოში, საქართველოს მუშათა კლასმა დაშლილად გამოაცხადა მენშევიკური პარტია და შ უერთა თავისი საუკეთესო ავანგარდი—რევოლიუციონერი მუშები, კომუნისტურ პარტიას; იმ პარტიას, რომელიც ათეულ წლობით იბრძოდა და იბრძვის მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავად.

მოუწოდებ იმ ამხანაგებს, თუ ვინმე კიდევ დარჩენილა ჩვენს რიგების გარეშე, ამოგვიდგენ გვერდში: ნათქვამია ყველა ერთისთვისო — ერთი ყველასთვისო, და ყველამ ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ ჩვენ იდეალის, კომუნიზმის სამეფოსაკენ.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის შეერთებას.

დეპოს მუშა **ნესტორ აფხაზავა.**

# წლის თავზე.

შესრულდა წელიწადი მას აქეთ, რაც თორმეტ ათასმა მუშამ დაჰგმო ის აბნეული გზა, რომელზედაც მიჰყავდა საქართველოს მენშევიკურ პარტიას საქართველოს მუშების და გლეხების დიდი ნაწილი.

ყველა მოწინავე ამხანაგებმა, ვისაც კი გული შესტკივოდათ რევოლიუციისათვის, ყველა შეგნებულმა მუშამ, ვისაც კი შერჩენოდა მუშური სისხლი და უძგერდა გული მუშურ-გლეხური თავისუფლებისათვის, ყველამ აქცია ზურგი ცრუ სოციალისტებს და შეუერთდა იმ მოწინავე ამხანაგების გადაწყვეტილებას, რომელიც გამოიტანეს 25 აგვისტოს თორმეტი ათასმა მოწინავე მუშის და გლეხის წარმომადგენლებმა.

გამოფხიზლებულმა ამხანაგებმა დასდეს მტკიცე ფიცი, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის იბრძოლებენ კომუნიზმის სრულ გამარჯვებისათვის და შრომის საბოლოო განთავისუფლებისათვის. ამ გზიდან დღეს ვეღარავინ ვერ გადაახვევინებს მათ.

სალამი 25 აგვისტოს!

არსენალის მუშა **ვარხიმაშვილი.**

# გამოფხიზლების წლის თავი.

დღეს ქართველი ხალხის ისტორიას კიდევ მიემატა ერთი ღირს-შესანიშნავი ისტორიული ფურცელი.

დღეს, 25 აგვისტოს, შესრულდა ერთი წელი, ფარდა აეხადა იმ მრუდე გზას, რომელზედაც ადგა საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია. დღევანდელმა დღემ ყველას აშკარად დაანახვა ის სიკოტრე და უილუკობა. რომელსაც ადგილი ქონდა დღემდე მუშათა კლასის მეთაურებში. ოქტომბრის რევოლუციამ სრულიად გაანადგურა ეგრედ-წოდებული ბურჟუაზიული წესწყობილება და გზა გაუკაფა მუშურ-გლეხურ განმათავისუფლებელ მოძრაობას. საქართველოს მუშათა კლასის ერთმა ნაწილმა გამოსთქვა თავისი საკუთარი აზრი, გამოიჩინა კლასიური თვითშეგნება და ჩამოსცილდა ბურჟუაზიულ გზას, რომელზედაც მას მიერეკებოდა ს.-დემოკრატიული პარტია და მასში აძებნინებდა მუშათა კლასს მის საუკეთესო მომავალს. მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ აგიტაცია-პროპაგანდით, სწორი რევოლუციონური ტაქტიკის წარმოებით გამოჰგლიჯა ხელიდან ს.-დემოკრატიას მუშათა კლასი. კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასი დააყენა იმ აუცილებელ ისტორიულ გზაზე, რომელიც მას ბრძოლის საშვალებით უნდა მოეპოვებია.

დღეს კი—ეს გზა სრული შეგნებით არის მოპოვებული. ამ გზაჰ ყველა ქვეყნის მუშათა კლასი უნდა შემოიკრიბოს და ჩამოაცილოს იმ ცრუ მეთაურებს, რომლებიც ბურჟუაზიის მიერ არიან შესყიდულნი და კიდევ სურო განაახლიან ჯოჯოხეთური ომი, რომელმაც თავი იჩინა 1914 წელს და დღესაც არ უჩანს დასასრული.

დღევანდელ დღეს, 25 აგვისტოს, საქართ. მუშათა კლასმა საბოლოოდ დაამსხვრია ჯალღონური ბორკილები, რომლის შემწეობით. ის იყო დატყვევებული. 25 აგვისტოს მან ასწონდაწონა და გაუკეთა ჯამი თავის წარსულს და შეუდგა ახალი წესწყობილების საძირკვლის გამაგრებას.

მახსოვს რეაქციის შავი წლები. როცა მუშათა კლასისთვის არ არსებობდა თავისუფალი პრესა და კლიტე დადებული ჰქონდა მას. მისი თავისუფალი აზრის გამომხატველი ერთადერთი პროკლამაცია იყო.

დიდმა ოქტომბერმა შავს რეაქციას სამუდამოდ სამარე გაუთხარა და შიგ ჩაასვენა.

მაშ, ვუსურვებთ საქართველოს მუშათა კლასს სრულ გამარჯვებას, ბრწყინვალე მომავლისათვის, საკაცობრიო მიზნების განხორციელების გზაზე წარმატებით წინმსვლელობას.

გაუმარჯოს ერთიან ფრონტს!

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!

სალამი 25 აგვისტოს!

„სიმართლის ხმის" ასოთ-ამწყობი

პრ. პელიძე.



ამხ. ს. ფარნიევი სამი თვით ადრე საქ. გასაბჭოებამდი.

ამხ. სანდრო ფარნიევი დაიბადა 1882 წლ. ნოემბერში ღარიბ გლეხის ოჯახში, სოფ. ქვიტკირისწყაროში (დუშ. მაზრა). მამა მისი და საერთოდ მთელი გვარეულობა, ბაგრატიონ-მუხრანსკის გლეხები იყვნენ.

პატარა სანდრო მშობლებმა ღორში გაგზავნეს და დილიდან-საღამომდე მინდორ-ველებში ატარებდა დროს. მაგრამ ასეთ მდგომარეობამ მხოლოდ რამდენიმე წელი გასტანა. მალე სოფელში არსებობის ყოველივე სახსარი ეკარგება მას და, ჯერ კიდევ 13 წლის ბავში, ქალაქისაკენ მოეშურება.

აქ ამხ. სანდრო ებარება კერძო სახელოსნოში ხელობის შესასწავლათ. მუშათა წრეში მოხვედრამ და ქარხნის განსაკუთრებულმა პირობებმა 15 წლის სანდრო უკვე ჩააბა რევოლიუციურ მოძრაობაში, რომელიც მაშინ მხოლოდ ჩასახვის პროცესში იყო საქართველოში. ეს იყო 1896 წელი. აქა იქ უკვე არსებობდა მუშათა რევოლიუციური ჯგუფები, რომელთა საპროტესტო გამოსვლები და უკმაყოფილება არ იყო კიდევ გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბებული.

ბოლოს ეს ჯგუფები შეიქნა ს.-დემოკრატიის წარმომშობ წყაროთ. და ამხ. ფარნიევი ჯერ კიდევ 1898 წლიდან შედის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, სადაც ის თავის განსაკუთრებულ ნსჭის და რევოლიუციური თავდადების მეოხებით თავიდანვე იპყრობს ამხანაგების ყურადღებას.

მაგრამ მთელ მის ცდასა და ენერგიას ხელს უშლიდა სრული წიგნობრივი განუვითარებლობა. 18 წლის სანდრომ კიდევ არ იცოდა წერა-კითხვა. და აი, 1900 წელში ის დადის საკვირაო სკოლებში ანბანის და ელემენტარულ ცოდნის შესაძენად.

იმის შემდეგ ამხ. ფარნიევის წინსვლა უფრო სწრაფი ნაბიჯით ვითარდება. ის ადვილად ეცნობა პოპულიარულ მარქსისტულ ლიტერატურას და იატაკ-ქვეშ მომუშავე ორგანიზაციებში თვალსაჩინო ადგილს იჭერს.

დაბოლოს ის სოც.-დემოკრ. პარტიაში მოწინავე მუშის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. პარტიის მთელი იატაკ-ქვეშ მუშაობა, თითქმის მისი უშუალო მონაწილეობით ხდება. ის ყველგან არის: გაფიცვებში, დემონსტრაციებში, სამხედრო სექციებში და სხვა.

რევოლიუციურ წარსულის დაღის გარეგნულ ნიშნები მას დღესაც აზის სახეზე. ეს არის ხმლის და ტყვიის კვალი თავზე, ცხვირზე და მკერდზე. ეს მოხდა პირველ რევოლიუციის დროს, როცა კაზაკებმა ააწიოკეს მუშებით სავსე თბილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზი.

თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ამხ. ფარნიევი მუშაობს რ. ს.-დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტში სხვა და სხვა პასუხსაგებ დავალებებზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის წევრია პარტიის ცეკას ყველა შემადგენლობაში. მას ირჩევენ დამფუძნებელ კრების წევრად და გვარდიის მთავ. შტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

ორატორულ ნიჭთან ერთად, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ამხ. ფარნიევს, მას წერის უნარიც შესწევს. ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო მუშა-ჟურნალისტად. მას ამ დარგშიაც აქვს წარსული. ამხ. ფარნიევი ყველა ქართულ სოც.-დემოკრ. გაზეთებთან მუდამ ახლო იდგა.



ამხ. ს. ფარნიევი საქ. გასაბჭოების სამი თვის შემდეგ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის, როგორც პარტიის ძველი წევრი, განაგრძობთა აქტიურ მუშაობას სოც.-დემოკრ. პარტიის დავალებით. მაგრამ ბრძოლის ვითარებამ, საერთაშორისო მდგომარეობამ და მეორე ინტერნაციონალის პოზიციამ, საერთოდ, აშკარად დაანახვა მას მენშევიკურ პარტიის უკუღმართი საქმე. მას რევოლიუციურმა, მუშურმა სინიდისმა აღარ მისცა ნება ამ გზით განეგრძო სვლა.

ამხ. ფარნიევი არ შეუშინდა ათასგვარ ცილისწამებას,-რომელსაც მის წინაალმდეგ დაუცხრომლად აწარმოებდენ და დღესაც აწარმოებს ბევრი უპასუხისმგებლო პირები.

მან აშკარად განაცხადა, რომ ჭეშმარიტი რევოლიუციონერობა ის კი არ არის, რომ თვალებით მიხვიდოდე ერთხელვე აღებულ გზით, როცა იცი ამ გზის სიმრუდე, უფრო მეტი რევოლიუციონერობაა ამ გზის გულახდილად და გაბედულად უარყოფაო.

მის გადმოსვლას მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მენშევიკურ პარტიის ბედისათვის. ამიტომ იყო, რომ

ამ პარტიის ავანტიურისტები არ იშურებდენ შავ საღებავებს მის გასაბათილებლად. პასუხად ამას მოჰყვა ათასეული მუშების ამხ. ფარნიევთან ერთად ოქტომბრის რევოლიუციის ბანაკში გადასვლა.

დღეს ამხ. სანდრო ჩვენი რედაქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. მის გარშემო იყრის თავს ყველა, რაც პატიოსანია მენშევიკურ პარტიიდან გასულ ელემენტებში. მისდამი სიყვარული მუშათა მასებში უფრო მტკიცე და ურყევია, ვიდრე ეს წინად იყო.

საბჭოთა აღმშენებლობაში ის ისეთივე თავდადებული და ენერგიული მუშაკია, როგორც თავიდანვე იყო. ამჟამად ის წევრია ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცაკის. ამასთანავე წითელი დირექტორია თბილისის ტრამვაის. მონაწილეობას იღებს ჰიათურის ჩემოს საზოგადოებაში, როგორც საბჭოს წევრი და არჩეულია საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოში.

ჯერ მწყემსი, შემდეგ ზეინკალი ფარნიევი, მუშათა დიქტატურის დროს, მუშა ადმინისტრატორი და მუშა დეპუტატია.

რევოლიუციის ღვიძლი შვილი, ბოლომდი რევოლიუციის კერასვე შერჩა.

ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ მუშათა ოჯახს მრავალი ფარნიევის ყოლას, ჩვენ გვჯერა, რომ პროლეტარიატის გამარჯვების საქმე ასეთი ამხანაგების წინამძღოლობით გაიმარჯვებს.

წრფელი სალამი ამხ. სანდროს!

## ამხ. მინა გვენცაძე.



ამხ. მინა გვენცაძე.

ამხ. მინა გვენცაძე დიდი რევოლიუციონური წარსულის მქონეა. ის პირველ რევოლიუციის დროს, 1905 წელში, შორაპნის მაზრის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის თავგანწირული მუშაკი იყო. ამხ. მინას განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაკისრებული პარტიაში. ის სამხედრო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა და პარტიის დავალებით არა ერთი საპასუხისმგებლო აქტი მოუხდენია. მთელ თავის რევოლიუციონურ წარსულში ამხ. მინა გვენცაძეს 32 შეიარაღებული აქტი აქვს მოწყობილი.

ის ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოვიდა. მამა მისი, ფრიდონ გვენცაძე, ღარიბი რაჭველი გლეხი იყო. მისი შვილები: ვარდენ და მინა თავიდანვე იძულებული გახდენ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის მოეკიდნათ ხელი. 15 წლის მინა უკვე თბილისში „ლიუქსის" ქარხანაში მუშაობს. შემდეგ ის მიჰყავთ სამხედრო სამსახურში. აქ შეძენილი სამხედრო ცოდნა ამხ. მინამ, სამ სურიდან დაბრუნების შემდეგ, რევოლიუციას მოახმარა. ჯარისკაცობის შემდეგ ის მუშაობს: შორაპნის დეპოში, ეკატერინოსლავში, ბუხარაში, სევასტოპოლში და თბილისში.

არსად ამ ხნის განმავლობაში ამხ. მინას ერთი წუთით არ შეუწყვეტია რევოლიუციის სამსახური და მუშაობა. ის ჯარშიც-კი იმ დროს ამ საქმეს ემსახურებოდა. პარტიაში შევიდა 1903 წელს. ის და მისი ძმა ვარდენ გვენცაძე შორაპნის მაზრის რაზმის სულის ჩამდგმელები იყვნენ და აწ განსვენებულ ამხ. აფრასიონ მერკვილაძესთან ერთად რევოლიუციისათვის თავგანწირვით მოქმედებდენ, ამხ. მინას ჯგუფი, რომელშიც სხვათა შორის შედიოდა: კოლა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვანიძე, ქურციკიძე, არაბიძე და პუმპურიძე — წამებული იქნა მეფის მთავრობის მიერ.

სხვა აქტთა შორის აღსანიშნავია: შორაპნის სადგურზე 1905 წ. ორი ჟანდარმის მკვლელობა, ბოქაულ სვანიძის და მარშალ დიმიტრი ხიდირბეგიშვილის „იმ ქვეყნად" გამგზავრება, რომელშიაც უშუალო მონაწილეობას იღებდა ამხ. მინა გვენცაძე.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ ამხ. მინა დატყვევებულ იქნა და 1912 წ. თებერვლის რევოლიუციამდე სმოლენსკის საკატორღო ციხეში დაჰყო.

დღეს ამხ. მინა, ჩვენთან ერთად, კომპარტიის რიგებშია და ჭეშმარიტ რევოლიუციის საქმეს ემსახურება.

# 25 აგვისტოდან-28 ოქტომბრამდე

საქართველოს რევოლიუციონურ ისტორიაში ორი მთავარი დატა უნდა აღინიშნოს: ეს არის 25 აგვისტო და 28 ოქტომბერი.

გასული წლის 25 აგვისტოს საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის თითქმის მთელმა მუშებმა და გლეხებმა სრულიად საქართველოს ყრილობაზე დაშლილათ გამოაცხადა ის პარტია, რომელმაც პირველმა აუხილა ქართველ მშრომელ ხალხს თვალი თვითმყრობელობასთან ბრძოლაში.

25 წლის განმავლობაში რევოლიუციონურ ცეცხლში გამობრძმედილი პარტია ხელმძღვანელობდა ქართველ მუშების და გლეხების თავგამოდებულ ბრძოლას ხოლო 1923 წლის 25 აგვისტოს მას მისივე პირმშო შვილები დაშლილად აცხადებს.

ყრილობის დამთავრების შემდეგ პარტიის ინტელიგენტური ნაწილი რომანტიულ თავდავიწყებამდე მისული კვლავ განაგრძობდა გადქინებულ შეუგუებლობის ნიადაგზე ბრძოლას, მაგრამ ამ გაუგებრობას დღითი დღე ეკარგება გასავალი. რაც დრო მიდის, ყრილობის დადგენილებებს თავიანთ ხმებს უერთებენ იატაკ-ქვეშ დარჩენილი ამხანაგები. მათ მოჰყვა ს. დევდარიანის გამოსვლა პრესის საშუალებით—ახალი გზის ძიებისათვის.

ქართულ სოც.-დემ. ყრილობის სამზადისის დროს იწყება ერთგვარი რყევა ახალგაზრდობაშიაც.

საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის პრინციპიალური მოსაზრებების გაყალბებამ, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად ერთის მხრივ, ხოლო კომპარტიის განმტკიცებამ მეორეს მხრივ, ქართველ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას დაუმტკიცა, რომ მათი ხაზი შემცდარი იყო და არის.

ისტორიული სინამდვილის ამდაგვარმა შეფასებამ გამოიწვია სხვა მრავალ მიზეზებთან ერთად სრულიად საქ. ყრილობის მოწვევის აუცილებლობა.

ყრილობის სამზადისი პირველად იწყება გურიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ადგილობრივად შექმნილი საინიციატივო ბიურო, სამაზრო სალიკვიდაციო კონფერენციის ჩასატარებლად. თვითგამორკვევის გზაზე მდგარი ახალგაზრდობა ცდილობდა გარკვეულიყო ბურუსში, რომელიც სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა მის გარშემო. გურიის სამაზრო კონფერენციამ შესძლო ეთამაშა საქართველოს ახალგაზრდობაში გადამწყვეტი როლი, მან შესძლო 860 კაცის გაერთიანება, რომლებიც სრული შეგნებით დასდგენ 3-მე კომინტერნის დროშის ქვეშ.

გურიის მაგალითს გამოეხმაურა თბილისი, სადაც შეიქმნა საინიციატივო ბიურო. პირველ ხანებში ცენტრში მომუშავე ახალგაზრდობა გაურბოდა ყოველგვარ თვითგამორკვევის გზას და არალეგალურ ცეკას გავლენით კვლავ განაგრძობდენ შეურიგებლობას, მაგრამ თბილისში, განსაკუთრებით მუშურ ახალგაზრდობის ნაწილებში, საინციატივო ბიუროს მოწოდებამ დიდი გამოხმაურება პოვა.

გაიმართა კონფერენცია 1-ლ რაიონში, რომელმაც შესძლო გაერთიანება დაახლოვებით 200-მდე „ახალგაზრდა მარქსისტის".

მუშური რაიონის კონფერენციის ჩაშლა სცადა მაშინ არალეგალურმა ცეკამ, რომლის მოწყობაც დაავალა ისეთ პირებს, რომელსაც ორგანიზაციასთან არავითარი საერთო რამ არ ჰქონია, ამ რიგად საინციატივო ბიუროს პოზიციამ პირველად თავისი გამარჯვება მუშურ რაიონში იგემა.

1-ლი რაიონულ სალიკვიდაციო კონფერენციას მოჰყვა 2-რე რაიონის კონფერენცია რომელმაც უფრო ფართო და მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო.

არალეგალურმა ცეკამ სცადა, თავისი თანების გათამაშება 2-რე რაიონის კონფერენციაზედაც. ხომერიკის ქალის ამ კონფერენციაზე გამოსვლა საუცხოვო დამამტკიცებელი იყო ცეკას პოზიციის გაკოტრების.

ცეკამ საბოლოოდ სცადა განხეთქილება შეეტანა თვით საინციატივო ბიუროშიდაც. ამ მხრივ მათი ცდაც უშედეგოთ დამთავრდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კაპანაძის გზააბნეულებას, რომელიც გამოაშკარავდა [illegible] რაიონულ კონფერენციაზე.

3 და 4 რაიონულ კონფერენციაზე ცეკას პოზიცია კიდევ უფრო გაკოტრდა. ყრილობისათვის მუშაობა სწარმოებდა პროვინციაშიდაც



ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობის ერთი ჯგუფი.

იქმნებოდა სოლქო და სამაზრო საინციატივო ბიუროები, სადაც მუშაობა დიდის ინტენსივობით მიმდინარეობდა.

28 აგვისტოს წითელ სასახლის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ყრილობა. ყრილობამ ერთხელ კიდევ ჯამი გაუკეთა თავის წარსულს და, პრინციპიალური საკითხების გადაფასების შემდეგ, დაშლილად გამოაცხადა ორგანიზაცია.

ყრილობაზე ადგილი ქონდა, როგორც პრინციპიალურ ისე ყოველგვარ გონივრულ გამართლებას მოკლებულ წინააღმდეგობას.. მოწინააღმდეგეთა რიგს ეკუთვნოდა კეკელია, მანწკავა და მუჯირი, რომლებიც პრინციპიალურად აყენებდენ საკითხებს.

ხოლო მოწინააღმდეგეთა მეორე რიგს ეკუთვნოდა ვაშაძე და მისი თანმიმყოლი სანაძე, რომლებიც ყოველგვარ თავდავიწყებამდე მიდიოდენ.

31 ოქტომბერს დამთავრდა ყრილობა. დელეგატები დაუბრუნდენ თავიანთ ადგილებს, წარსულზე გულაცრუებული და მომავლისთვის ახალი ბრძოლის სურვილებით.

რა მოხდა შემდეგ?

წინად რომანტიულ თავდავიწყებამდე მისული სტოვებენ ძველ გზას და ცდილობენ დასდგენ ყრილობის მიერ არჩეულ პლატფორმაზე. ღრმავდება პოლიტიკური გარდატეხა არალეგალურ პირობებში მომუშავეთა შორის. ასეთივე აუცილებლობა თავს იჩენს მეტეხში მყოფ პატიმრებში, სადაც მაშინ მოთავსებული იყო არალეგალურ ცეკას გავლენიანი წევრები, რომლებიც პირველ ხანებში კვლავ განაგრძობდა შეურიგებლობას, მაგრამ ისტორიის ულმობელ კანონს ვერ ასცდა მათი ბედიც.

ყრილობის დამთავრების 6 თვის შემდეგ გაზეთ კომუნისტის ფურცლებზე უკვე ვკითხულობთ მათ დეკლარაციას.

ცეკას ყოფილი წევრების დეკლარაციით გამოსვლას თავიანთი ხმა შეუერთა მეტეხის ციხეში გამომწყვდეულებმა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ერთგვარი კომისია, რომელიც თითქმის დღევანდლამდე განაგრძობდა მუშაობას ამ ნიადაგზე. ამ კომისიის მუშაობას ქონდა დიდი შედეგები. მან შეიძლო გაჩოენახა საერთო ენა არსებულ ხელისუფლებასთან და შემდეგ ჩვენს პლატფორმაზე გადმოსულ ახალგაზრდა მარქსისტებს შორის. ამასთანავე მრავალი ამხანაგები ჩააბა საბჭოთა აღმშენებლობაში.

ყველა ის „ახალგზრდა მარქსისტი" რომელიც შეგნებულად დადგა მე-3 კომინტერნის დროშის ქვეშ პოლიტიკური მუშაობის გასაგრძელებლად და წმინდა მარქსისტულ ცოდნას შესაძენად, შედის კომუნისტურ კავშირში, ხოლო დანარჩენები ებმებიან პოლიტიკურ წრეებში.

პოლიტიკური მსოფლმხედველობის გარდაფასებას ადგილი ქონდა გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტობაში, რომლებიც გერმანიაში არსებობენ „**საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირის**" სახელით.

დიდ მიღწევებს ქონდა ადგილი ამ ერთ წლის განმავლობაში

წაიშალა ძველი დრომოჭმული აზროვნების საფუძვლები ისტორიული სინამდვილის მიუდგომლად გაგების შემდეგ.

დაიმსხვრა კერპი „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ", ისტორიული სამჯავროს წინაშე დაიმსხვრა რომანტიული თავდავიწყებით გამოწვეული პრინციპიალური გზაბნეოლობა.

დიდი კოშკის შენობის ნანგრევებმა თან ჩაიტანა იმავე საფუძველზე დაწყებული შენობის კედლები, 31 ოქტომბერს.

პირველი იყო ისტორიული აუცილებლობის დასაწყისი მეორე მისი დასკვნა.

**შ. სიხარულიძე**

# „სიმართლის ხმა"

ერთი წელია მას შემდეგ, რაც სოც.-დემოკრატიის მშრომელმა მასამ თავის გზა იპოვნა. ერთი წლის უკან ამ მასის ინიციატივით აღმოითქვა სიმართლის ხმა. ამ ხმამ დაანგრია ძმათა შორის აშენებული ჩინური კედლები. დღევანდელი დღე, 25 აგვისტო, ის ნეტარი და ბედნიერი დღეა, რომლის შემდეგაც „სიმართლის ხმამ" შეარიგა მოსისხლე მტრად გადაქცეული ძმები და დააბრუნა მუშათა კლასის დროებით დაბნეული ნაწილი მთლიან რევოლიუციონურ ოჯახში. დღეს ამ ოჯახის შენობის თავზედ ამაყად ფრიალებს საერთაშორისო წითელი დროშა.

თუ სადმე ჩარჩენილან კიდევ მენშევიკი მუშები, მჯერა, რომ ისინიც საჩქაროთ გამოეშურებიან ჩვენსკენ.

მაშ ასე, გაუმარჯოს ჩვენს მიერ შარშან გადადგმულ ნაბიჯს, გაუმარჯოს „სიმართლის ხმას!"

გაუმარჯოს ჩვენი მოძრაობის მოწინავე ჯგუფს, რომელთა კეთილი და დაუღალავ შრომით დაირღვა ერთ ძმათა შორის მოსისხლე მტრობა და განმტკიცდა ძმობა—სიყვარული და მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი.

**მუშა ი. მანჯავიძე.**

— **დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნება საქ. სოც.-დემ. მუშ. პარ. 1923 წ. 25 აგვისტოს ყრილობის წლის თავის აღსანიშნავი გაფართოებული თათბირი.**

— **თათბირზე გამოწვეული ამხანაგები უკვე ჩამოვიდენ პროვინციიდან.**

— რადგან გურიის სამაზრო და ფოთის დელეგაციის სურათი დაიკარგა ფოტოგრაფიაში, როგორც ორიგინალი, აგრეთვე ნეგატივიც, რედაქციამ ვერ შესძლო მათი საიუბილეო ნომერში მოთავსება.

ბათუმის და სხვა მრავალ ადგილების, ჯგუფების და ამხანაგების სურათი რედაქციამ დაგვიანებით მიიღო და ამიტომ ვერც ის მიდის ამ ნომერში.

— გამოვიდა საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის 1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში ქართულ და რუსულ ენაზე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!**

გთხოვთ ჩვენი ჟურნალის „სიმართლის ხმის" საიუბილეო ნომერში გამოაცხადოთ შემდეგი:

1904 წლიდან 1921 წლ. ვითვლებოდი საქ. ს.-დ. მ. პარტიის წევრად. ამ ხნიდან ხსენებულ პარტიას ჩამოვშორდი.

ვიზიარებ რა სავსებით 1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციას, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს საჯაროდ გამოვაცხადო ეს და მოუწოდო სხვებსაც გულწრფელ მუშაობისაკენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. **გ. მაღნარაძე** [1]).

[1]) ამხ. გ. მაღნარაძე დემოკრატიულ მთავრობის სენატის ყოფილი წევრია. რედ.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 1753. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 3547.